ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 16 აგვისტო 1997 №95 (460) ფასი 50 თეთრი



გუშინ ბათუმში: ჯუბა ჩუხუას ამ დარტყმის შემდეგ ანგარიში 2:0 გახდა

## ბათუმი — არარატი

Cup Winners' Cup

ბათუმი. სტადიონი „დინამო". 15 აგვისტო

# წვიმა იყო, გადაიღო

**ბათუმი 4:2 არარატი**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (აფხაზავა 75), შანიძე, ღლონტი, ტულუში, ჩუხუა (ყულეჯიშვილი 88), სოლოღაშვილი

**არარატი:** ა. აბრამიანი, გსპეიანი, ასოიანი (ტერ-პეტროსიანი 46), ნაზარიანი, აივაზიანი, ვ. აბრამიანი, ნიგოიანი, ოვაქენიანი (მინასიანი 46), გალსტიანი, ბაბაიანი, ამირიანი (თამრაზიანი 67)

1:0 ჩუხუა (23), 2:0 ჩუხუა (31), 2:1 ტერ-პეტროსიანი (60), 3:1 ღლონტი (77), 3:2 ნაზარიანი (83), 4:2 შეყილაძე (90)

**გაფრთხილება:** ტულუში

**მსაჯი:** მ. შუტენგრუბერი (ავსტრია)

**ძოზა ინასარიძე**
**ბათუმიდან**

მატჩის დღეს ბათუმში ისე გაწვიმდა, ფეხბურთის თამაში კი არა, ქუჩაში გავლაც შეუძლებელი შეიქნა. არადა, დილიდან დარობდა და ნახევარი ბათუმიც ზღვაში ნებივრობდა. კაცი ვერ წარმოიდგენდა, თამაშამდე სამი საათით ადრე ცა თუ ასე გადაშავდებოდა და ისეთი თავსხმა წამოვიდოდა, თვით ბათუმელებსაც რომ გააკვირვებდა. თუმცა, გაფრთხილებასავით, 13-ში მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც ორი ბათუმელი ბიჭის სიცოცხლე შეიწირა. საბრალოთ, ზღვაში მყოფებს ექვსბალიანმა შტორმმა მოუსწრო. ეგ კი არა, თბილისელი დამსვენებლების უმეტესობა, რომლებიც აქ მრავლად არიან, სასწაულად გადაურჩენიათ. ეს ამბავი მეორე დღეს გავიგეთ, სწორედ მაშინ, სტადიონს რომ მივაშურეთ აკრედიტაციის მისაღებად. დაახლოებით სამი საათი იყო. ნელ-ნელა კი იღრუბლებოდა, მაგრამ იმას ვინ წარმოიდგენდა, თამაში თუ პარასკევისთვის გადაიდებოდა. ჯერ ჩვეულებრივად გაწვიმდა, საღლაც ექვსს რომ თხუთმეტი უკლდა კი — არაჩვეულებრივად. მიუხედავად ბილეთის ფასისა (5 ლარი) და ავდარისა, ტრიბუნებზე ბლომად ხალხი შეგროვდა. ფეხბურთელებიც მოსათელად გამოვიდნენ, ჟურნალისტები საქმეს შევუდექით, ზემოთ ახედვა კი არავის სურდა. მატჩის დაწყების დრო მოვიდა, კომისარიც გამოჩნდა მინდორზე მსაჯებთან ერთად. სარბენ ბილიკზე გაჩერდნენ და ბჭობდნენ. მთავარმა არბიტრმა ხელები აღმართა და ხუთივენი გასახდელისკენ შებრუნდნენ. კომისრის ოთახში ითათბირეს და გადაწყვიტეს, თამაში ერთი საათით გადაედოთ. გავიდა კიდევ ნახევარი საათი, სათამაშო მოედანი კი საცურაო აუზს უფრო წააგავდა, ვიდრე საფეხბურთო სარბიელს. ბათუმის სტადიონის მდებარეობა, ალბათ, იცით — ზღვის ნაპირიდან, დიდი-დიდი, ასიოდე მეტრით თუ იქნება მოშორებული. ჰოდა, ძლიერი შტორმის, წვიმისა და ქარის გამო საკანალიზაციო მილებიდან წყალი ზღვამდე ვერ აღწევდა და სტადიონზე გუბდებოდა. მოედანზე ხელმეორედ გასულმა კომისარმა, მსაჯებმა და სტადიონის ხელმძღვანელებმა ორიოდ წუთი კვლავ წაითათბირეს და მატჩის დაწყება კიდევ ერთი საათით გადადეს. ახლა წარმოუდგენელია იმისი აღწერა, რა ხდებოდა მინდორზე: აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარე მთლიანად წყლით დაფარულიყო, ოდნავი სიმწვანე მოედნის შუაგულს თუ ეტყობოდა. ამ დროს მთავარი მსაჯი უეფას დაუკავშირდა, მათგან კი ასეთი დირექტივა მიიღო — მაქსიმალურად ეცადეთ, მატჩი დღესვე ჩაატაროთ, გამოუვალ სიტუაციაში კი ხვალისთვის გადადეთო. ამასობაში სტადიონს ორი სახანძრო მანქანა მოადგა და მოედნიდან წყლის გადატუმბვა დაიწყეს. მოგვიანებით ამათ კიდევ ორი დაემატა, მაგრამ ისე წვიმდა, ოთხმა სახანძრო მანქანამაც ვერაფერი დააკლო მოედანს. მთავარი მსაჯი კომისართან ერთად წამდაუწუმ მინდორზე გადიოდა, ფეხით წყლის სიღრმეს სინჯავდა, შემდეგ ფეხს ზემოთ ასწევდა და ხალხს უჩვენებდა — აი, რამხელა წყალიაო. ბოლოს კი... მეხანძრეებთან მორიგი გასაუბრების შემდეგ გასახდელისკენ ბრუნდებოდა, მოულოდნელად ფეხი რომ დაუსხლტა და წყალში ამოჰყო თავი. ბოლო ბოლო, შუტენგრუბერმა კომისართან საუბრის შემდეგ თქვა — რვა საათამდე მოვიცადოთო. რვა საათიც შესრულდა, მოედანზე კი ადრინდელზე მეტი წყალი იდგა. არბიტრი ისევ უეფას შეეხმიანა, უთხრა, ხვალისთვის ვაპირებთ თამაშის გადადებასო. იქიდანაც თანხმობა მიიღო და მატჩი მეორე დღის ხუთ საათზე დანიშნა. მანამდე სტუმრებმა დაიჩივლეს: კიდევ ერთ დღეს ბათუმში ვერ გავჩერდებითო. „ბათუმმა" „არარატის" ხარჯები თავის თავზე აიღო, ოღონდ სამშობლოში დაბრუნებისთანავე სომხები დახარჯულ თანხას ბათუმლებს გადაურიცხავენ.

ეს წერილი გუშინ, თამაშის დაწყებამდე ორსაათნახევრით ადრე დაიწერა. ამ დროისთვის ბათუმში ისევ წვიმს, ოღონდ ისე არა, როგორც დილას. სამი საათის წინ ისეთივე თავსხმა იყო, თამაშის დაწყებისას რომ დაუშვა, თუმცა სტადიონზე წყალი აღარ დგას — ზღვის მიმართულებით ახალი არხები გაიჭრა, მუშებმა მთელი ღამე გაათენეს და მოედანზე დაგუბებული წყალი ზღვისკენ გაუშვეს. საათნახევრის წინ სტადიონზე კომისარი მოვიდა. მინდორს დახედა და, დღეს ვითამაშებთო, თქვა. მოკლედ, თამაშამდე ორ საათზე ცოტა მეტია დარჩენილი. ეს წუთია მზემ დააცხუნა...

ავსტრიელმა მსაჯმა გერმანული პუნქტუალობით, ზუსტად ხუთ საათზე დაიწყო მატჩი. შუტენგრუბერის სასტვენი და დაახლოებით 10 ათასამდე გულშემატკივრის ყიჟინა ერთი იყო — გადადებულ მატჩზე უფრო მეტი მაყურებელი მოვიდა, ვიდრე ხუთშაბათს.

# შეყილაძემ იმედი დაგვიტოვა

პირველ ხუთ წუთს ტერიტორიული უპირატესობა „არარატისა" გახლდათ. ისინი უფრო მობილიზებულები ჩანდნენ. მასპინძლებს ბურთის მიღების საშუალებას არ აძლევდნენ და ისე მეურვეობდნენ თითოეულ ბათუმელს, ცოტა გასაკვირიც კი იყო მათგან. თუმცა, ბათუმელებმა ნელნელა გაათანაბრეს თამაში, უფრო აზრიანად ამოქმედნენ და მე-18 წუთისთვის მთლიანად მეტოქის ნახევარზე დასახლდნენ. აქედან მიყოლებული სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს ტოგონიძის კარის მიმართულებით, მაგრამ ნიგოიანმა უფრო კუთხურის ალამს დაუმიზნა, ვიდრე კარს. სხვა შემთხვევებში „არარატი" ისე დაბნეულად გამოიყურებოდა, ალალი იქნებოდა, ოთხი კი არა, ერთი ამდენი კიდევ გაეშვათ. პირველ ტაიმში მასპინძლებს უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ორჯერ იხეირეს, ორჯერვე ჩუხუას წყალობით: ჯერ იყო და, მინდაძემ ჩააწოდა მარცხნიდან, საჯარიმოს წინა ხაზთან ტულუშმა ორიგინალური ფინტით ორი მცველი მოიშორა, ბურთს კი ჩუხუა დაეუფლა, რომლის დარტყმულიც მცველისგან ასხლტა და აბრამიანის ზურგს უკან ჩაეშვა. 8 წუთის შემდეგ კი ისევ ტულუში-ჩუხუას დუეტმა ისახელა თავი: პენალტის ნიშნულთან არეულობა შეიქმნა, ტულუში სამ ერევნელს ებრძოდა, ბურთი კი ჩუხუას მიუგორდა, მანაც ჭვინტი წაჰკრა ბურთს და მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილი დრო მასპინძლებმა შეტევებში გაატარეს. 38-ე წუთზე კი სასწაულად ვერ შეაგდეს მესამე გოლი: სომხებმა თამაშგარეს შექმნა სცადეს, მაგრამ ასოიანი ჩარჩა და ღლონტიც თითქმის პირისპირ დარჩა მეკარესთან, ოდნავ უკან, უკეთეს პოზიციაში მყოფ თორლაშვილს დაუგორა, მისი დარტყმული კი, აბრამიანმა რომ მოიგერია, ლოგიკის მიხედვით გოლით უნდა დამთავრებულიყო. იქვე შეყილაძემაც დაამატა, მაგრამ აივაზიანმა კუთხურზე მოიგერია. ამ მომენტიდან ორი წუთიც არ გასულიყო, რომ თორლაშვილის მოჭრილი კვლავ აბრამიანმა მოიგერია, თუმცა კვლავ გაუვარდა, ჩუხუამ კი ცარიელ კარს ააცილა. მოკლედ, პირველი წუთების გარდა „ბათუმის" უპირატესობა იმდენად აშკარა გახლდათ, მაყურებლებმა ანგლობა დაიწყეს, ესენი ვინ ყოფილან, მეორეში იმდენ გოლს შევაგდებთ, ერევნის მატჩს აზრიც დაეკარგებაო.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და... სომხებმა ორი გონივრული ცვლილება გააკეთეს და მნიშვნელოვნად გააძლიერეს შეტევები. სწორედ მინასიანმა და სომხეთის პრეზიდენტის ძმიშვილმა ტერპეტროსიანმა შეიტანეს გარდატეხა. სტუმრებმა ნელ-ნელა გაათანაბრეს თამაში, ერთი-ორჯერ ტოგონიძის საიმედობა შეამოწმეს, ბოლოს კი გოლიც შეაგდეს: მინასიანმა მახარაძე მოატყუა და ტერპეტროსიანს თავზე დაასვა ბურთი, ამანაც არ უმტყუნა ბიძას და შორეულ კუთხეში დარტყმით ანგარიში შეამცირა. სტუმრებმა მეტად გაიხარეს, დამშვიდნენ და ორჯერ ისე მომენტიც გააცუდეს, შედარებით უკეთესი გუნდი აუცილებლად შეაგდებდა. არარატელებმა, ერთი გოლიც საკმარისიაო, ალბათ, გაიფიქრეს და ზანტად დაიწყეს ბურთის გაგორება. „ბათუმმა" მთლიანად დათმო მოედნის ცენტრი, თუმცა ეს ანდრიასიანის დამსახურებაცაა, რომელმაც ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი გაამწესა შუა ხაზში. სტუმრების უპირატესობა მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე გაქრა. „ბათუმმა" ისევ მოუმატა, ბოლო ძალებით შეუტია მეტოქეს, თანაც ახალგამოსული აფხაზავაც ძლიერ დაეხმარა თავისიანებს გოლების გატანაში, უფრო სწორად, გოლის: ღლონტმა თავისი ნახევრიდან შეუტია, კედელი გაუთამაშა აფხაზავას, ამან ორი მცველი გაიტყუა, ღლონტი კი საჯარიმოში შეიჭრა, ძართალია, ბურთი ფეხებში აებლანდა, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, მოჭრილი დარტყმით ცხრიანში შეაგდო.



იმედია, ბათუმელები 28 აგვისტოსაც ისევე გაიხარებენ, როგორც გუშინ

ლოგიკით ასეთი ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო კიდეც მატჩი, მაგრამ „ბათუმი" ნაადრევად დაწყნარდა და სომხებმა ისევ ერთ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა: აბრამიანმა მარჯვნიდან ჩააწოდა, მეკარის საჯარიმოში მყოფი სამი ბათუმელი მცველი კი რატომღაც გაჩერდა, ნაზარიანმაც არ აპატია უყურადღებობა და ისევ თავით შეაგდო.

მორჩა, გათავდა, შვიდ წუთში ესენი გოლის გამტანები აღარ არიან, ერევანში კი „არარატი" ისეთ დღეს გვაყრის, საქართველო-სომხეთის თამაში მონაგონი იქნებაო, წაუხდათ ნირი გულშემატკივრებს. მაგრამ არა — ბათუმელებს გაუმართლათ. ბოლო წუთი გახლდათ, სომხებმა თამაშის წესი რომ დაარღვიეს, შეყილაძემ კი გაისროლა. თანაც როგორ...

ბურთთან რომ მივედი, სოლოღაშვილმა მითხრა, დაბალი დაარტყი, მთავარია, კედელს აცილოო — თქვა მატჩის შემდეგ ბათუმელთა კაპიტანმა — მეც, რაც ძალ-ღონე მქონდა, დავარტყი. ბურთი მაღლა წავიდა. დანარჩენი თვითონ ნახეთ. ამ გოლმა შეიძლება შემდეგ წრეში გაგვიყვანოს, 3:2-ზე ძალიან გაგვიჭირდებოდა — დაამატა შეყილაძემ. მართალია გელა. ახლა უფრო მეტი შანსია, ორი მატჩის ჯამში ბათუმელებმა წარმატებაზე იფიქრონ, თუმცა ისეთი შეცდომები თუ დაუშვეს, როგორიც გუშინ, არა მგონია, სომხებმა კიდევ აპატიონ.

**მატჩის შემდეგ**

შოთა ჭეიშვილი: ერევანშიც შევაგდებთ. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედად ვარ. კარგად მოვემზადებით და ვნახოთ... 28-ში ყველაფერი გამოჩნდება. შეცვლების შეგვიანებას რაც შეეხება, გეტყვით, რომ ძალიან მოკლე სათადარიგო სკამი გვაქვს, ამიტომაც ვიკავებდი თავს.

არკადი ანდრიასიანი: ვფიქრობ, შანსები კიდევ გვაქვს. მოედანი ისეთ დღეში იყო, რომ ვერც ერთმა გუნდმა ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ჩემი აზრით, იღბალი მასპინძელთა მხარეს გახლდათ, თუმცა კი აბრამიანმა ბევრჯერ გადაგვარჩინა.

როსტომ თორლაშვილი: ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ, აწი სომხებმა იკითხონ...

## ფუხელ

**ფეხბურთი.**

ინგლისის ჩემპიონატი.

I დივიზიონი. სანდერლენდი — მანჩესტერ სიტი 3:1 (სტუმართაგან ქინქლაძემ გაიტანა), ტრანმერი — ქუინზ პარკი 2:1, ბრედფორდი — სტოკ სიტი 0:0, ნოტინგემი — ნორვიჩი 4:1.

გერმანიის თასი. ულმი — კიოლნი 1:3, ვალდბერგი — ბაიერნი 1 : 16 (!), ჰანოვერი — მიონხენგლადბახი 1:1 (პენალტებით 5:3).

საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური. ლანსი — ლე ავრი 0:0, შატორუ — მეცი 1:2.

შვეიცარიის ჩემპიონატი. ბაზელი — არაუ 2:1, კრიენსი — გრასჰოპერი 2:1, სერვეტი — ლოზანა 3:0.

# კაპიტანი ოსეთში ჩარჩა



ვინ და რატომ, ამას ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს — შავი საქმე გაკეთდა და ამას ძნელადღა თუ უშველის კაცი — ცხადაძე „ვესტ ჰემში", ალბათ, ველარ გადავა. როგორც გუშინ „სარბიელის" ლონდონელ კორესპონდენტს დავით მჭედლიშვილს ლონდონური კლუბის წარმომადგენელმა განუცხადა, „ვესტ ჰემი" საქართველოს ნაკრების კაპიტანს აღარ შეიძენს, რადგან იმ დღეებში, როცა ცხადაძის „ლოთობის" ამბავი ქვეყანას მოედო, „ჩაქუჩები" სასწრაფოდ „ევერტონს" დაუკავშირდნენ და მისგან იმავე ამპლუის დევიდ ანსუორსი გადაიბირეს. მერე გავრცელებული ცნობის უარყოფაც გამოჩნდა, მაგრამ... იმედად ისლა რჩება, რომ „ვესტ ჰემს" წარმომადგენელმა თქვა, „ალანიასთან" გარიგება 99 პროცენტიაო. ეხე, ის ერთი პროცენტიც იმის ფეშქაში იყოს, ვის ჯიბეებიც ამ გარიგების ჩაშლაა.

დღევანდელი „სარბიელი" თორმეტგვერდიანია და ფასიც შესაბამისი აქვს

# ბაიერმა გადაგვჯეგა

ვახტანგ ბზიკაძე
ლევერკუზენიდან



## ათი წუთი დამწვრის სუნში...

ქართველები უაზროდ მფლანგველები ვართ. ამაში დასარწმუნებლად ოთხშაბათის მატჩი სულაც არ იყო საჭირო. ვაი, რომ ეს თამაში ფუჭი, მაგრამ აუცილებელი გახლდათ. სხვაგვარად, უეფას (ისედაც ცუდი თვალით რომ შემოგვცქერის) სანქციებს ვერ ავცდებოდით.

გასაჭირში ფორიაქზე მეტად დამშვიდება და დაფიქრება გვმართებს. სიმშვიდე წონასწორობის დაცვას ითხოვს, დაფიქრება კი ცივ გონებას.

„დასამშვიდებლად" ის თუ გვაქვს, რომ ქართული ფეხბურთის სახე — „დინამო" თუ არ ვითარდება, რეგრესსაც ნაკლებად განიცდის. დიახ, ასეა: „დინამო" ამაზე მეტად ველარ დაეცემა, რადგან უფსკრულშია ჩაჩეხილი და იქიდან გასასვლელი მხოლოდ ზევითაა. ქვემოთ გზა აღარ არსებობს.

დიახ, ეტყობა, ეს არის ჩვენი ბედი: 1:5 „ტიროლთან", 0:5 „ბოავიშტასთან", 1:6 „ბაიერთან". ესაა „დინამოს" გუშინდელი, დღევანდელი და, ვშიშობ, ხვალინდელი დღეც. ამათ შორის კი თუ ბედმა გაგვიღიმა და მეორეხარისხოვანი ქვეყნის მეორეხარისხოვან გუნდს გადაგვყარა, იქნებ, გაჭირვებით თუ გაუჭირვებლად კიდეც მოვუგოთ. საგაისოდაც ალბათ ასე იქნება. ამათ ერთი „გრანდიც" შეემატება. და ასე გვიწერია მანამ, სანამ გატანაზე მეტად პენალტის გამოგონებას ვეცდებით და ხელსაყრელ მომენტებს გავფლანგავთ.

აი, რას წერს ხუთშაბათის „რეფირ შპორტი": „თბილისის „დინამომ" მატჩის დასაწყისში მცირე პრობლემის წინაშე დააყენა „ბაიერი". ეს მაშინ იყო, როცა ქართველებმა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს".

მატჩის დებიუტს უფრო მწვავე შეფასებას აძლევს „კიკერის" ექსპერტი, „დუისბურგის" მწვრთნელი ფრიდჰემ ფუნკელი. „ბრავო, ბაიერ ლევერკუზენ, ეს ნამდვილად საკმარისია" — ასე ჰქვია ფუნკელის წერილს, რომელიც „ბაიერისადმი" მილოცვით იწყება: „ეს იყო მეტი, ვიდრე მოსალოდნელი გახლდათ. ამ უპირატესობის წართმევას „ბაიერი" თბილისში ქართულ გუნდს არ დაანებებს და ეს იმის მიუხედავად, რომ დასაწყისში ქართველთა შეტევებისას დამწვრის სუნი იგრძნობოდა" — წერს ფუნკელი. ასეც იყო. ახლა, ოთხშაბათის ჩანაწერებს რომ ვათვალიერებ, გაოცებული ვარ, რომ თბილისელებმა ერთადერთი გოლი გაიტანეს და ისიც წყეულ მეორე ტაიმში.

## ცეცხლი და შხაპი

გერმანელებს სიცხე წელიწადში მხოლოდ ერთ კვირას თუ აწუხებთ. ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის მატჩი სწორედ ამ კვირას დაემთხვა. სიმართლე გითხრათ, სიცხეს თამაშზე დიდად არ უმოქმედია, რადგან საღამოს აგრილდა და მშვენიერი სათამაშო ამინდი დადგა. სამაგიეროდ, მინდორზე პირველი წუთებიდანვე ისეთი ბრძოლა გახურდა, ძნელად რომ ვინმე ელოდა. ცეცხლი პირველმა „დინამომ" შეუკეთა. უკვე მეორე წუთზე მუჯირმა სამ მცველს შორის გაუჭრა ბურთი გოგიჩაიშვილს, რომელსაც იაშვილი არ წამოეწია. ამიტომაც გოგიჩამ შორიდანვე დაურტყა შორეულ კუთხეში ჰაინენს, მაგრამ ააცილა.

მომდევნო წუთებიც ბრძოლაში გაილია, ოღონდ ეპიცენტრმა „დინამოს" ნახევარზე გადაინაცვლა. ერთ-ერთი ორთაბრძოლისას დინამოელები რომ დაჯარიმდნენ, ამან გავარვარებულ სტადიონს ცივი შხაპი გადაავლო.

ეს უკვე მერამდენედ, ზოიძეს საჯარიმო დარტყმით გაუტანეს. ამჯერად ახიც იყო. თბილისელთა მეკარემ არც „ცოცხალი კედელი" დააყენა და არც რომელიმე მცველს დაავალა ახლო ძელთან დგომა. მცველებმა მეტოქენი გაირჩიეს და ლენჰოფმაც, ცარიელი დერეფანი რომ შენიშნა, მშვიდად შეაგორა. შორეულ კუთხეში მდგარი ზოიძე არ განძრეულა. გოლი მეტწილად მის ნამუსზე იყო, როგორც მეკარის, ისე კაპიტნის კისერზე. ესაცაა, დაცვა ამ მომენტში თამაშგარის შექმნას ცდილობდა, მაგრამ ეს განწირული ფანდი იყო: ლენჰოფმა პირდაპირ კარში გაიტანა ცქიტიშვილის ფეხიდან.

გასაოცარი ისიც იყო, რომ თბილისელებმა გოლსმოყოლილ წნეხს გაუძლეს და მეტოქის კართან მომენტი მომენტზე შექმნეს. თუმცა მათი გამოყენება ვერც ამჯერად შეძლეს, რაც მეტად ძვირად დაუჯდათ. არადა, შეიძლებოდა სხვაგვარადაც მომხდარიყო.

მეხუთე წუთზე თბილისელები უკვე 0:1-ს აგებდნენ, მაგრამ მერვე წუთზე გათანაბრების შანსი მიეცათ. საჯარიმოში გოგიჩაიშვილის მიერ დაგორებული ბურთი იაშვილმა სუსტი დარტყმით ახლო კუთხეში გადამხტარი ჰაინენის საკბილო გახადა. ამას ერთ წუთში ისევ იაშვილის დარტყმა მოჰყვა გოგიჩაიშვილის პასზე, მაგრამ ჰაინენმა მოიგერია, გუჩუამ კი დამატებითი დარტყმა კარს ოდნავ მარჯვნივ ააცილა.

ცხადი იყო, დაწინაურებული „ბაიერი" ანგარიშის უპირატესობას არ დათმობდა. გერმანელებმა საფრთხე რომ იგრძნეს, ძალები მოიკრიბეს, მეტოქეს საკუთარ ნახევარზე დასახლება აიძულეს და მეორე გოლამდეც გვარიანი საფიქრალი გაუჩინეს.

## ბაიერის სიმწიფის ატესტატი

ტაიმის ბოლომდე რამელოს მიერ ჩაწოდებული კუთხური ჯერ მეიერმა ააცილა თავით, მერე რამელოსვე ჯარიმაზე — ვიორნსმა. ცოტა ხანში კირსტენმა ორჯერ ვერ იხეირა: ვიორნსის ჩაწოდებული ბურთი ხარიხას ჭოკით მხტომელივით გადაავლო, სუსტი თაურით დარტყმა კი ზოიძემ აულო.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერის" უპირატესობა უკვე აშკარა გახლდათ, კრისტოფ დაუმი პირველი ტაიმის უმაყოფილო იყო. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა: „პირველ ნახევარში ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო დავრჩი, მაგრამ მეორეში შევძელი შტურმის ორგანიზება. მნიშვნელოვანი იყო პირველი გოლი, რადგან მანამდე ხშირად ვცდებოდით გადაცემებისას. დიდი როლი შეასრულა ბაინლიხმა, რომელმაც მარცხენა ფრთაზე ზეწოლა განახორციელა. ჩვენ ვაჩვენეთ, რა მოაქვს სტანდარტული მდგომარეობების დასწავლას და პრესინგს შუა მინდორში. ბუნდესლიგაში ნაჩვენები სტარტის შემდეგ, მართალი გითხრათ, ასეთ შედეგს არ მოველოდი".

რაკი დაუმმა სტანდარტულ მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება, ჩვენც ვთქვათ — „დინამო" განსაკუთრებით უსუსური ამ კომპონენტში გამოჩნდა.

ამასწინათ ერთმა ჩემმა კოლეგამ კარგად შენიშნა, ქართველები კუთხურს მხოლოდ იმიტომ აწოდებენ, რომ ფეხბურთში ასეთი წესი არსებობსო. ვინ მოაწოდებინა ოთხშაბათს კუთხური! პირიქით, იქით დაგვატეხეს კუთხურ-ჯარიმათა რისხვა. თითო გოლი სწორედ ამ დარტყმებიდან გაიდა და გერმანელებს უფრო ზუსტად რომ ეთამაშათ, მეტიც გავიდოდა. თავად განსაჯეთ, რა სისულელე ჩაიდინეს ქართველებმა პირველ გოლზე: მაშინ, როცა ორივე გუნდს საჯარიმოში ცხრა-ცხრა მოთამაშე მაინც ჰყავდა, თამაშგარეს შექმნა სცადეს! და ვინ ხელმძღვანელობდა „დინამოს" დაცვას? ცქიტიშვილი, რომლის საფეხბურთო ინტელექტი აშკარად ვერ აუვიდა გერმანელებთან ლიბეროობას. სხვა რა უნდა ვთქვათ, როცა ცქიტომ ჯარიმისას ორკაციან კედელში თავით მებრძოლი გუჩუა ჩააყენა, თავდამსხმელთა გარჩევა კი სხვებს მიანდო. მსგავსი პრობლემები იქნებ უშუალოდ მატჩის დროს გადასაწყვეტი არც ყოფილიყო, ვარჯიშებზე დამუშავებული რომ ჰქონოდათ. იმ მომენტში „ბაიერმა" ბედად ააცილა ვიორნსის ჩაწოდება, მაგრამ მერე ორჯერ აღარ დაუტოვა შანსი ზოიძეს და დაცვას.

ქართველებს თავდაცვა არც გვიყვარს და არც გვეხერხება. რა ხდება შეტევისას? როგორ ვიყენებთ ჩვენს სასარგებლოდ დანიშნულ სტანდარტულ მდგომარეობებს? კუთხურზე მოგახსენეთ, დანარჩენი კი სულ იმით ამოიწურა, რომ გუჩუას წაქცევისთვის მუჯირის მიერ მცველის ფეხქვეშით დარტყმული ჯარიმა ლამის გადასულზე აილო ჰაინენმა. სულ ესაა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ იაშვილი თამაშიდან თამაშამდე ცდილობს პენალტის მოპოვების ხელოვნების დახვეწას. იაშკამ ამას ერთი ხელსაყრელი მომენტიც გადააყოლა: 33-ე წუთზე საჯარიმოში შესულ და თაურით პასის მიმცემ დიდავას ნაცოდვილარი წყალში ჩაუყარა, რადგან პენალტზე წავიდა, რისთვისაც მეტოქის მცველთა აღშფოთება გამოიწვია. ასეთ მომენტთა ფლანგვას ის მოჰყვა, რომ ტაიმის ბოლოს ანგარიში გაორმაგდა და მეორე ტაიმში სულაც კატასტროფული შეიქნა, რისთვისაც „ბაიერმა" გერმანული პრესის ქათინაურები დაიმსახურა. „ჩუბინთა ზეიმი ლევერკუზენში" — ასე დაასათაურა „რურ ნახრიხტენმა" ოთხშაბათის მატჩის ანგარიში. „ბუერიშე ცაიტუნგმაც" გერმანელები კომპლიმენტებით აავსო, ისინი კი ამას ნამდვილად იმსახურებდნენ. „დაუმი თავისი ბაიერით გრანდთა კონცერტში" — ასე დაასათაურა გელზენკირხენში გამომავალმა გაზეთმა წინა დღის მატჩის მიმოხილვა. „ლევერკუზენმა" სიმწიფის გამოცდა ჩემპიონთა ლიგაში გოლების ფესტივალით ჩააბარა. თავისი მოგებით „დინამოსთან" მან ბალავრის ქვა ჩადო ევროპული ფეხბურთის გრანდთა შორის დასამკვიდრებლად". „ბუერიშე ცაიტუნგის" აზრს კალმუნდის მიერ „კიკერისთვის" მიცემული ინტერვიუც ამყარებს. „ლიგაში შესვლამ ჩვენი ფინანსური მდგომარეობა 10 მილიონით გაამყარა. მართალია, ამ წუთში ფული მთავარ როლს არ თამაშობს, მაგრამ ვინც ანგარიში იცის, მიხვდება, რას ნიშნავს ეს".



თბილისელთა კარში გატანილმა ორმა გოლმა ერიკ მეიერს ფრთა შეასხა

## იქნებ ასპირინმა გვიწამლოს

მოგეხსენებათ, ლევერკუზენის „ბაიერიც", ისევე როგორც ურდინგენისა, ფარმაცევტული ფირმის პირმშოა. ამიტომაც მისი პატრონის პროდუქციას რეკლამას უკეთებს. წელს „ბაიერს" „ასპირინი" ამოუჭრია გულზე და ოთხშაბათს RTL-ის ყველა მაყურებელმა 90 წუთს თვალი ვერ მოაცილა ამ წარწერას. სხვათა შორის, მატჩის შემდეგ ლევერკუზენის მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა განაცხადა, მოგებულმა თამაშმა 4 მილიონი მარკა მოგვიტანა და აქედან 2,7 მილიონი მატჩის ტრანსლაციის უფლებისთვის ტელეკომპანიის მიერ მორთმეული ძღვენიაო. ეს რომ წავიკითხე, გამახსენდა, რა თავგამოდებით ქომაგობდა ასამდე ქართველი „დინამოს", რომელთა ხმა და დროშების ფრიალი შავწითელ ლომთა გრგვინვაში იკარგებოდა. ასეა: „დინამოს" უნდოდა ფული, ქართველ მაყურებლებს ლიგის მატჩების ცოცხლად ნახვა. არაფერი გამოვა, რადგან ამას გერმანელები მეტად იმსახურებდნენ, ეკუთვნოდათ და ფორტუნამ მათ ბუნდესლიგის სასტარტო მატჩებში წართმეული ყველა გოლი გადმოაბერტყა.

შესვენებისას „დინამოს" პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, კი ვიცოდით, რომ შანსი მინიმალური გვქონდა, მაგრამ, ხომ იცით, იმედი ბოლოს კვდებაო. იმედი მალე მოკვდა, ბოლომდე ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე. კრისტოფ დაუმს ბელფასტში თუ თბილისში ჩამოსვლაში ფეხსაცმელი იმისთვის არ დაუცვეთია, რომ მისი გუნდი გაუგებრობის, მოულოდნელობის მსხვერპლი გამხდარიყო. მეტოქეს პირველი ნახევრის ბრძოლა მოუგო და მეორეში გერმანული მანქანის სიზუსტე თუ ძლიერება დაგვანახა. რომელი ერთი უნდა თქვა კაცმა. მატჩის მეორე ნახევარში მასპინძელთა გაცუდებული მომენტებიც კი ერთი რამ სანახავი იყო. ჭკუის სასწავლი კი ისიც გახლდათ, რომ კირსტენის ოდნავ შესუსტებულ თამაშს „ბაიერის" ბრწყინვალე დუბლი შეენაცვლა. ეს იქნებ იმ მწვრთნელის ფანდიც იყო, რომელმაც ერიკ მეიერს ფეხბურთის ღმერთი უწოდა.

ლევერკუზენის თამაში კი კარგი რამ იყო, მაგრამ ჩვენ რა? როდემდე უნდა დააჭირონ კალაძეს ფეხი? როდემდე უნდა ეცადოს ზოიძე მეექვსე გოლის არგაშვებას? როდემდე უნდა „ჩაგროს" მსაჯმა (მიკელსენმა შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე რუმინელებს სულაც ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა) იაშვილი? იქნებ „ასპირინმა" გვიწამლოს და ამ დამარცხებიდან სწორი დასკვნები გამოგვატანინოს.



გოგი ახვლედიანის

## ცივი და ცხელი გონებით

რაც არის არის. როგორც პარლამენტში იტყვიან, ცივი გონებით ვილაპარაკოთ. ჯერ ეს ერთი, რომ ცხელი გონებით არაერთხელ გამოგვითქვამს ტკბილი სიტყვები და ამას არანაირი სარგებელი არა ჰქონია და მეორეც — ასეთ შემთხვევაში ცივი გონება სჯობს.

სულ დანომრილად მოგახსენებთ ყველაფერს.

### რა მომეწონა

I — ძალიან მომეწონა ის ამბავი, რომ ალექსანდრე იაშვილი ალბათ მალე წავა საზღვარგარეთ და ამ ჭაობს მოწყდება.

II — ძალიან მომეწონა „ლოტოს" მიერ სქოთურ ყაიდაზე გაწყობილი დინამოელთა ახალი ფორმა.

II — ასევე ძალიან მომეწონა ის, რომ, 1:5-ს როცა ვაგებდით, „ერტეელის" ოპერატორები „ბაიერის" სტადიონის სანახებში დაბუდებულ ობობებს გვიჩვენებდნენ. ობობა, თავისი ქსელით, დიდად სიმბოლური ვინმეა.

### რა არ მომეწონა

I — არ მომეწონა „ბაიერის" ფეხბურთელების დაუნდობელი ხასიათი, მათ სრულიად არ გაუწიეს ანგარიში იმას, რომ 16 წლის წინათ „დინამომ" თვით დიდი „კარლ ცაისი" დაამარცხა და თასთა თასი მოიგო. ასეთი უხიაგი წესი აქვთ — დღევანდელობიდან მომავალს გასცქერიან და არა წარსულს.

II — ძალიან არ მომეწონა აგრეთვე ის, რომ რაც ჩვენებური ფეხბურთი არსებობს, ბუნდესლიგურ გუნდთან ვერასდროს ვერაფერი გაგვიწყვია. მაშინაც კი, როცა გუნდურ კლასსა და ტაქტიკურ ანაბანას ვფლობდით და ერთგვარ საერთაშორისო დონეს ვინარჩუნებდით.

III — „უძალიანესად" არ მომეწონა ის ამბავი, რომ ტიროლის მთებსა და ლევერკუზენის ფარმაციულ ქარხნებს შორის ჩვენ ვერაფერი ვისწავლეთ. ბონაპარტულად თუ წავუმატებთ — ვერც ვერაფერი დავივიწყეთ.

IV — ასევე, საშინლად არ მომეწონა ის ამბავი, რომ „კრუზეიდერსი" გამახსენდა. ასე გამოდის, რომ ჩვენ ჰერრ დაუმისთვის „კრუზეიდერსი" ვართ. ეს ასეც უნდა იყოს და ასეც იქნება, რადგან ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, ლაპარაკი და ბუტიაობაა და არა ფეხბურთის შენება.

### აქედან ცხელი გონებით

ყველაზე მეტად კი ის არ მომეწონა, რომ ჩვენ ირლანდიელ პარიკმახერებს და დოკერებს დავცინით, ფეხბურთის თამაში და ტაქტიკა არ იციანო. იმათ თავისი წილი და ადგილი იციან. ჩვენ კი მათ ბოთლებს ვესვრით. ჩვენ ბოთლებს ვესვრით ჩვენს ნაკრებსაც, როცა შინ ინგლისელებთან ვაგებთ. ჩვენ არ გვინდა ვაღიაროთ ჩვენი ადგილი დღევანდელ ფეხბურთიში და ამავდროულად არ გვინდა ავიწიოთ მაღლა.

უბრალოდ, ჩვენ გვინდა თავი დაგვანებონ ვიღაც აზვარმა და ნაბოზარმა მესვეტეებმა და ჟურნალისტებმა, რომლებსაც რაზან „ყუბანის" ან „ლოკომოტივის" წინააღმდეგ არ უთამაშიათ, ფეხბურთზე ლაპარაკის უფლება არა აქვთ.

ჩვენი ფეხბურთელები ოსტატობით ჩამოუვარდებიან გერმანელ ფეხბურთელებს (მგონი, ამერიკა არ აღმომიჩენია). მაგრამ:

I — ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია.

II — ფეხბურთი მარტივი თამაშია.

ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ 1:6 არ წააგო. მთავარია, ვიღაც ერთი კარგად დაფიქრდეს და გეზი განსაზღვროს.

წაგება არც სირცხვილია, არც ტრაგედია. „ბაიერნს" ბეკენბაუერით, მაიერითა და მიულერით წაუგია 1:5 კრუიფის „აიაქსთან". სირცხვილი არც ის არის, რომ აგებ კვალიფიკაციით უფრო მაღალ გუნდთან. ან რატომ, როგორ, რისთვის არ უნდა წააგო „ბაიერთან"?

ამის გამო ვერასდროს დაგძრახავს ვინმე.

ტრაგედია ის არის, რომ ჩვენს საყვარელ, ერთადერთ გუნდს არა აქვს ხასიათი, არა აქვს საკლუბო სული, არა აქვს გონებრივი ერთობა და არა აქვს მიზანი.

„დინამოს", როგორც გუნდის დემორალიზება ხუთ წუთში შეუძლია ყველას, „ბოტევს", „ტიროლს", „ბოავიშტას", „ბაიერს". და ათას სხვას.

ყველას, გარდა ირლანდიელებისა. ჩვენ კი მათ ბოთლებს ვესვრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიგას ვიწრო შესასვლელი აქვს

## ჩემპიონთა თასის პირველი მატჩების მიმოხილვა

დიდი ბრძოლებია ჩემპიონთა თასი. ახლანდელი ეტაპის მოგებით ლიგაში ხვდებიან, სადაც ბევრი ფული, პრესტიჟი და მომავლის პერსპექტივაა.

უეფასა და თასთა თასის მფლობელი იტალიური „პარმა" ისტორიაში პირველად მონაწილეობს კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაში. პარმელთა დებიუტი ურიგო არ იყო, მათ პოლონეთის ქალაქ ლოძში „ვიძევს" 3:1 მოუგეს. საპასუხო მატჩში რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ კარლო ანჩელოტის გუნდმა შინ სამი ბურთის სხვაობით წააგოს და ლიგაში ვერ შევიდეს. გამორიცხულია — საპასუხო შეხვედრა პირწმინდად ფორმალობა იქნება.

მოკლედ, „პარმა" — „ვიძევის" დუელში ყველაფერი პირველმა თამაშმა და ენრიკო კიეზას ჰეთ-თრიქმა გადაწყვიტა. სხვათაშორის პოლონელები ნახევარდაცვასა და შეტევაში ურიგოდ არ ირჯებოდნენ, მაგრამ იტალიის მეორე გუნდისთვის მათი დაცვა მეტისმეტად იოლი ლუკმა გამოდგა. „ვიძევის" საწყისი შეტევების პასუხად, კიეზამ მე-13 წუთზე ღონიერი ჯარიმა დაარტყა — მასპინძელთა გოლკიპერმა არკადიუშ ონიშკომ თავგანწირული ნახტომით შეძლო ამ ბურთის მოგერიება. სტუმართა კარის მცველმა ჯანლუიჯი ბუფონმა კი ცოტა ხანში შიში ჭამა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც პიოტრ სჟარპაკმა მარცხენა ფრთიდან ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, ხოლო ლეხ კობილანსკიმ გაწოლილი თაური დაარტყა. ბუფონი გაშეშებული შეჰყურებდა, როგორ ცდებოდა ლოძელის დარტყმული სულ მცირე მანძილით მიზანს.

პოლონური გუნდის აქტიურობა მის ქომაგებს იმედს უსახავდა, რომ ანგარიში მალე გაიხსნებოდა. ასეც მოხდა, ოღონდ მარტივი საფეხბურთო ლოგიკის გამო ბურთი მათი კარის ბადეში შევარდა. საქმე ისაა, რომ ინტენსიური შეტევა „ვიძევს" ზურგის მოშიშვლებად დაუჯდა, რისთვისაც 28-ე წუთზე პირველად დაისაჯა. „პარმამ" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა: ერნან კრესპომ დრო და სივრცე იხელთა და საჯარიმოში კიეზას გადააწოდა, რომელმაც მეურვე მიროსლავ შიმკოვიაკი იოლად ჩამოაშორა და ბურთი მეტოქის კარში, შორეულ ძელთან შეაგდო. შემდგომი მომენტები კვლავ პარმელებისა იყო, მაგრამ იმავე კიეზამ, კრესპომ და დინო ბაჯომ დამაგვირგვინებელ დარტყმებს სიზუსტე დააკლეს.

იტალიელებს წესით გული უნდა დაწყვეტოდათ, თამაში პირველსავე ტაიმში რომ არ მოკლეს, მაგრამ შესვენება დამთავრდა თუ არა, „მკვლელობა" მოხდა, თანაც ოთხ წუთში. მკვლელის გვარი, როგორც იმთავითვე მოგახსენეთ, კიეზა გახლავთ. მისი მეორე და მესამე გოლი ისევ მასპინძელთა დაცვის უხეში შეცდომებით იყო განპირობებული.

„ვიძევს" გული უკრაინელმა ანდრეი მიხალჩუკმა მოფხანა, „პარმას" საჯარიმოში მისი სამკაციანი დრიბლინგი და აუღებელი დარტყმა 53-ე წუთზე განხორციელდა, ამის შემდეგ კი პოლონელები მარცხს შეეგუენ. მათ მხოლოდ კუთხურებში გაიმარჯვეს 9:3.

ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს ანჩელოტის მიერ ლოძში გაყვანილი შემადგენლობის გაცნობა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო, ბენარივო, სენსინი, კრიპა, დ. ბაჯო, პედროსი (სტრადა 60), კრესპო (მანიერო 61), კიეზა (ფიორე 80).

ახლა ინგლისში, ნიუკასლში გადავინაცვლოთ, სადაც ჩვენი თემურ ქეცბაიას „ნიუკასლ იუნაიტედმა" ჯონ ბერესფორდის და ჩეხი არბიტრის ვაცლავ კრონდლის შემწეობით ხორვატულ ზაგრების „კროაციას", ყოფილ „დინამოს" 2:1 მოუგო. ჯერ არბიტრით დავიწყოთ. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე „კროაციას" მეკარე დრაჟენ ლადიჩი ფაუსტინო ასპრილიასთან მაღალი ბურთისთვის საბრძოლველად გამოვიდა, მაგრამ კოლუმბიელის მიერ გადათელილი დარჩა. ასპრილიას, ვგონებთ, ბურთისთვის ბრძოლა არც უფიქრია, გოლკიპერს ეძგერა. ლადიჩი ბუნებრივია წაიქცა, ბერესფორდმა კი ანგარიში 2:1 გახადა და ინგლისურ გუნდს პირველ შეხვედრაში გამარჯვება ჩაუწერა. ხორვატებმა სრულიად სამართლიანი პროტესტი გამოთქვეს, თუმცა შედეგად მხოლოდ ის მიიღეს, რომ გადათელილ ლადიჩს ზედაც ყვითელი ბარათი ერგო.

ზოგადად, „კროაცია" „ნიუკასლს" არაფრით ჩამოუვარდებოდა გარდა სირბილისა. იყო ასპექტები, რომლებშიც ხორვატები ინგლისის სახელოვან გუნდს სჯობდნენ კიდეც. მოკლედ, თუ კენი დალგლიშს თავისი ბიჭების ლიგაში გაყვანა სურს, ზაგრებში ისინი ჩინებულად უნდა ათამაშოს. ამოცანა მართლაც რთული აქვს.

— ძლიერი გუნდი ჰყავთ — თქვა მატჩის შემდეგ დალგლიშმა. საპასუხო თამაში ერთობ ძნელი გველის. გამარჯვების გოლი რომ გავიტანეთ, ცოტა იღბალმა შეგვიწყო ხელი, მაგრამ ვფიქრობ, ამ გოლის გატანას ვიმსახურებდით.

სტუმართა გამართული თამაში თვალში საცემი იყო. მათ ბურთი დაცვიდან ნახევარდაცვაში ოსტატურად გადაჰქონდათ, წინ კი შედარებით უჭირდათ, რადგან ინგლისური გუნდის მცველები ალესანდრო პისტონე, ფილიპ ალბერი და სტიუფრტ პირსი საუცხოოდ ირჯებოდნენ. ამ სამეულს მეკარე შეი გივენიც კარგად უმაგრებდა ზურგს. საქმე ისაა, რომ ხორვატთა ჩინებული ნახევარმცველი დანიელ სარიჩი მოედნის შუიდან მეტოქის დაცვას მწვავე პასებით აპობდა, მისი ჩაწოდებების უვნებელსაყოფად კი გივენს მთელი საჯარიმო მოედნის ათვისება სჭირდებოდა.

„ნიუკასლი", თავის მხრივ, ფრთებიდან შეტევას აქცევდა საგანგებო ყურადღებას. საამისოდ ინგლისელებს განაპირა მცველები სტივ უოტსონი და ზემოხსენებული ბერესფორდი ჰყავდათ დატვირთული და აღსანიშნავია, რომ მათ ხორვატებს გვარიანი პრობლემები შეუქმნეს. თავდასხმაში ასპრილია ეულად იყო განწესებული. სწორედ ამისთვისაც იყო აუცილებელი მოედნის სიღრმიდან მისი მხარდაჭერა.

ზაგრებელთა შეტევების უმრავლესობას ესპანეთიდან სამშობლოში დაბრუნებული რობერტ პროსინეჩკიც ასვამდა თავის დაღს. სწორედ მისი 25 მეტრიდან დარტყმულის მოგერიება მოუხდა გივენს, მაგრამ მალე მასპინძლებმაც უპასუხეს — უოტსონის პასით ბერესფორდი იყო მიზანთან ახლოს.

შემდეგ თემურ ქეცბაიამ, რომელიც მსუბუქი, მოზომილი დარტყმებით თუ პასებითაა ცნობილი, ბერესფორდს შეუქმნა ჩინებული მდგომარეობა, მაგრამ მან თავის მხრივაც ჩაწოდება განიზრახა და ბურთი ლადიჩმა იოლად იგდო ხელთ. ამ ეპიზოდში „სენტ ჯეიმსის" ტრიბუნებს ერთიანი ოხვრა ამოხდა. მოგვიანებით ტრიბუნებმა გაიხარა: უოტსონის, ასპრილიას, ლის და ბერესფორდის კომბინაცია გოლით დასრულდა.

„კროაციამ" სახიფათო მომენტებით უპასუხა. ჯერ მარიჩის პასით სარიჩმა დაარტყა თაური, რომელიც გივენმა აილო, ძეძდეგ პროსინეჩკის დარტყმულმა ჯარიმამ ოდნავი მანძილით ჩაუქროლა მასპინძელთა კარს. ზაგრებელებმა უოტსონსა და ბერესფორდს მჭიდრო მეურვეებიც მიუჩინეს, რითაც ინგლისელთა შეტევებს აშკარად მოაკლდა სიმწვავე.

მეორე ტაიმის მეშვიდე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. ხორვატიის ბოლო ორი ჩემპიონატის ბომბარდირმა იგორ ცვიტანოვიჩმა მიაღწია მიზანს, თუმცა ამ გოლში ლომის წილი მარიჩმა დაილო. მარიჩი, რომელიც უახლოეს მომავალში ალბათ „მილანის" ფეხბურთელი გახდება, „ნიუკასლის" დაცვაში შეიჭრა და როდესაც შენიშნა, რომ პისტონე მისკენ ბურთის წასართმევად მიიწევს, იგი ცვიტანოვიჩს გადააწოდა ოსტატურად.

ეს შეხვედრა ნამდვილადაა იმის ღირსი, რომ ორივე გუნდის შემადგენლობა გაგაცნოთ. ნიუკასლი: გივენი, პისტონე, ალბერი (ჰაუი 67), პირსი, ლი, ბეტი, ქეცბაია, ბერესფორდი, უოტსონი, ტომასონი (გილესპი 56), ასპრილია. კროაცია: ლადიჩი, კრუნარი, მარიჩი (მუიორინი 89), ჯურიჩი, მალდინიჩი, პროსინეჩკი, ვიდუკა, სიმიჩი, სავიჩი (ტომასი 84), ცვიტანოვიჩი, ჯურჩიჩი

შვედეთის ქალაქ გიოტებორგში შოტლანდიის ჩემპიონი „გლაზგო რეინჯერსი" დარწმუნდა, რომ მაღალ, ევროპულ კლასამდე ბევრი აკლია: „გიოტებორგმა" „რეინჯერსს" 3:0 მოუგო. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ძალიან აკლდათ დანიელი ბრიან ლაუდრუპი, რომელიც ჩუტყვავილამ ლოგინად ჩააგდო, მაგრამ პატივმოყვარე გუნდს მაინც მეტი მართებდა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, სტეფან პეტერსონმა და პარი კარლსონმა 0:0 უცბათ 2:0-ად აქციეს, თამაშის ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა პეტერ ერიქსონმა მესამეც დაამატა.

— ბუნებრივია გაწბილებული ვარ, მითუფრო მეორე ტაიმით — განაცხადა გლაზგოელთა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა — პირველ ნახევარში თითქოს არა გვიშავდა, მაგრამ შესვენების შემდეგ დაცვაში უხეში შეცდომები დავუშვით და „გიოტებორგმა" სწორედ ამით ისარგებლა, თორემ თავად დიდს ვერაფერს ქმნიდა.

„გიოტებორგის" მწვრთნელი მატს გინგბლადი: — ჯერ მხოლოდდამხოლოდ პირველ თამაშში გამარჯვებულად ვთვლით თავს. წინ მთელი მატჩია.

„რეინჯერსის" შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა პოლ გესქოინი, რომელმაც წინა შესარჩევი რაუნდი ფარერების „გოტუს" წინააღმდეგ გამოსტოვა. გესქოინმა „გიოტებორგთან" შეხვედრაში შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

რუმინეთის დედაქალაქში „სტიაუა" ორჯერ ჩამორჩებოდა საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონ „პარი სენ ჟერმენს", მაგრამ საბოლოოდ 3:2 გაიმარჯვა. გამარჯვების გოლი თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ბუქარესტელმა ვეტერანმა მარიუს ლაკატუშმა გაიტანა.

პარიზელებმა მთავარ კოზირად სწრაფი კონტრშეტევები გამოიყენეს და მე-19 წუთზე ვინსენ გერენმა გახსნა კიდეც ანგარიში. მეორე ტაიმის მე-9 წუთზე მასპინძლებმა პენალტით გათანაბრეს ანგარიში — გოლი იოსიფ როტარიუმ გაიტანა, მაგრამ გამოხდა ათი წუთი და ფლორიან მორისმა ფრანკ გავას პასით ისევ ფრანგთა გუნდი დააწინაურა.

„სტიუას" კაპიტანმა და მეორე მწვრთნელმა მარიუს ლაკატუშმა, როგორც გითხარით, რუმინელთა ხსნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა: მან არა მხოლოდ გამარჯვების გოლი გაიტანა, არამედ 71-ე წუთზე დენის სერბანს გაათანაბრებინა კიდეც ანგარიში.

მატჩის შემდეგ „სტიაუას" მწვრთნელმა მიჰაი სტოიჩიტამ თქვა: — ძალიან მიხარია, რომ „პარი სენ ჟერმენს" სამი გოლი გავუტანეთ, მაგრამ საპასუხო შეხვედრისთვის დაცვის გამოსწორება მოგვიხდება. ვერავის დავპირდები, რომ პარიზში არ წავაგებთ და ლიგაში მოვხვდებით, მაგრამ დღევანდელზე უკეთ რომ ვითამაშებთ, ფაქტია.

თავისი აზრი გამოთქვა „სენ ჟერმენის" ბრაზილიელმა თავკაცმა რიკარდუმაც: — ვწუხვარ, რომ შესარჩევ ეტაპზე თამაში წავაგეთ. ეს იმის ბრალია, რომ თავდასხმაში სიმძლავრე გვაკლდა. პარიზში „სტიაუას" სახიფათო ფორვარდებს ჩვენს საჯარიმომდე იოლად აღარ მივუშვებთ.

ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონ „ფეიენოორდს" ფინური „ჯაზის" წინააღმდეგ სამი პენალტის დარტყმა მოუხდა, საბოლოო ანგარიში კი იყო 6:2, ცხადია, ჰოლანდიელთა სასარგებლოდ. იმ სამი თერთმეტმეტრიანიდან ორი ჟან პოლ ვან გასტელმა გაიტანა, ერთი კი გუნდის ახალმა ფეხბურთელმა, არგენტინელმა ხულიო რიკარდო კრუსმა ააცილა. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში „ფეიენოორდი" ათი კაცით თამაშობდა, რადგან პირველი ნახევრის ორი გოლის ავტორი ჰენკ ფოსი შესვენების შემდეგ მალე გააძევეს მოედნიდან. პირველი ტაიმის ანგარიში 3:1 გახლდათ.

ბუდაპეშტში, მტკ ნორვეგიულ „რუსენბორგს" 3:2-ს რომ უგებდა, სტადიონზე სინათლე გამოირთო და თამაში შეწყდა. დამთავრებას, იმ დროისთვის, 23 წუთი აკლდა. წყალში ჩაიყარა უნგრელი ეგრესის ორი, კენესეის ერთი და ნორვეგიელი რუშფელდტისა და ბრატბაკის თითო გოლი. გადათამაშება მეორე დღისთვის დაინიშნა. ეტყობა, წინა დღის ამბებიდან უკეთესი დასკვნა ნორვეგიელებმა გამოიტანეს, რადგან გადათამაშებაში მეტად ივარგეს და 1:0 მოიგეს კიდეც. 70-ე წუთზე მათმა ცნობილმა მოთამაშემ მინი იაკობსენმა გოლი გაიტანა, მაგრამ ბოლო დარტყმის წინ ბურთისთვის ხელი გაუკრია და მსაჯმა არ ჩათვალა. მიუხედავად ამისა, „რუსენბორგი" არ დაიბნა და 82-ე წუთზე მაინც მიაღწია საწადელს — რუნარ ბერგის ჩაწოდებულ კუთხურს ხიგუნდ რუშფელდტმა სწორი თაური დაახვედრა. საინტერესოა, რომ განმეორებით შეხვედრას ექვსი ათასი კაცი დაესწრო, რაც პირველზე ათასით მეტია.

ბოლოს კი ლატვიელთა გმირობის ამბავი ვახსენოთ. რიგის „სკონტოსთვის" ბარსელონაში 2:3-ის წაგება, თან ისე, რომ ევროპული ფეხბურთის ამ გიგანტმა გამარჯვების გოლი 93-ე (!) წუთზე პენალტით გაიტანოს, ნამდვილად დიდი შედეგია.

ანგარიში სულაც რიგელებმა გახსნეს, ეს 25-ე წუთზე ბაბიჩევიჩმა შეძლო. 27-ზე ჯოვანიმ გაქვითა, მაგრამ „სკონტო" თბილისის „დინამო" არ გეგონოთ — 46-ე წუთზე აბელარდომ, თავის კარში გატანილი გოლით, ისევ ლატვიელები დააწინაურა. 70 ათასმა კატალონიელმა ქომაგმა ოდნავი შვება იგრძნო, ჯოვანიმ კიდევ ერთხელ რომ გაქვითა, 93-ზე კი ამოისუნთქა, როდესაც სტოიჩკოვმა პენალტით გამობდღვნა გამარჯვება კერკეტ სტუმრებს.

**პაპუნა ძიძია**



REUTERS

ზალცბურგი — პრაღის სპარტა. მასპინძელთა ლიტველი ივანაუსკასის დარტყმას სვობოდა გადაეღობა



ორი გოლის ავტორი და გაძევებული ჰენკ ფოსი

# კროაციას მეტი შანსი აქვს

...აღიარა „ნიუკასლის" ნახევარმცველმა **თემურ ქეცბაიამ**, ვისაც ხუთშაბათს დილით შევეხმიანე და ცხადია, არა მარტო ჩემპიონთა თასის მატჩზე ვესაუბრე. ისე, „კროაციასთან" მატჩის მეორე დღე, ვგონებ, ჩვენებურისთვის პირველი თავისუფალი დღე იყო ინგლისში ჩამოსვლის მერე.

— შედეგით, ცხადია, კმაყოფილები არა ვართ. ბოლო-ბოლო ამ ანგარიშს 1:0 ჯობდა. ისე, უნდა ვაღიარო, რომ „კროაცია" ძალიან ძლიერი გუნდია და ალალად რომ გითხრათ, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი მას უფრო მეტი აქვს.

**— კარგი, ეს ორ კვირაში გაირკვევა, ახლა კი იმაზე გვითხარი, როგორ მოეწყვე ნიუკასლში.**

— თავიდან სასტუმროში ვცხოვრობდი, ორიოდ კვირის წინ კი სახლი გამომიყვეს. აქ ჩემამდე „ტოტენჰემში" წასული ფრანგი ჟინოლა ცხოვრობდა. მანქანა, ცხადია, უახლესი მოდელის „როვერსი" მყავს, ვინაიდან ეს ფირმა „ნიუკასლის" ერთ-ერთი სპონსორია. რაც შეეხება მაისურის ნომერს, ის მე არ ამირჩევია — თავად მომაკუთვნეს.

**— ნომერი ახალი გაქვს. ამპლუაც ხომ არ შეგიცვალეს?**

— ოდნავ. ისევ ნახევარდაცვაში კი ვთამაშობ, მაგრამ აეკში უფრო დაცვისკენ მეჭირა თვალი, აქ კი მარცხენა შემტევ ნახევარმცველად გამამწესეს.

**— ესე იგი, „ლივერპულიდან" გადმოსული ჯონ ბარნსი შენი კონკურენტი ვერ იქნება?**

— არა მგონია, ბარნსი ამ ადგილს შემეცილოს. ის ამისთვის უკვე საკმაოდ ხანდაზმულია და საერთოდაც, ვფიქრობ, რომ ბარნსი უფრო შემცვლელად იქნება ჩვენს გუნდში, ვიდრე ძირითად მოთამაშედ.

**— გუნდში ვისთან უფრო დამეგობრდი?**

— ყველასთან კარგად ვარ, მაგრამ გარემოებათა გამო უფრო დანიელ ტომასონთან და იტალიელ პისტონესთან ვახლობლობ. ესენიც ჩემსავით „ნიუკასლის" ახალწვეულები არიან და ერთი ხანობა იმავე სასტუმროში ცხოვრობდნენ, რომელშიც მე. კარგი ურთიერთობა მაქვს კენი დალგლიშთანაც. სხვათა შორის, ჩემპიონობის გარდა არაფრის გაგონება სურს.

**— შენი აზრით, რეალურია ეს სურვილი?**

— რა თქმა უნდა. ორი წელია, ვიცე-ჩემპიონები ხდებიან და აბა სხვა რაზე უნდა ვიფიქროთ?

**— მთავარ კონკურენტად ვის თვლი?**

— „მანჩესტერ იუნაიტედს", „ლივერპულს" და „არსენალს". ისე, „ჩელსიც" კარგი გუნდია, მაგრამ არა მგონია, ამ ოთხეულს შეგვეცილოს.

**— ქინქლაძეს თუ ხვდები?**

— ჯერ ვერ მოვახერხე, მაგრამ ტელეფონით, ცხადია, ხშირად ვსაუბრობთ. ახლა რამდენიმე დღე ვისვენებ და ორი რამ დავგეგმე — გიო უნდა მოვინახულო, შაბათ-კვირას კი მეუღლესთან ერთად ლონდონის დათვალიერებას ვაპირებ.

**დავით მჭედლიშვილი**
**ლონდონიდან**

# ქართველებს „ბარსელონასთან“ შეაშკაციათ

„ბარსელონასთან“ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე რიგაში რეზო ძოძუაშვილს რომ შევეხმიანე, ჩვეული რიხით მითხრა, რა მოხდა, რომ სახელოვანი გუნდია, თამაში ყველასთან შეიძლებაო. რაღა დავმალო, ვიფიქრე, თავს იმხნევებს, თორემ „ბარსელონასთან“ „სკონტო“ რა მოსატანია-მეთქი. ძნელი წარმოსადგენი იყო ლატვიელებს მსოფლიოს ერთ-ერთი უტიტულოვანესი და უძლიერესი გუნდისთვის საკადრისი ბრძოლა გაემართა. შევცდი, სულის სიმხნევეს მართლაც ბევრი შესძლებია. შეუშინდნენ კი არა, „ბარსელონას“ კინაღამ ქულა გამოსტყუეს!

ლატვიელებს ღმერთი შეეწიოს და ჩვენ ეს თამაში უმთავრესად „სკონტოს“ ქართველთა გამო გვაინტერესებს. რეზო ძოძუაშვილი მატჩის შემდეგაც მშვენიერ ხასიათზე იყო და მისი კარგად მესმის. აბა, ევროპაში მორცხვად ფეხშედგმულ „სკონტოს“ მწვრთნელებს „ბარსელონას“ დაჩოქებას ვინ მოსთხოვდა. მათ მხოლოდ ლაჩრული წაგების სირცხვილი უნდა აეცილებინათ თავიდან და რაოდენ სასიხარულოა, რომ კატალონიელებისთვის ყველაზე დიდი ბრძოლა ქართველებს გაუმართავთ. დაუჯერებელია — ბრძოლა თურმე ჩვენც შეგვძლებია. ახლა თავად მიხიჩას მოვუსმინოთ:

— ბარსელონაში შეხვედრამდე რამდენიმე ხნით ადრე მეტოქის დასაზვერად ჩავედი. ცალკეულ მოთამაშეთა ღირსება-ნაკლოვანებებს ახლოდან უნდა გავცნობოდი, თანაც მაინტერესებდა, ვან გაალმა მოასწრო თუ არა შეთამაშება. „ბარსელონა“ — „მალიორკას“ საკონტროლო შეხვედრა ვნახე და, უნდა გითხრათ, რომ დაუმარცხებელი და მით უფრო იდეალური გუნდის შთაბეჭდილება ნაღდად არ დაუტოვებია. გარკვეული ხარვეზები მის თამაშშიც შევნიშნე. ამის გამო ნამეტანი შიში შეხვედრამდე არც გვქონია. მოთამაშეებთან ტაქტიკასა და ათასგვარ სათამაშო ვარიანტებზე ვსაუბრობდი, მაგრამ მთავარი საბრძოლო განწყობა იყო. მოთამაშემ უნდა გაითავისოს, რომ დაუმარცხებელი გუნდი დღევანდელ ფეხბურთში არ არსებობს. დასტურად ეს შეხვედრაც გამოდგება. მასპინძლები ჩვენმა თავდადებამ დააბნია. ისინი ამგვარ მძაფრ წინააღმდეგობას არ ელოდნენ და თავიდან შედრკნენ. თამაშს მთლიანად ვერ მოგიყვებით, მაგრამ გეტყვით, რომ სილაგაძე და რეხვიაშვილი „სკონტოში“ საუკეთესონი იყვნენ. ჩალაძე კი ჯერ ფეხნატკენია, თუმცა, შესაძლოა, რიგაში ითამაშოს.

**— სილაგაძესა და რეხვიაშვილს რა ევალებოდათ?**

— რეხვიაშვილი საყრდენ ნახევარმცველად ვათამაშეთ და ბევრიც იმუშავა, სილაგაძემ კი ჯოვანის სისხლი გაუშრო.

**— ეს როგორ გავიგოთ, ჯოვანიმ ხომ ორი გოლი გაიტანა?**

— საქმე ისაა, რომ სტარკოვთან თაობირის შემდეგ პრესინგის ნაცვლად ზონური თამაში ვამჯობინეთ. ჰოდა, ლევანმა თავის ზონაში ბრაზილიელი არ გააჭარა, თითქმის ყველა ორთაბრძოლაში აჯობა, ჯოვანის გოლები კი ზემლინსკის ზონიდან გავიდა. ასე რომ, სილაგაძეს გაშვებულ ბურთებში ბრალს ვერ დავდებ. ეს ბიჭი მართლაც მაოცებს. მას ძალიან ბევრი შესძლებია. ეს „ბარსელონასთან“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ჩემი აზრით, იმ დღეს სილაგაძე ორივე გუნდში საუკეთესო მოთამაშე იყო. ძალიან მომეწონა ჯოვანიც.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენი სამეულის მომავალი კიდევ „სკონტოს“ დაუკავშირდება?**

— სავსებით შესაძლებელია, ისინი გაცილებით ძლიერ გუნდებში ვიხილოთ. ჯერ არ მსურს კონკრეტულად საუბარი, რადგანაც ახლა რამდენიმე ვარიანტს განვიხილავთ, მაგრამ ვიმეორებ — ჩვენი ბიჭების უცხოეთის ძლიერ გუნდებში გადასვლა სავსებით შესაძლებელია. გერმანიის და ინგლისის ვარიანტებს ახლა ესპანურიც დაემატა, ყველაფერი კი ნოემბერში გადაწყდება. მთავარია, რომ ჩვენებმა გამოცდილება შეიძინეს, ბრძოლას შეეჩვივნენ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფასიც დაიდეს, მით უფრო „ბარსელონასთან“ შეხვედრის შემდეგ.

დათო ჩალაძის ტრავმის შესახებ ბარსელონის მატჩამდე გაუწყეთ. სამწუხაროდ, ამ მიზეზით გამოტოვა ეს უმნიშვნელოვანესი მატჩი.

— არ დამიჯერებ და უნდა მოგვეგო. რა ჩაიდინა ბოლო წუთზე სტეპანოვმა, ახლაც ვერ ამიხსნია. ბურთი გადადიოდა და მან ხელით რატომ ითამაშა...

**— ეგ კარგი, მაგრამ შენს ფეხს აღარ ემველა...**

— რა მჭირს, ვერ გავიგე. ვერც ექიმები მეუბნებიან რაიმე სახეიროს. ისე დასიებული აღარ მაქვს, მაგრამ მაინც ვგრძნობ ტკივილს. ცოტა-ცოტას დავძუნძულებ. გაფიქრებაც არ მინდა, რომ განმეორებით მატჩსაც ვერ ვითამაშებ.

**— რიგაში როგორი დახვედრა მოგიწყვეს?**

— დღემდე არ სჯერათ, რომ ასე ვითამაშეთ. დიდიან-პატარიანად ლამის შეიშალნენ. იმედი მიეცათ, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდებით.

**— შენ თუ გჯერა?**

— როგორ გითხრა. ისე ვითამაშეთ, მართლა მომეცა იმედი. 4-5 საგოლე მომენტიც ვერ გამოვიყენეთ. მე მგონი, უნდა მოვიგოთ...

**— ბოლოს და ბოლოს, მინდორზე როდის გამოხვალ?**

— 22 აგვისტოს სან სებასტიანში, „რეალ სოსიედადს“ ვხვდებით ამხანაგურ მატჩში. იქამდე 7-8 დღეა და უნდა მოვრჩე. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ „ბარსელონასთანაც“ ვითამაშებ.

ამის მერე ჩემი კითხვების ადრესატი მატჩის გმირი ლევან სილაგაძე გახდა.

**— ლევან, ჯოვანიმ შენთან ორთაბრძოლაში გაიტანა ორი გოლი?**

— არა, ჩვენ ზონურად ვითამაშეთ. ჯოვანის და პიცის ჩვენი ის მცველი ეთამაშებოდა, ვინც კონკრეტულ სიტუაციაში მათთან ახლოს აღმოჩნდებოდა. თუ დამიჯერებ, ჯოვანის არაფერი დავუთმე. ოთხი მცველით ვითამაშეთ და კაცზე მე და სტეპანოვი ვიყავით. სტეპანოვს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ ის პენალტი რამ ააკიდებინა, ვერაფრით მივმხვდარვარ...

**— რეხვიაშვილი რა ფუნქციებს ასრულებდა?**

— რეხვო საყრდენ ნახევარმცველს თამაშობდა და ცოტა-ცოტას დაცვასაც გვეხმარებოდა. ჩირიჩს და ლუის ენრიკეს ეთამაშებოდა და მაგრად იმუშავა.

**— სტოიჩკოვთან თუ მოგიწია ორთაბრძოლა?**

— სტოიჩკოვი ბოლო 15 წუთი შემოვიდა და იმწამსვე დაატყო თავისი ხელი. პენალტიც აუღელვებლად დაარტყა.

**მამუკა ქვარაცხელია**

# ბრიტანელებსა და ბოლშევიკებზე

Cup Winners' Cup

## თასების თასის პირველი მატჩების მიმოხილვა

„გლენავონმა“ ვარშავის „ლეგია“ გააოცა. განსაკუთრებით კარგად ჩრდილოირლანდიელებმა მეორე ტაიმში ითამაშეს. მოედანს რომ ტოვებდნენ, გულშემატკივრებმა ტაში დაუკრეს, მწვრთნელმა ბესტმა კი განაცხადა, თავისუფლად შეიძლება ჩვენს დღევანდელ თამაშს ისტორიაში საუკეთესო ეწოდოსო.

— ჩვენ მომენტებს ვქმნიდით და მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო. ფრეს ვიმსახურებდით, მაგრამ არც გამარჯვება იქნებოდა ულირსი. ვარშაველები მეორე თამაშში მეტი სიფრთხილით და პატივისცემით მოგვეპყრობიან, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ფავორიტად მაინც „ლეგია“ რჩება — დასძინა მან.

„გლენავონის“ ნახევარმცველს, გუნდის კაპიტანს, სარეკორდო, 32 საერთაშორისო თამაშის მონაწილე ლი დოჰერტის სწამს, რომ მისმა მოყვარულმა თანაგუნდელებმა შესაძლოა პოლონეთში მოიგონ კიდეც.

— 0:2 რომ წაგვეგო, წესით უკმაყოფილოები არ უნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ თამაშის მიწურულს ვიგრძენით, რომ მოგებაც მშვენივრად შეგვეძლო — თქვა დოჰერტიმ.

შესვენებაზე ჩრდილოირლანდიელები დამარცხებულნი გავიდნენ. პირველი ნახევრის ანგარიში 0:1 იყო, მაგრამ მეორე ნახევარში მოედანზე ჯეიმს მაკკერტენის გასვლამ ყველაფერი შეცვალა. მან ბრიტანელთა შეტევის მარჯვენა ფრთიდან „ლეგიას“ დაცვა გვარიანად დატანჯა. ქების ღირსნი არიან „გლენავონის“ თავისუფალი მცველი პოლ ბირნიც, სტოპერი მარკ გლენდინინგი, ნახევარმცველი სტივენ კეფრი და თავდამსხმელები გლენ ფერგიუსონი და ტონი გრანტი.

„ლეგიამ“ კი თამაში ისე დაიწყო, გეგონებოდა, ჩანჩურა მოწინააღმდეგეს ახლავე დაბრდღვნისო. 32-ე წუთზე დარიუშ სოლნიკას პასით ტომაშ სოკოლოვსკიმ 22 მეტრიდან გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმში სურათი ისე გამოიცვალა, 59-ე წუთზე გრანტმა ანგარიში რომ გაქვითა, გასაკვირი აღარც იყო. საგოლე კომბინაცია მაკკერტენმა წამოიწყო, მისი ჩაწოდებული ფერგიუსონმა გრანტს თავით დაუგდო და მანაც, ასე, 20 მეტრიდან მიზანს მიაღწია.

79-ე წუთზე ესპანელმა მსაჯმა ხუან მარინსმა დოჰერტის ჩაიდაყვებისთვის მარკინ მიცელი გააძევა მოედნიდან და ბოლო წუთებში პოლონელები ათი კაცით დასტოვა მოედანზე.

იქვე, ბრიტანეთში, შოტლანდიურმა „კილმარნოკმა“, რომელიც საერთაშორისო სარბიელზე აგერ უკვე 27 წელია არ გამოჩენილა, ირლანდიურ „შელბურნს“ 2:1 აჯობა. ბოლო წუთამდე 1:1 იყო, მაგრამ მასპინძელმა პოლ რაიტმა ზედ საფინალო სასტვენის წინ მოახერხა ირლანდიელთათვის გამარჯვების ხელიდან გამობრდღვნა — ბურთი მეტოქის გოლკიპერ ალან გაფს თავზე გადაატარა.

მანამდე, 65-ე წუთზე, ალექს ბარკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი იმავე რაიტმა აქცია გოლად. თავიდან კი სტუმრები იგებდნენ: „ბირმინგემ სიტის“ ყოფილმა ფეხბურთელმა მარკ რაზერფორდმა, მე-12 წუთზე, ცაცია დარტყმით იოლად დასცა იუგოსლაველი დრაგოიე ლეკოვიჩის კარი.

უელსურმა „ქეიმბრან თაუნმა“ რუმინეთის დედაქალაქის გუნდთან, „ნაციონალთან“ შინ 2:5 წააგო — ესეც კიდევ ერთი ბრიტანული გუნდი.

კიდევ იყო სამი საბჭოურყოფილი წყვილი. ესტონური „ტალინა სადამისა“ და ბელარუსის „ბელშინას“ თამაში 1:1 დამთავრდა, ასევე მორჩა მოლდავური „ზიმბრუს“ მატჩი უკრაინულ „შახტიორთან“, „ბათუმისა“ და „არარატის“ ამბავი კი „სარბიელის“ პირველ გვერდზე გაქვთ წაკითხული.

რაც შეეხება სოციალისტურ წყვილს: ბულგარულმა „ლევსკიმ“ და სლოვაკურმა „სლოვანმა“ თითო გოლი შეუგდეს ერთმანეთს.

**პაპუნა ძედია**

### თასების თასის შესარჩევი წრე

პირველი მატჩები. 14 აგვისტო

Cup Winners' Cup

ჰიბერნიანსი (მალტა) — ვესტმანაეიარი (ისლანდია) 0:1
**0:1 იოჰანესონი (70)**

სადამი (ტალინი, ესტონეთი) — ბელშინა (ბობრუისკი, ბელარუსი) 1:1
**0:1 ხრიპუხი (18), 1:1 ოლუნეტსი (49)**

ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) — ჰაპოელი (ბეერ შევა, ისრაელი) 0:0

ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) — სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) 1:1
**1:0 ივანოვი (18), 1:1 ნოვაკი (65)**

დინაბურგი (დაუგავპილსი, ლატვია) — ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი) 1:0
**1:0 ტარასოვი (35)**

ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) — შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) 1:1
**0:1 ატელკინი (45), 1:1 ზგურა (75)**

პრიმორიე (აიდოვშინა, სლოვენია) — უნიონი (ლუქსემბურგი) 2:0
**1:0 საბადინი (37), 2:0 სკულაჩი (86 პ)**

კილმარნოკი (შოტლანდია) — შელბურნი (ირლანდია) 2:1
**0:1 რაზერფორდი (12), 1:1 რაიტი (65 პ), 2:1 რაიტი (90)**

ქეიმბრან თაუნი (უელსი) — ნაციონალი (ბუქარესტი, რუმინეთი) 2:5
**0:1 ვასკი (34), 0:2 ნიკულესკუ (47), 0:3 ნიკულესკუ (62), 1:3 პარფიტი (76 პ), 1:4 ლიტა (77), 1:5 ლიტა (80), 2:5 თაუნსენდი (84)**

გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) 1:1
**0:1 სოკოლოვსკი (32), 1:1 გრანტი (59)**

ბალცერსი (ლიხტენშტეინი) — ვაშაში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1:3

ტორსჰავნი (ფარერის კუნძულები) — აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) 1:1
**1:0 არგე (19), 1:1 ალექსისი (40)**

სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) — ზაგრები (ხორვატია) 1:2
**1:0 პეტკოვი (69), 1:1 ბულე (77), 1:2 შიზმეკი (90)**

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიის** ნაკრებმა ატლანტის ოლიმპიადაზე იაპონელებთან 0:1 დამარცხებისთვის შური ოსაკაში იძია და მასპინძლებს 3:0 მოუგო. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა „ნაგაის“ სტადიონზე შეკრებილ 46 ათას იაპონელს შესანიშნავი თამაში აჩვენეს. ორი გოლი ფლავიო კონსეისაომ გაიტანა, ერთიც — ჟუნიორმა.

**ინგლისის „ბლექბერნ როვერსი“ უახლოეს მომავალში „ლივერპულის“ გარემარბ მარკ კენედის შეძენას აპირებს. ინგლისის 1995 წლის ჩემპიონები მზად არიან, 21 წლის ირლანდიელში 2 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. თავად ფეხბურთელმა განაცხადა, ლივერპულში სკამის ხეხვის მეტს არაფერს ვაკეთებ, იმედია „ბლექბერნში“ გადასვლით მაინც ვიხეირებო.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა მოთამაშეთა დასჯა დაიწყო. სეზონის წინ ჰოლანდიაში გამართულ ამხანაგურ მატჩში მსაჯის შეურაცხყოფისთვის პრემიერლიგას სამი თამაშით მოეკვეთნენ „არსენალის“ წევრები — პატრიკ ვიეირა და მეტიუ აპსონი.

**იტალიის „ვიჩენცამ“ ესპანეთის მეორე დივიზიონის გუნდ „ლოგრონიესიდან“ ურუგვაელი მცველი რიკარდო კანალსი შეიძინა მილიონ 800 ათას დოლარად. კანალოსმა „ვიჩენცასთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სავარაუდოდ პირველ შეხვედრას 23 აგვისტოს იტალიის სუპერთასზე „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ითამაშებს.**

**ესპანეთში** დიდი გარიგება მოხდა: „ბარსელონამ“ რონალდოს თანამემამულე რივალდო შეიძინა ლა-კორუნიის „დეპორტივოდან“. თანხას არ იკითხავთ? — 25 მილიონ 800 ათასი დოლარი! ეს დაახლოებით იმდენივეა, რაც კატალონიელებმა რონალდოში აიღეს. რივალდოს გადაბირებამდე „ბარსელონა“ „ლივერპულს“ 19 მილიონ დოლარს აძლევდა სტივ მაკმანამანში, მაგრამ ინგლისელებმა იუარეს. რივალდოს კონტრაქტი ექვსწლიანია.

**გერმანიაში თასის გათამაშების პირველი წრის შეხვედრები ასე დასრულდა: ხემნიცერი — კარლსრუე 1:3, ლაიპციგი — გიუტერსლოჰ 2:1, ცვიკაუ — შალკე 04 0:1, ვარნემიუნდე — დორტმუნდი 0:8, კარლ ცაისი — ზანქტ პაული 1:1 (პენ. 4:2), მანჰაიმი — ვატენშაიდი 2:2 (პენ 4:3)**

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა“ გერმანიის „ჰამბურგს“ შესთავაზა, მეკარე რიჩარდ გოლცი მომყიდეო. როგორ დასრულდება ეს ამბავი, მალე გამოჩნდება, მაგრამ თავად მეკარემ, ვინც 1985 წლიდან „ჰამბურგში“ თამაშობს, განაცხადა — მაინც სათადარიგოდ ვითვლები, არ ჯობს ბრიტანეთში გამიშვათო?

**გერმანიის „შტუტგარტის“ მოთამაშე ტორსტენ ლეგატი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა 25 ათასი მარკით დააჯარიმა. მან დინამოს გამანადგურებელ ლევერკუზენელ ნკო კოვაჩს თავი დაარტყა.**

**ხორვატი** მცველი ნიკოლა იერკანი, „ნოტინგემ ფორესტში“ რომ თამაშობდა, ინგლისელებმა ერთი წლით ვენის „რაპიდში“ გაანათხოვრეს.

**უელსის ნაკრებისა და ლონდონის „ვესტ ჰემის“ ფორვარდი ჯონ ჰართსონი თურქების წინააღმდეგ მატჩში ვერ ითამაშებს „ტოტენჰემთან“ მიღებული ტრავმის გამო.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორი ჰოვარდ ვილკინსონი, ვინც ადრე „ლიდსს“ წვრთნიდა, ამიერიდან ქვეყნის 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა გუნდს უთავკაცებს. თავის დროზე იგი 21 წლამდელთა გუნდსაც ხელმძღვანელობდა.

**ინგლისის „ბარნსლის“ მწვრთნელმა დენი უილსონმა „ვესტ ჰემის“ იან დაუის გადაბირება მოინდომა. ადრე მას იმავე კლუბის ფეხბურთელების — ჯონ ჰართსონის და პოლ კიტსონის შეძენაც სურდა, მაგრამ ვერას გახდა. ახლაც თუ ვერაფერი გავაწყე, მომჭრია თავი და ეგაა, განაცხადა უილსონმა.**

**ჩრდილოეთ** ირლანდია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის [illegible] მატჩს ალბანეთთან 10 სექტემბერს ციურიხში გამართავს. ასე [illegible] ფეხბურთის [illegible] ამ წაკითხისადმი [illegible] ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო ალბანელებმა წინა ორი საშინაო მატჩი უკრაინასთან და გერმანელებთან ესპანეთის ქალაქ გრანადაში ითამაშეს, ახლა კი შვეიცარიაში გადაინაცვლებენ. ოთხშაბათს ალბანეთი კიევში თამაშობს. მეცხრე შესარჩევი ჯგუფის ლიდერები ამ შეხვედრას ზერელედ სულაც არ ეკიდებიან. არასერიოზულმა მიდგომამ სომხეთთან რა შედეგიც გამოიღო, კარგად მოგეხსენებათ. სწორედ ამის შესახებ თქვა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ ტროშკინმა, ბიჭებმა თუ ეს შეხვედრა, სომხებთან მატჩის დარად, ფრედ დაასრულეს, დაველუპულვართ და ეგაა.

**ბელგიის „ბრიუგედან“ „მონაკომ“ 5 მილიონ 260 ათას დოლარად ხორვატი ფორვარდი რობერტ შპეხარი შეიძინა. თავდამსხმელს საფრანგეთის ჩემპიონი გუნდის წარმომადგენლებმა კარგა ხანია, თვალი დაადგეს და შეისრულეს კიდეც საწადელი. 1995-96 წლების სეზონიდან მოყოლებული, შპეხარმა ბელგიის პირველობაზე ნათამაშევ 50 მატჩში 41 გოლი შეაგდო, ახლა კი „მონაკოსთან“ 2000 წლამდე გააფორმა კონტრაქტი.**

**კუბელი** ლაზარო დერკურტი, შესაძლოა, „მარსელში“ გადავიდეს. 26 წლის შემტევი ნახევარმცველი კუბის ბოლო სამი წლის ჩემპიონ „პინარ დელ რიოსიდან“ ტრანსფერის შემთხვევაში პირველი კუბელი ფეხბურთელი გახდება, ვინც პროფესიონალურ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. ქვეყნის ნაკრებში 60-ჯერ ნათამაშევი დერკურტი მარსელელთა მწვრთნელმა როლან კურბისმა იბრაჰიმ ბას შეადარა.

**ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა, ამავდროულად „პორტსმუთს“ რომ თავმჯდომარეობს, სამშობლოში ავსტრალიელ ფეხბურთელთა გადაყვანას მიჰყო ხელი. ამჯერად მან თავის კლუბში „მარკონიდან“ კრეიგ ფოსტერი გადაიყვანა 320 ათას გირვანქად. ჯონ ალოიზის, ჰამილტონ თორპის, რობი ენესის და ზელიკო კალაჩის შემდეგ ფოსტერი „პორტსმუთის“ მეხუთე ავსტრალიელი იქნება.**

**კოსტა რიკის** ნაკრების მწვრთნელს, არგენტინელ ხორაციო კორდეროს პოსტის დაკარგვად დაუჯდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში სალვადორთან 0:0 თამაში. კორდერო კოსტა რიკის წელს განთავისუფლებული უკვე მეორე მწვრთნელია. ბრაზილიელი ვალდირ ვიეირას შემდეგ.

**უნგრეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის პირველი შეხვედრა „დებრეცენი“ — „მტადლერი“, რომელიც ოთხშაბათს გაიმართა, ფრედ დასრულდა — 1:1.**

**მაკედონიასთან** შესარჩევ შეხვედრაში რუმინეთის ნაკრების ორი წამყვანი მოთამაშე — გეორგ ჰაჯი და დორინელ მუნტეანუ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ, ხოლო ასევე ძირითადის წევრი დონუტ ლუპესკუ ტრავმირებულია. მაკედონიასთან გამარჯვების შემთხვევაში რუმინელები საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს გაინაღდებენ.

**გერმანიის შარშანდელმა ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ განაცხადა, „მონაკომ“ გუშინწინ შტეფან როიტერის თაობაზე ჩამოგვიგდო სიტყვაო. დორტმუნდელთა გენერალური მენეჯერის მიხაელ მაიერის თქმით, ფრანგებთან სატელეფონო საუბარმა ხუთ წუთს გასტანა, მაგრამ ამ მცირე დროში საინტერესო წინადადებები მოისმინა.**

**უელსელი** იან რაში „ლიდსმა“ გაათავისუფლა და ისიც სატრანსფერო თანხის გარეშე ერთ დროს ლივერპულელი თანაგუნდელის კენი დალგლიშის „ნიუკასლში“ გადავიდა. 1984 წელს ევროპის „ოქროს ბუცის“ მფლობელმა 35 წლის რაშმა „ნიუკასლთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ჰოლანდიის „ფეიენოორდმა“ პრემიერლიგის „საუთჰემპტონიდან“ გამოისყიდა მცველი ულრიხ ვან გობელი, რომელიც ორი წლის წინ მიჰყიდა ინგლისელებს. 26 წლის ულრიხმა როტერდამელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

# ამსტერდამში წითელა რომ შემეყარა...

მადრიდის „რეალის“ მერე „აიაქსი“ შინ დაბრუნდა და როგორც იქნა, შოთა მოვიხელთე, თუმცა, როცა დავრეკე, ჰოლანდიელი ჟურნალისტები იყვნენ მასთან ინტერვიუსთვის. შოთამ მათ მოუბოდიშა და სალამ-ქალამის მერე საქმესაც შევუდექით:

**— შეეგუე „აიაქსს“?**

— შეიძლება ითქვას, შევეგუე. ბრწყინვალე გუნდი და ბრწყინვალე ბიჭები არიან.

**— დე ბურებმა ამასწინათ ერთ-ერთ ჰოლანდიურ გაზეთში განაცხადეს — ნელ-ნელა ვრწმუნდებით, რა სწორი არჩევანი გააკეთა მორტენ ოლსენმა, შოთა არველაძე რომ შეიძინაო. ძმებთან განსაკუთრებით ხომ არ მეგობრობ?**

— ჩვეულებრივ, როგორც ყველასთან. „აიაქსი“ მინდორზეც მეგობრული გუნდია და მის გარეთაც.

**— გუნდის ლიდერად, ალბათ, მიქაელ ლაუდრუპი ითვლება. მასთან როგორ დამოკიდებულებაში ხარ?**

— კარგი ბიჭი ჩანს, მაგრამ მადრიდის „რეალთან“ ისეთი პასი არ მომცა... მე და ლაუდრუპი მეკარესთან პირისპირ გავედით, ბურთი მიქაელს ჰქონდა და მეკარემაც მასზე გააკეთა რეაგირება. ლაუდრუპმა კი, იმის ნაცვლად, ცარიელი კარის წინ მოეცა პასი, კარში დაარტყა და კინაღამ ილგნერი მოკლა. ჩემი ამბავი ხომ იცი, თამაშისას არაფერი მახსოვს ბურთის გარდა. ჰოდა, მივვარდი ლაუდრუპს და ვუყვირი — რას შვრები, მიქაელ, პასი რად არ მომეცი-მეთქი. ვერ დაგინახეო — პასუხად მივიღე. აბა, რისი ლაუდრუპი ხარ-მეთქი — მაინც არ შევარჩინე. ისე ძალიან კარგი ბიჭია ლაუდრუპი...

**— როგორც გავიგე, შენც გქონდა ნაღდი საგოლე მომენტი მატჩის მიწურულს...**

— „ტიროლთან“ მატჩი გახსოვს? დაახლოებით ისე მომივიდა. ბოდო ილგნერს ბურთი გაუვარდა და მახვილი კუთხიდან ძელს გავარტყი. ისე, მართალი გითხრა, მსაჯმა მოაგებინა „რეალს“. ძალიან არ უნდოდათ, რომ ჩვენ მოგვეგო. გოლი ოფსაიდით გაგვიტანეს, პენალტი ხომ ნაღდი შაყირი იყო — საერთოდ არ გაკარებია ჩვენი მცველი.

**— ქეცბაიას „ნიუკასლთან“ როგორ ითამაშე?**

— ფლანგზე დამაყენა ოლსენმა და აშკარად დავჯაბნე მცველი. „ნიუკასლს“ თავზე დავახიეთ ბურთი. შეიძლება ვაზვიადებ, მაგრამ მართლაც ძალიან ვაჯობეთ ინგლისელებს. რაც შეეხება ქეცბაიას, ალალად გეტყვი, ამდენ ვარსკვლავში ქეცბაია ყველას სჯობია. თამაშის მერე მე და ქეცბაიამ მაისურები გავცვალეთ და მისი ზოლიანი „14“ სუვენირად წამოვიღე...

**— ტრავმა მიგიღია, ახლა როგორ გაქვს ფეხი?**

— არა მიშავს, უკვე მომირჩა. ეგ კიდევ არაფერი, ჰოლანდიაში რომ ჩამოვედი, თბილისიდან წითელა ჩამოვიყოლე. ჯერ რეზოს ჰქონდა, მერე აჩის გადასდო და ბოლოს მეც მიმაყოლეს. რამდენიმე დღე ვერ ვვარჯიშობდი ამსტერდამში და, მადლობა ღმერთს, უკვალოდ გაქრა.

**— ამ გახსენებაზე, რეზოს საქმეები როგორღაა?**

— რეზო კარგა ხანი „ბრედაში“ ვარჯიშობდა. კლუბის ხელმძღვანელობას სწორედ ასეთი ფეხბურთელი სჭირდებოდა და „მეხელენს“ დაელაპარაკა რეზოს დათმობაზე, მაგრამ კონტრაქტით ძალზე დიდი თანხა ეკუთვნოდა „მეხელენს“ და „ბრედა“ ვერ შეწვდა. ბოლოს ისევ რეზოს ძველი კლუბი — „ჰომბურგი“ შეეხმიანა რეზოს და ერთი წლით ითხოვა „მეხელენისგან“...

**— არჩილის საქმეები როგორღაა?**

— ჩინებულად. რაც ჩამოვიდა, აჩიმ უკვე რვა გოლი გაიტანა და გუნდის ლიდერად იქცა. მას შემდეგ, რაც „ვალენსიასთან“ 1:1 ითამაშა, „ბრედამ“ ჰოლანდიის თასის საწყის ეტაპზე იასპარეზა, 1:0 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა. მოკლედ, აჩი ბედს არ უჩივის...

**— ახლა რომელ ჟურნალისტებთან საუბრობ?**

— გაზეთიდანაც არიან, ტელევიზიიდანაც. ამასწინათ რომელიღაც გაზეთს გავუკეთე რეკლამა, „აიაქსის“ ფორმაში ვიყავი და სარეკლამო კლიპი გადაიღეს ამ გაზეთზე.

**— მორტენ ოლსენი რას გეუბნება, რა ადგილზე გათამაშებო?**

— ოლსენი, როგორც ყველა დანიელი, ვისაც ვიცნობ, ძალზე ჯიგრიანი და ვაჟკაცური კაცია. რაც შეეხება ჩემს ამპლუას, ოლსენს ჩანაფიქრი აქვს — სამი თავდამსხმელით უნდა თამაში და ყველა მატჩი ასე ჩავატარეთ. ხან მე, ბაბანგიდა და ლაუდრუპი ვუტევთ, ხან ლაუდრუპის ნაცვლად სიბონია, ხანაც სიბონი ბაბანგიდას ცვლის. მე ცენტრშიც მათამაშა პირველი ორი მატჩი. მერე — ფლანგებზეც. საბოლოოდ წინ რომ ვიქნები, ვიცი, მაგრამ ფლანგზე თუ ცენტრში, ოლსენი თავად გადაწყვეტს.

**— ლაუდრუპი თავდასხმაში როგორ გამოიყურება?**

— იაპონიიდან რომ ჩამოვიდა, ძალზე გადაღლილი და დაჩენჩილი მეჩვენა. ხანგრძლივი დასვენება უნდოდა. როგორც კი ძალები აღიდგინა, ისევ ის ლაუდრუპი გახდა, ტელევიზორში რომ მინახავს საუკეთესო წლებში. ამისთანა ოსტატი რა ადგილზეც არ უნდა ათამაშო, ყველგან გააკეთებს თავის საქმეს...

**— მოკლედ, შეიძლება ითქვას, საოცნებო ქვეყანაში და კლუბში მოხვდი...**

— მასეა, „აიაქსი“ ხომ იცი, ერთია. ჩემი მეუღლე მალე ბავშვს ელოდება და ჩემი შვილიც აიაქსელი გახდება...

**მამუკა კვარაცხელია**

## აიაქსი 1997-98

| № | მოთამაშე | დაბ. თარიღი | კონტრაქტი |
|---|---|---|---|
| 1 | ედვინ ვან დერ სარი | 29.10.1970 | 01.07.2001 |
| 2 | ოლე ტობიასენი | 08.07.1975 | 01.07.2002 |
| 3 | დენი ბლინდი | 01.08.1961 | 01.07.1998 |
| 4 | ფრენკ დე ბური | 15.05.1970 | 01.07.2004 |
| 5 | ტომ სიერი | 01.01.1970 | 01.07.2002 |
| 6 | რონალდ დე ბური | 15.05.1970 | 01.07.2004 |
| 7 | ტიჯანი ბაბანგიდა | 25.09.1973 | 01.07.2002 |
| 8 | რიხარდ ვიჩხე | 20.09.1969 | 01.07.2001 |
| 9 | ჯერალდ სიბონი | 19.04.1974 | 01.07.2002 |
| 10 | იარი ლიტმანენი | 20.02.1971 | 01.07.1999 |
| 11 | მიქაელ ლაუდრუპი | 15.06.1964 | 01.07.1998 |
| 12 | ფრედ გრიმი | 17.08.1965 | 01.07.1998 |
| 14 | დანი | 02.11.1976 | 01.07.2001 |
| 15 | სანდი ოლისე | 14.09.1974 | 01.07.2002 |
| 16 | მარსიუ სანტუში | 15.09.1969 | 01.07.1999 |
| 17 | ბენი მაკარტი | 12.11.1977 | 01.07.2002 |
| 18 | ანჯეი რუდი | 15.10.1965 | 01.07.1999 |
| 19 | მარიო მელხიოტი | 04.11.1976 | 01.07.1999 |
| 20 | დინ გორი | 10.09.1970 | 01.07.2001 |
| 21 | ფროილან ლედესმა | 02.01.1978 | 01.07.2002 |
| 22 | პეტერ ჰუქსტრა | 04.04.1973 | 01.07.2002 |
| 23 | მარიანო ხუანი | 17.05.1976 | 01.07.2001 |
| 24 | შოთა არველაძე | 22.02.1973 | 01.07.2002 |
| 25 | მარტინ როიზერი | 01.02.1975 | 01.07.2000 |
| 28 | არნო სპლინტერი | 29.08.1977 | 01.07.2002 |
| 29 | როდი ტურპაინი | 25.04.1978 | 01.07.2002 |
| 31 | ჯონ ფელდმანი | 24.02.1968 | 01.07.1999 |



# ფილია გადადგომას და მახარაძის მიწვევას აპირებდა

დიახ, მინსკის „დინამოსთან“ წაგების შემდეგ ფოთის „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია გუნდის დატოვებას აპირებდა. ეს თავად მისგან შევიტყვეთ. მიზეზიც განმარტა:

— ვხედავ, ვგრძნობ და ძლიერ განვიცდი იმას, რომ „კოლხეთი“ ძალიან შორს დგას მისთვის სავსებით ხელმისაწვდომი დონისგან. არსებობს რეზერვი, რომელთა გონივრული გამოყენებითაც მნიშვნელოვნად გავძლიერდებით. საამისოდ კი მთელი ქალაქის საფეხბურთო მეურნეობა „კოლხეთის“ მომძლავრებას უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ მოხდა სხვაგვარად — „კოლხეთი-2“, რომელიც „დინამო-2“-თან ერთად საქართველოში პირველი ფარმ-კლუბი იყო და მისი მიზანი მომავალი თაობის აღზრდა გახლდათ, გამოგვეყო, „ფაზისად“ გადაკეთდა და ამით, ფაქტობრივად, შეწყდა ახალი თაობის ნაკადი. მიქაბერიძე, მეკარე გვასალია და კიდევ ბევრი მოთამაშე უკვე ასაკოვანნი არიან და გვერჩივნა, ფარმ-კლუბში მათი შემცვლელები მოგვემზადებინა. რა ხეირს დაგვაყრის გუნდი, სადაც ყოვლად უპერსპექტივო ფეხბურთელები არიან. მათ ნაცვლად ახალგაზრდას მივცეთ გასაქანი, არ ჯობს? თანაც ფოთისნაირ პატარა ქალაქს ორი გუნდის შესანახი თანხა სადა აქვს. უკეთესი იყო, ეს სახსრები „კოლხეთის“ გასაძლიერებლად მოგვეხმარებინა. „ფაზისის“ მწვრთნელებთან — რომან ოდიკაძესთან და ამირან მელიქიასთან ამის გამო უთანხმოება მომივიდა და გუნდიდან წასვლა დავაპირე. თანაც გული და წნევა მაწუხებდა და ვერიდები უსიამოვნებებს. მოთხოვნები მინსკელებთან წაგების შემდეგ წამოვაყენე, მათი შესრულების გარეშე კი ჩემს მუშაობას აზრი ეკარგებოდა. არის სხვა პრობლემებიც — „კოლხეთს“ სუსტი მატერიალური ბაზა აქვს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სავარჯიშოდ ნორმალური მოედანი არ გვეგულება. ფოთში წვიმა ხშირია და შესაფერისად მოწყობილი დარბაზი არ გაგვაჩნია, ასეთ დროს სავარჯიშოდ რომ გამოვიყენოთ. ბავშვთა სკოლებიც „კოლხეთთან“ შეთანხმებით უნდა მუშაობდეს, მათგან მეტი ეფექტის მისაღებად. მოკლედ, სატკივარ-საზრუნავი არ მაკლდა, რის გამოც ვაპირებდი კიდეც გადადგომას. ჩემი აზრით, თუ „კოლხეთის“ დირექტორატში მომიძებნიდნენ ადგილს, კლუბი მეტ სარგებლობას ნახავდა. ახლა კი ვითარება შეიცვალა და მეც დარჩენა ვამჯობინე.

**— კონკრეტულად რა შეიცვალა?**

— ქალაქის თავკაცებმა დახმარება აღგვითქვეს. მერმა — ივანე ზოდელავამ ბრძანა, ჩვენ მაჩანჩალა გუნდი არ გვინდა, „კოლხეთი“ მუდამ მოწინავეთა შორის უნდა იყოს და გუნდს აუცილებლად მოვუვლითო. მისი მოადგილეები ჯემალ გურგენიძე და გია დარჯანია დაგვეხმარნენ. „ფაზისის“ მწვრთნელებთან შეხვედრისას გურგენიძემ მიაღწია სიტყვიერ შეთანხმებას, რომ ეს გუნდი კვლავ „კოლხეთის“ ფარმ-კლუბი იქნება, რაც მალე ოფიციალურადაც გაფორმდება. ამავე დროს ფოთში შეიქმნა მწვრთნელთა საბჭო, რომელსაც მე ვუხელმძღვანელებ. მისი მიზანი არსებული რეზერვის გონივრული გამოყენებაა.

**— „კოლხეთის“ ფინანსური მდგომარეობა როგორია? მოთამაშეები სულ იმას ჩივიან, კუთვნილ თანხას გვიან გვაძლევენო.**

— ეს ჩემი უპირველესი სატკივარია. ბოლოს ყველას ვისტუმრებთ, მაგრამ მანამდე ათასი პრობლემა გელობება წინ, ამასობაში კი გუნდში უკმაყოფილება ჩნდება და სწორედ ამ პერიოდში გვაქვს ჩავარდნები. არადა, ჯერ ვერ ვნახეთ გამოსავალი. თანხა პორტიდან შემოდის, პორტი კი ფულს სამ-ოთხ თვეში გვირიცხავს პერიოდულად. ამ საკითხის მოგვარება „კოლხეთს“ მეტად წაადგება. დამიჯერეთ, ფინანსური პრობლემა შედეგზე აისახება. არადა, თანხა ნამდვილად სამყოფი გვაქვს. ჩვენი წლიური ბიუჯეტი ახლა კიდევ 20 პროცენტით გაიზარდა. მოგვარდა კვების პრობლემაც.

**— თუ საიდუმლო არ არის, რამდენია „კოლხეთის“ წლიური ბიუჯეტი?**

— საიდუმლო როგორ იქნება, თითოეულ კაპიკს პორტის ბუღალტერიაში საბჭოური პერიოდის დარად, ზუსტად და უშეცდომოთ აღრიცხავენ. 490 ათასი „კოლხეთს“ ხმარდება, 60 ათასი — ფარმ-კლუბს. ახლა ჩემი თხოვნით გუნდს ერთ სეზონში სამ უცხოურ შეკრებასაც მოვუხერხებთ, ნაცვლად ორისა. ეს თანხა საქართველოში გუნდის შესანახად სავსებით საკმარისია. თუ მისი დროულად ჩარიცხვა მოხერხდება, მით უკეთესი. ახლა ყველა ფეხბურთელთან გავაფორმეთ კონტრაქტი. კუთვნილი თანხის 50 პროცენტს ნოემბრამდე გადავიხდით, დანარჩენს კი — მეორე წრეში. ჩვენთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს მეკარე ქვაჩახიამ და თავდამსხმელმა წივწივაძემ. თუმცა, რამდენიმე მოთამაშე რომ დაგვაკლდა, ისიც გეცოდინებათ, მათ ახლა მეკარე გოგუაც დაემატა, რომელიც „გურიაში“ გადავიდა.

**— თავში ბრძანეთ, გადადგომას ვაპირებდიო. მართალია, რომ თემურ მახარაძეს სთავაზობდით მწვრთნელობას?**

— ასეთი საუბარი ჯერ კიდევ ჩემპიონატის დამთავრებამდე იყო. მახარაძეს თავად ვკითხე, ჩემი გადადგომის შემთხვევაში „კოლხეთში“ თუ იმუშავებდა. ახლა „მერანს“ ვერ ვუღალატებ, ჩამთავრდეს ჩემპიონატი, იქნებ ევროთასებზე გავიდეთ და მერე ვნახოთო. ოღონდ მისი პირობა ასეთი იყო — გუნდში მეც უნდა დავრჩენილიყავი. მანამდე ჩხარტიშვილზეც იყო საუბარი, მაგრამ ახლა ერთი წლით ისევ მე დავრჩი.

**— დარასელიასთან ერთად რამდენიმე მოთამაშის წასვლამ, ბუნებრივია, „კოლხეთი“ დაასუსტა. ამის გათვალისწინებით წელს რა მიზანს დაისახავთ?**

— ისევე როგორც წინა წლებში — სამეულში მოხვედრას. თუმცა, ახლა მართლაც დაუსუსტდით. ამიტომ პირველ წრეში ხუთეულში დამკვიდრება გვსურს, შესვენებისას გავძლიერდებით, ორ-სამ მოთამაშეს დავიმატებთ გუნდიც მეტად შეთამაშდება და მეორე წრისთვისაც მეტ იმედებს დავიტოვებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# გონივრული ლავირება ყველას არგებს?

გუშინ 15 აგვისტო იყო. გუშინ თითქოს ყოველგვარ მითქმა-მოთქმას ბოლო უნდა მოღებოდა. ქართველ გულშემატკივარს სიმართლე უნდა გაეგო. საბოლოოდ რა გამოვიდა? არც არაფერი. ბორბალი ისევ თავიდან დატრიალდა, მოკლედ, ისევ უნდა მოვიცადოთ...

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო საგანგებო კომიტეტის სხდომა, რომელსაც თითქოს „მრეტები“ — „დინამოს“ შორის არსებული კონფლიქტის თაობაზე საბოლოო განაჩენი უნდა გამოეტანა. კომიტეტი დათქმულ დრომდე ჯერ გენერალური მდივნის სამუშაო ოთახში შეიკრიბა, ამათ დინამოელთა ხელმძღვანელები მიემატნენ და გვარიანი ხანიც ითათბირეს. ორი საათი რომ შესრულდა, კომიტეტის წევრები ახლა ახალკაცის კაბინეტში გადაბარგდნენ.

პრეზიდენტის ოთახიდან პირველი რომან შოთაძე გამოვიდა. „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტს სულის მოთქმა არ ვაცალეთ და კითხვები დავაყარეთ. შოთაძემ ეს გვიპასუხა, საქმის გარჩევა გადაიდოო. შეკრებილები ყველაფერს ველოდით, მაგრამ მსგავს პასუხს კი ნამდვილად არა. ამასწინათ არ იყო, ფედერაციაში რომ გვიმტკიცებდნენ, 15 აგვისტო ბოლო ვადაა, ან ახლა, ანაც არასოდეს, თორემ ქართული ფეხბურთი გვეღუპებაო. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობსო, იტყვიან და, ჩანს, ამ საქმეს სკანდალის იარლიყი ტყუილუბრალოდ მიეწება. როგორც შევიტყვეთ, ოღონდ ეს საჯაროდ და ოფიციალურად არავის უთქვამს, ფიფა ჩვენს ფედერაციას მაინცდამაინც არ ახრჩობს, გინდათ თუ არა, ახლავე ვინმე დასაჯეთო. ასე მოუწერიათ, საქმე დალაგებულად გაარჩიეთ და პასუხი ისე მოგვახსენეთო. როგორც ირკვევა, ფეხბურთის ფედერაციას ამ საქმის ხელახლა გარჩევის უფლებაც ჰქონია, რადგან ერთხელ კი გაარჩია, მაგრამ რატომღაც ის გადაწყვეტილება თავადაც მთლად სწორად არ მიაჩნია. ისევე, როგორც ადრე, ფედერაციამ ახლაც ლავირების საშუალება დაიტოვა.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასე მგონია: „დინამო“ არ დაისჯება. საქმეს ასე სჭირდება, ასე სჯობს და ამით ყველა მოიგებს. კონფლიქტიც მშვიდობიანად დასრულდება და ყველა კმაყოფილი დარჩება.

საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილების არსი „დინამოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელისგან მერაბ რატიანისგან გავიგეთ:

— „დინამოს“ „ლევერკუზენთან“ საპასუხო მატჩი ელის, ამიტომ ახლა საქმის გარჩევას შეხვედრის შედეგზე შესაძლოა სხვაგვარი გავლენა მოეხდინა. მართალია, თითქმის უიმედო მდგომარეობაში ვართ, მაგრამ საპასუხო თამაშის წინ უმნიშვნელო შანსი მაინც რჩება. ამიტომ ამ საქმის გარჩევა 1 სექტემბრისთვის გადაიდო.

ახლა, ბატონებო, ჩათვალეთ, რომ არც არაფერი მომხდარა და არც არაფერი მოხდება. ქართული ფეხბურთი თავისი ყოველდღიური ყოფით გააგრძელებს ცხოვრებას.

სხვათა შორის, საგანგებო კომიტეტი მარტო „დინამო“ — „მრეტების“ საქმის გარჩევით როდი ყოფილა დაკავებული. ეროვნული ჩემპიონატის მესამე ჯგუფის ბედ-იღბალზეც უმსჯელიათ და დაუდგენიათ, მესამე ჯგუფში თამაშები სამ ზონად ჩავატაროთო. ამერს და იმერს შუაში ცენტრალური ჩაემატება.

დღეისათვის სულ ეს იყო. დანარჩენიც მერე ვნახოთ...

**მამუკა კვანტალიანი**

## მეორე ჯგუფი

II ტური

| | | |
|---|---|---|
| სამეგრელო | კოლხეთი | 0:0 |
| საპოვნელა | აკადემია | 1:2 |
| თორი | სქური | 4:0 |
| ფაზისი | ასკ | 1:4 |
| იბერია | მერცხალი | 1:2 |
| იმერეთი | ცხინვალი | 0:3 |
| კოდაკო | მეშახტე | 2:1 |
| ჯუბა | ივერია | 3:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| ცხინვალი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ჯუბა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მერცხალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | 6 |
| თორი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ასკ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ივერია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| კოდაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| სქური | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| სამეგრელო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:7 | 1 |
| მეშახტე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| საპოვნელა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| იმერეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ფაზისი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:8 | 0 |
| იბერია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |


იყიდება

დიღმის მასივის III კვარტალში 4-ოთახიანი სუფთა ბინა, ტელეფონით, სარდაფით, ორი სველი წერტილით.

ფასი შეთანხმებით

95 82 53 10 - 18 სთ.
72 37 22 18 სთ. შემდეგ

იკითხეთ პავლე

## ინგლისი

### II ტური

**მანჩესტერი 1:0 საუთჰემპტონი**

**მანჩესტერი:** შმაიხელი, ირვინი, ფ. ნევილი, იონსენი (ბერგი 46), პალისტერი, ბათი, კინი, სქოულზი (ბექჰემი 55), გიგზი, კრუიფი, შერინგემი
**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, ტოდი, მეჯილტონი, მონკუ, ოუქლი, ოსტენსტადი, სლეიტერი (რობინსონი 79), მედისონი, ბენალი, ვან გობელი (უილიამსი 79), იოჰანსენი (ევანსი 56)
**გოლი:** 1:0 ბექჰემი (78)

კანტონა რომ წავიდა, მანჩესტერელებს გარდაუვალ ჩავარდნას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პირველობის საწყისმა ორმა ტურმა ცხადყო, რომ ფერგიუსონის ბიჭები კვლავ ლაღ და ლამაზ ფეხბურთს


REUTERS
შერინგემზე მაღლა ვერვინ ხტება

თამაშობენ და პრემიერლიგასაც კვლავინდებურად ლიდერობენ. თუ პირველ შეხვედრაში „ტოტენჰემთან" ტედი შერინგემის დებიუტი არც ისე შთამბეჭდავი გამოდგა, ამჯერად, მიუხედავად იმისა, რომ გოლი ვერ გაიტანა, თავისიანების გამარჯვებაში დიდი წვლილი დაიდო. თუმცა შინ „ბოლტონისგან" ძლეული „საუთჰემპტონის" განადგურება არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

სტუმრები, საუკეთესო დაცვა თავდასხმაო და, დასაწყისიდანვე ეკვეთნენ შმაიხელის კარს, მაგრამ მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში მეჯილტონისა და ოუქლის არც ისე სახიფათო დარტყმების გარდა ვერას გამორჩნენ. ეგ კი არა, ძელი, ხარიხა და ტოდი რომ არ წაეხმარებოდა ჯოუნსს, პირველ გოლს სქოულზი, გიგზი ანაც შერინგემი გაიტანდნენ. თუმცა, ჯობს, ყველაფერი თანმიმდევრულად მოგითხროთ: „ალისფერთა" პირველი სახიფათო მომენტი რონი იონსენმა ვერ გამოიყენა — სქოულზის ჩაწოდებული კუთხურიდან თაური ხარიხას გაარტყა. შემდგომ იყო იმავე სქოულზისა და შერინგემის ორ-ორი აცილებული უძლიერესი დარტყმა. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ მინდორზე შერინგემი და კრუიფი იყვნენ, მანჩესტერელებს მაინც ეტყობოდათ, სოლსკიაერი და კოული რომ აკლდათ. შესვენების შემდეგ ფერგიუსონმა ოდნავ გადაღლილი იონსენი დებიუტანტი ბერგით შეცვალა, მალე კი სქოულზის ნაცვლად ბექჰემი შეუშვა და სწორედ ამ ორმა შეცვლამ განაპირობა მანჩესტერელების გამარჯვება. ეს ტაიმი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. ერთ მომენტში შერინგემის დარტყმული ძელს მოხვდა, გოლი კი შემდეგნაირად გავიდა — უელსელი გიგზის დარტყმული ჯოუნსმა უხეიროდ მოიგერია და სანამ წამოდგებოდა, ბექჰემმა შეაგდო.

**ლივერპული 1:2 ლესტერი**

**ლივერპული:** ჯეიმსი, ჯოუნსი, რაიტი, ბები (მატეო 73), ჰარკნესი, ბიორნებიუ (მერფი 46), ტომასი (კარაგერი 77), ინსი, ოუენი, მაკმანამანი, რიდლე
**ლესტერი:** კელერი, უოლში, იზეტი (სევიჯი 46), ლენონი, კამარკი, კემპბელი, პრაიორი, მარშალი (ფენტონი 73), ჯაპი, ელიოტი, ჰესკი
**გოლი:** 0:1 ელიოტი (2), 0:2 ფენტონი (83), 1:2 ინსი (85)

„ენფილდ როუდზე" ახლა სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, რის გამოც სტუმართა გულშემატკივრები მატჩზე ვერ მოხვდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ სეზონის წინ პრემიერლიგის შესაძლო ჩემპიონად შერაცხულთა კარში გატანილ გოლს სტადიონი გარინდული შეხვდა. „ლივერპულის" ამგვარ სტარტს არავინ ელოდა.

უკვე 72-ე წამზე მეტოქის საჯარიმოში მყოფმა მეტ ელიოტმა თანაგუნდელთა გათამაშებული საჯარიმო ჰესკის პასის მერე გოლით დაასრულა. ამან „ლივერპულზე" ცუდად იმოქმედა და „წითლებმაც" კარგა ხანი თამაში ვერ ააწყვეს და ნორმალური, გააზრებული შეტევები მეორე ტაიმშიღა იწყეს. გულშემატკივრები ბევრს ელიან რიდლესგან, მაგრამ მას საშინაო დებიუტი აშკარად ვერ გამოუვიდა. შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშა პოლ ინსმაც, ვინც დაახლოებით 20 მეტრიდან გოლიც კი შეაგდო, მაგრამ უკვე 0:2 იყო. სტუმართა მეორე გოლი კი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უხეიროდ მოგერიებულის ხეირიანად დამატების მერე გავიდა.

**ვესტ ჰემი 2:1 ტოტენჰემი**

**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრეიქერი, პოტსი, რიპერი, კიტსონი (მიუზი 88), ჰართსონი (დაუი 86), ლომასი, მონკური (ლამპარდი 85), ლაზარიდისი, ბერკოვიჩი, რ. ფერდინანდი
**ტოტენჰემი:** უოქერი, ედინბურგი, ჰოუელსი, ნილსენი (სინტონი 77), კარი, ვეგა, სქაილზი, კემპბელი (კლემენსი 16), ივერსენი, ჟინოლა, ლ. ფერდინანდი
**გოლი:** 1:0 ჰართსონი (4), 2:0 ბერკოვიჩი (70), 2:1 ფერდინანდი (83)

ლონდონურ დერბიში „ჩაქუჩებმა" იმარჯვეს და თუ ბოლო 10 წელს გადავავლებთ თვალს, ჩემპიონატიც საუკეთესოდ დაიწყეს. მათ თანაქალაქელებს კი ამგვარი სტარტი კარგა ხანია, არ ჰქონიათ.

თამაშამდე „ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს, რომლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ, „ევერტონიდან" შეძენილი მცველი დეივიდ ანსუორსი წარუდგინეს, თუმცა ახალწვეულის დებიუტი მესამე ტურისთვის გადაიდო.

გულშემატკივრებს დიდხანს არ უცდიათ გოლისთვის — მე-4 წუთზე ლაზარიდისმა თითქმის მთელი მოედანი გადაკვეთა და ჰართსონს დაუგორა, ამან კი მეორე მატჩში მეორედ იხეირა. არ გასულა დიდი ხანი და სტუმრებმა უძლიერესი მცველი სოლ კემპბელი მოისაკლისეს — მუხლი დაიზიანა. შესვენებამდე ჟინოლა და კომპანია ბევრს ეცადნენ, მაგრამ ოფლი ფუჭად ღვარეს, ლეს ფერდინანდი კი ნათესავ რიო ფერდინანდს ბევრით ვერაფრით სჯობდა. მეორე ტაიმში გოლები ისეთი შეტევებიდან გავიდა, ბურთს სხვაგან წასასვლელი გზა რომ აღარ ჰქონდა. ჯერ იყო და ებრაელმა ბერკოვიჩმა, შარშან „საუთჰემპტონში" რომ თამაშობდა, ლაზარიდისის პასით იხეირა. უფრო სწორად, ბერძენის დარტყმული შვეიცარიელ სიმონ ვეგას მოხვდა, ბერკოვიჩმა კი რიკოშეტს მიუსწრო და ინგლისელი უოქერის კარში ინტერნაციონალური გოლი გაიტანა. ისე, ეს ვეგა რაღაც კარგად ვერ დაებედა „ტოტენჰემს". შარშან რომ ავტოგოლი შეაგო, მაგაზე არ გაჩერდა და წელსაც, პირველივე ტურში, კიდევ გაუტანა საკუთარ მეკარეს, ახლა კი მოგვიანებით ლეს ფერდინანდმა პირველი ტოტენჰემური გოლი შეაგო, თუმცა ამით თავისიანები მარცხისგან ვერ იხსნა. ამ ორ გოლს შორის კი კარმა და ბერკოვიჩმა ერთმანეთს საქმის გარჩევა დაუწყეს და თავად რომ ვერ მოაგვარეს, არც მეგობრების ჩარევა ითაკილეს. დავა საკმაო ხანს გაგრძელდა და ივერსენის და ლომასის გაფრთხილებით დასრულდა.

ისე, „ვესტ ჰემს" შინ იანვრის მერე არ წაუგია.

**შეფილდ უენსდეი 1:3 ლიდსი**

**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, უოქერი, კარბონე (დონალდსონი 83), ბუთი, ბლონდო, ჰამფრიზი (ოუქსი 58), სტეფანოვიჩი, კოლინზი (ჰაიდი 58), დი კანიო
**ლიდსი:** მარტინი, კელი, რობერტსონი, უეზეროლი, ბოუერი (ჰაალანდი 86), ჰოფკინი, ჰალე, მოლენაარი, ჯიმი (ლილი 86), უოლესი, რიბეირო
**გოლი:** 0:1 უოლესი (7), 0:2 რიბეირო (36), 0:3 უოლესი (62), 1:3 ჰაიდი (70)

„ნიუკასლთან" დამარცხების მერე მასპინძლებმა ოთხი მოთამაშე შეცვალეს, ახლებიდან კი უმთავრესი იტალიელი პაოლო დი კანიოს გამოჩენა იყო, რომელიც, ასე თუ ისე, ხიბლს მატებდა „შეფილდის" უსუსურ შეტევებს. პრემიერლიგის შარშანდელმა მაჩანჩალა „ლიდსმა" სეზონი სულ სხვაგვარად დაიწყო და აგერ სტუმრად ორბურთიან გამარჯვებასაც მიაღწია. მეტიც შეეძლო, ჯიმი რომ არ დაბნეულიყო ერთ-ორ მომენტში. გოლები კი შემდეგნაირად გავიდა: უოლესმა ჯერ თაურით გაიტანა მოლენაარის ჩაწოდების მერე, მესამე გოლი კი ჯიმისთან კედლის გათამაშების მერე შეაგდო. მის გოლებს შუა რიბეირომ იმავე ჯიმის პასით იხეირა, პრესტიჟის გოლი კი შეცვლაზე შესულმა ჰაიდმა სუსტი დარტყმით შეაგდო.

**დერბი ქაუნთი 2:1 უიმბლდონი**

**დერბი:** პოომი, ს. პაუელი, შტიმაცი, ვან დერ ლაანი, უორდი, ლაურსენი, კერსლი, დეილი, ბარტონი, ერანიო, ჰანტი
**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნსი, ბლექველი, პიუზი (კასტელდაინი 46), პერი, ერდლი (კლარკი 46), გეილი, ვკოკუ, ერლი
**გოლი:** 1:0 უორდი (20), 1:1 პერი (22), 2:1 ერანიო (32)

„დერბის" პირველი მატჩი ახალ, 19 მილიონ 400 ათას გირვანქად შეფასებულ, 25 ათასიან „პრაიდ პარკის" სტადიონზე ბევრი რამით აღმოჩნდა ღირსშესანიშნავი. ჯერ ის, რომ ახალი სტადიონი „დააჭაშნიკეს", მერე შუა თამაშში განათების სისტემა გამოირთო და შეხვედრაც, ცხადია, ჩაიშალა. და კიდევ — პრემიერლიგის მატჩს პირველად მოემსახურა შავკანიანი არბიტრი — იამაიკაზე დაბადებული ურია რენი. „პრაიდ პარკზე" გაუქმებული, მაგრამ მაინც პირველი გოლი კი უორდმა ბრიტანელთათვის ჩვეული თაურით გაიტანა.

**ასტონ ვილა 0:4 ბლექბერნი**

**ასტონ ვილა:** ოუქსი, ნელსონი, რაიტი, საუთგეიტი, გრეისონი, თაუნსენდი, დრაპერი, ეჰიოგუ (ტეილორი 46), მილოშევიჩი, იორკი, კოლიმორი
**ბლექბერნი:** ფილანი, კენა, ჰენდრი, რიპლი (ბოჰინენი 81), გალაჰერი, სატონი, უილკოქსი, ფლიტკროფტი, მაკკინლი, ვალერი, ენჩოსი
**გოლი:** 0:1, 0:2, 0:3 სატონი (21, 25, 41), 0:4 გალაჰერი (71)

„ბლექბერნი" დაბრუნდა! — გაჰკიოდნენ „ვილა პარკზე" შეკრებილი სტუმართა გულშემატკივრები, თანაქალაქელების ბრწყინვალე გამარჯვება რომ იხილეს. 1995 წლის ჩემპიონებმა მეორე მოგებული მატჩით სამწლიანი შესვენების მერე პრემიერლიგის ლიდერობა იგდეს ხელთ. რამდენი ხნით, ამაზე საუბარი ნაადრევია.

როი ჰოჯსონმა კლუბში მისვლის შემდეგ გუნდის თამაშის სტილი ძირფესვიანად შეცვალა, რამაც შედეგებშიც იჩინა თავი. სამი წლის წინ გაჩემპიონებულ „ბლექბერნის" ძირითადი შემადგენლობიდან „ასტონ ვილასთან" მხოლოდ ოთხმა — სატონმა, ჰენდრიმ, უილკოქსმა და რიპლიმ ითამაშეს, ხოლო თუ როგორ, ამას ახლავე გეტყვით.

თამაშამდე მასპინძელთა ქომაგებს ტრანსპარანტები გამოეფინათ, სადაც ყველაზე ხშირად სტენ კოლიმორი მოიხსენიებოდა, მაგრამ „ლივერპულში" ვერნავარგმა ამ კაცმა „ვილა პარკზე" პირველი შეხვედრა ისე უნიათოდ ითამაშა, არაა გამორიცხული, ისევ იმად დარჩეს, ლივერპულში რომ იყო. ბევრი რამ არ ვთქვათ, კოლიმორი შოტლანდიელმა კოლინ ჰენდრიმ პირწმინდად ამოკეტა. ეგ კი არა, ევრო 96-ზე გესქოინისგან შერცხვენილი ეს შოტლანდიელი კოლიმორთან ერთად თაუნსენდის თამაშიდან გამოთიშვასაც ახერხებდა.

დროა, მატჩის გმირი სატონიც მოვიხსენიოთ. თავის დროზე „ბლექბერნს" მისი შეძენა 5 მილიონი გირვანქა დაუჯდა, მაგრამ რაც კრისმა ამათ სარგებელი მოუტანა, საეჭვოა, კლუბის თავკაცობა უკმაყოფილო იყოს. ახლაც გაიხარა სატონმა და პრემიერლიგაში წელს გატანილი მეორე ჰეტ-თრიქის ავტორიც გახდა. პირველი, ალბათ გახსოვთ, ქოვენთრელმა დიონ დაბლინმა შეაგდო. სატონი თავისი საგმირო საქმეების შესრულებას რომ მორჩა, ანგარიში 3:0 იყო, ბოლო გოლი კი, გალაჰერს რომ ჩაეთვალა, რიკოშეტის წყალობა იყო — რიპლის დარტყმული გოლის ავტორს შემთხვევით მოხვდა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ვესტ ჰემი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ლესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ლიდსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ნიუკასლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბოლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბარნსლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| კრ. პალასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ქოვენთრი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| უიმბლდონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჩელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| დერბი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| საუთჰემპტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| შეფილდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ტოტენჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ასტონ ვილა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# «ოლიმპიკი» ოლიმპისკენ

...1993 წელი, ზაფხულის პირველი დღეები. საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქ მარსელში დიდი მხიარულებაა. ადგილობრივმა გუნდმა „ოლიმპიკმა" ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. მშვენიერ ამინდთან ერთად ხალხიც ჩინებულ გუნებაზეა. ხუმრობა ხომ არაა, მათი ქალაქის გუნდი ევროთასის მომგები პირველი ფრანგული კლუბი გახდა. მოკლედ, მარსელი ხარობდა, მაგრამ ნათქვამია, ყოველ სახარულს ცრემლი თან ახლავსო. მიუნხენში გამართული ფინალის შემდეგ, როცა გუნდი და გულშემატკივრები საკონტინენტთაშორისო და ევროპის სუპერთასებზე საუბრობდნენ, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მარსელელები ჩემპიონატის მატჩების ჩაწყობაში ამხილა და ცნობა უეფას გაუგზავნა. ამას რა მოჰყვა, იცით — კლუბს ჯერ საკონტინენტთაშორისო და ევროპის სუპერთასზე თამაშის უფლება მოუსპეს, მერე საფრანგეთის მეორე ლიგაში დაწიეს. „ოლიმპიკის" პრეზიდენტის, მულტიმილიონერი ბერნარ ტაპის მიმართ სასამართლო სასამართლოს ენაცვლებოდა, დრო კი გადიოდა.

თითქოს ასე ტრაგიკულად უნდა დასრულებულიყო საფრანგეთის ბოლო ათწლეულის საუკეთესო გუნდის ისტორია, მაგრამ ფორტუნამ მარსელელთა დაღუპვა არ ისურვა და კლუბი ორ წელიწადში კვლავ დაუბრუნდა საფრანგეთის საფეხბურთო ელიტას, თუმცა, უსახელოდ — ცხრილის შუაგულში დარჩა. სტუმრად კი, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ერთი თამაშიც ვერ მოიგო. და ეს დაემართა მარსელის „ოლიმპიკს", გუნდს, რომელმაც 1988-92 წლებში საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ ხუთჯერ იმარჯვა. დიახ, ნათლად დააჩნდა მარსელის კლუბს ორი წელი ქვედა ლიგში ყურყუტი. თუმცა, დრო ყველაფრის მკურნალია და...

1997-98 წლების ჩემპიონატი. პირველი ტური: „ოლიმპიკი" — „ლე ავრი" 3:1 ორი გოლი „ბარსელონადან" გადასული ლორან ბლანს გააქვს. მეორე ტური: „ოლიმპიკი" — „ნანტი" 1:0. ბურთის ავტორი კვლავ ბლანია. ორ მატჩში ორი მოგება. ასე დაიწყო ეს ჩემპიონატი გუნდმა, თუმცა, ფრანგ ფეხბურთის მცოდნეთა აზრით, ეს „ოლიმპიკის" დროებითი აღმასვლაა, გამარჯვებები კი ბლანის სტანდარტული სიტუაციების ბრწყინვალედ შესრულების უნარს მიაწერეს. გუნდზე ასეთმა აზრმა მთავარი მწვრთნელი როლან კურბი-[illegible] [illegible] დამსახურებაა, და თუ გოლები ჯარიმის-დან და პენალტებიდან გაგვაქვს, [illegible] ვუტევთ კიდეც! მწვრთნელს მცველი ბომბარდირიც გამოესარჩლა — გამარჯვების მთავარი ფაქტორი მე კი არა, მთელი გუნდია, წარმატების სათავედ მარტო ჩემი დასახელება მეც და თანაგუნდელებსაც ძლიერ გვწყინსო.

მარსელელების პირველ ტურებში გამარჯვებები სათანადოდ იმიტომ ვერ აღიქვეს, ორივე შეხვედრა შინ, „ველოდრომზე" რომ გაიმართა. ხალხმა ის გაითვალისწინა, რომ კლუბმა შარშან სხვა მოედანზე კრახი განიცადა და ნაღდი [illegible] ფასებისგან თავი შეიკავა. თუმცა, კურბისმა, ვინაც 1972 წლის „ოლიმპიკის" [illegible] სურით თამაშობდა, განაცხადა — რისი გაკეთება შეგვიძლია და რა ძალა გვაქვს, წელსვე გაჩვენებთო. მისი აზრით, [illegible] ნდელი „ოლიმპიკი" წელსვე ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებს, მაგრამ მეოთხე-მეხუთე ადგილზე გასულ გუნდებს შორის აუცილებლად იქნება: „პსჟ და „მონაკო" ძალიან ძლიერი გუნდებია, ჩვენი ახალ[illegible] დები კი ჯერ შეუთამაშებელნი არიან — დალევინება სჭირდებათ. ამიტომ ჩემპიონობის გარანტიას ვერ მოგცემთ, თუმცა პირველობა მუდამ ჩვენი მიზანი იქნება" — განაცხადა კურბისმა.

ახლა ორიოდ სიტყვა კურბისის შესახებ: „ოლიმპიკში" მისვლამდე შარშან „ბორდოს" წვრთნიდა, ადრე კი სამოყვარულო გუნდ „ენდუმის", „ტულუზის" და ისევ „ბორდოს" მწვრთნელი იყო.

„გუნდისთვის ავადსახსენებელი წლები ისტორიას ჩაბარდა. დროა, „ოლიმპიკმა" დიდება დაიბრუნოს. კლუბს ყოველთვის დიდი ამბიციები ჰქონდა შინაურ ასპარეზზე და ევროპაშიც. პრეზიდენტიც (რობერ ლუი დრეიფუსი) ჩვენთანაა, ასე რომ გუნდში ერთი აზრია — წელს [illegible] გაისად ჩემპიონები უნდა გავხდეთ" — განაცხადა კურბისმა.

საუბრის ბოლოს კი მწვრთნელმა დასძინა, რომ ლამის ორი წელია, რაც „ოლიმპიკს" გასვლაზე არ უმარჯვია და უღბლო სერიის შეწყვეტას მესამე ტურშივე შეეცდება შაბათს „მონპელიესთან".

ეს დღეც უკვე დადგა...

**ლაშა გოდუაძე**

# კრუზეირო ტოკიოს გზაზე

ოთხშაბათს ბელუ ორიზონტეში სამხრეთ ამერიკის უპოპულარულესი საკლუბო ტურნირის — „კოპა ლიბერტადორესის "თასის 38-ე გათამაშების გამარჯვებული გამოვლინდა. ადგილობრივმა „კრუზეირომ" 95 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ფინალში პირველად გასული პერუს „სპორტინგ კრისტალი" სძლია — 1:0. ეს ერთადერთი და მეტად მნიშვნელოვანი გოლი შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე კლუბის საუკეთესო ბომბარდირმა ელიველტონმა შეაგო. ორი მატჩის ჯამში ბრაზილიელებმა 1:0 იმარჯვეს (ლიმაში წინა ოთხშაბათს პირველი ფინალური მატჩი 0:0 დასრულდა) და 1976 წლის შემდეგ ლიბერტადორესის თასი მეორედ მოიგეს, რითაც ამ ერთი კვირის წინ საუკუნეს მიღწეულ მშობლიურ ქალაქს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთეს. რაც შეეხება ფინალურ მატჩს, ძირითადად ბრაზილიელთა ტერიტორიული უპირატესობით კი მიმდინარეობდა, მაგრამ რაიმე რეალური საგოლე მომენტი ელიველტონის გოლამდე, ან თუნდაც მას შემდეგ, „კრუზეიროს" არ შეუქმნია.


REUTERS

ახლა „კრუზეიროს" საკონტინენტთაშორისო თასისთვის მოუწევს ბრძოლა. ბოლო ორი გათამაშებაა, ეს თასი ევროპაში რჩება (1995 — აიაქსი, 1996 — იუვენტუსი) და ახლა ბრაზილიელები მის ოკეანის გაღმა გატანას შეეცდებიან. მათი მეტოქე ევროპის ჩემპიონთა ლიგის მომგები დორტმუნდის „ბორუსია" იქნება. ეს შეხვედრა დაახლოებით ნოემბერ-დეკემბერში ტოკიოში გაიმართება.

## FRANCE 98 შესარჩევი ტურნირი

## ევროპა

**კიდევ ორი ნაკრების მწვრთნელმა დაასახელა მორიგ ოთხშაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის გამოძახებულთა სია.**

რუმინეთი: მეკარეები — ბოგდან სტელია (სალამანკა), დან სტინგაჩუ (ქოჩაელისფორი); მცველები— დან პეტრესკუ (ჩელსი), ანტონ დობოში (აეკ), დანიელ პროდანი (ატლეტიკო), ტიბორ სელიმეში (ანდერლეხტი), ლივიუ ჩობოტარიუ (ნაციონალი), ლურინციუ რეგეკამფი, მარიუს ბაკიუ (სტიაუა), დან პოტოკანუ (სერვეტი); ნახევარმცველები — იულიან ფილიპესკუ, გეორგ პოპესკუ (გალათასარაი), კონსტანტინ გილჩა (ესპანიოლი), ილიე დუმიტრესკუ (ატლანტის სიდალი), დენის სერბანი (სტიაუა), გაბი პოპესკუ (უნივერსიტატია, კრაიოვა); თავდამსხმელები — ადრიან ილიე (გალათასარაი), საბინ ილიე (ფენერბაჰჩე), გეორგ კრაიოვეანუ (სოსიედადი), ვიორელ მოლდოვანი (გრასჰოპერი).

ავსტრია: მეკარეები — მიხაელ კონსელი (რომა), ფრანც ვოლფარტი (შტუტგარტი); მცველები — მიხაელ ჰაცი (რეჯანა), მარტინ ჰიდენი (რაპიდი), კურტ კოგლერი (ზალცბურგი), ანტონ პფეფერი (აუსტრია); ნახევარმცველები — არნოლდ ჰერაფი, პეტერ შტიოგერი (რაპიდი), დიტმარ კუხბაუერი (სოსიედადი), რომან მელიხი, გილბერტ პრილეზინგი (შტურმი), დიტერ სამუში (გრაცერი), მარკუს შოპი (ჰამბურგი); თავდამსხმელები — ჰარალდ ჩერნი (მიუნხენ 1860), ანტონ პოლსტერი (კიოლნი), ჰაიმო პფაიფენბერგერი, ანდრეას ჰერცოგი (ვერდერი), ივიცა ვასტიჩი (შტურმი).

**რუმინეთი შინ მაკედონიას ხვდება, ავსტრია კი ესტონეთს სტუმრობს.**

# კეთილი მორიელი

**გერმანულ მედიას თუმც სულაც არ ახარებს უცხოტომელ მწვრთნელთა ბუნდესლიგაში მიძალება და ამას, ადრეც გაუწყვეთ, საგანგებო კოლექტიური წერილიც კი უძღვნეს „შპორტ-ბილდის" ფურცლებზე, მაგრამ საქმე საქმეა, თანაც ნევიო სკალა რიგითი და იოლად ხელწამოსაკრავი უცხოელი მწვრთნელი არ არის და ჩვენმა კოლეგებმა ზემოთ ნახსენები ჟურნალიდან მასთან გასაუბრება გადაწყვიტეს. სანამ უშუალოდ ფეხბურთზე ილაპარაკებდნენ, მწვრთნელს ზნე-ხასიათი მოუსინჯეს...**



**ნევიო სკალა**

დაიბადა 1947 წლის 22 სექტემბერს

ზოდიაქოს ნიშანი: მორიელი

28 წელია, ჰყავს მეუღლე ჟანი, წარმომავლობით ინგოშტადტიდან. ქალწულობაში ჟანი გვარად ფრიდრიხი იყო.

ჰყავს ორი ვაჟი: 28 წლის საშა მილანში არქიტექტურას სწავლობს, 24 წლის კლაუდიო ბოლონიაში ფსიქოლოგიას ეუფლება.

ჰობი: სოფლის მეურნეობა. სკალას იტალიაში 50 ჰექტარი მიწა აქვს, მოჰყავს შაქრის ჭარხალი, ხორბალი და თამბაქო.

ფეხბურთელის კარიერა: სერია A-ში 270 მატჩი ითამაშა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, გაიტანა 14 გოლი. თამაშობდა „მილანში", „რომაში", „ინტერში", „ფოჯაში", „მონცაში".

საუკეთესო შედეგი — 1969 წელს მოიპოვა ჩემპიონთა თასი.

სამწვრთნელო კარიერა: „ვიჩენცას" ბავშვთა გუნდი (1982-1987), „კალაბრია" (1987-1989), „პარმა" (1989-1996), „პერუჯა" (1996-1997), 1997 წლიდან დორტმუნდის „ბორუსიაშია".

1993 წელს მოიპოვა თასების თასი, 1995-ში — უეფას თასი.

**— ჰოროსკოპით მორიელი ბრძანდებით. მწვრთნელობაში ისეთივე ჯიუტი და შეუვალი ხართ, როგორც ზოდიაქოს ამ ნიშნით დაბადებულებს „შეშვენით"?**

— არამც და არამც. მე დემოკრატი ვარ და ფეხბურთელებთან სიამოვნებით ვსაუბრობ ხოლმე. „პარმაში" გატარებული შვიდი წლის მანძილზე მოთამაშეებთან უთანხმოება არ მომსვლია, რადგან ყოველთვის ნათლად განვმარტავ რას მოვითხოვ მათგან. პრობლემის მართებული გადაჭრის გზად მე დისკუსია მიმაჩნია.

**— მორიელები, ჩვეულებრივ, გულჩახვეული ადამიანები არიან...**

— მაგრამ ჩემმა მშობლებმა ტოლერანტობა, მოყვასის სიყვარული და სოლიდარობის გრძნობა ჩამინერგეს. ფეხბურთელობისას დიდი ბედნიერება მხვდა წილად — ათი შესანიშნავი მწვრთნელი გამოვიცვალე, მათ შორის ჯოვანი ტრაპატონიც. ამ მწვრთნელთა დარიგებებს ფუჭად არ ჩაუვლია. ტრაპატონისგან ფეხბურთელებთან ურთიერთობა ვისწავლე. როცა მწვრთნელის კურსებზე ვსწავლობდი, ფსიქოლოგიაში მუდამ კარგი შეფასებას ვიმსახურებდი.

**— მორიელი თავდაჯერებული და დინჯი უნდა იყოს...**

— ასეთი ნამდვილად ვარ. სათადარიგოთა სკამზე ემოციებს არ გამოვხატავ და ჟესტიკულირებასაც ვერიდები, რადგან ვიცი — მე და ჩემი შეგირდები მეტოქეს ერთი კვირაა ვსწავლობთ და მისი თამაშიც გავაანალიზეთ, ახლა კი, სკამიდან, ბევრი არაფერის შეცვლა არ შემიძლია. თუ კვირის მანძილზე კარგად იმუშავე, მაშინ მატჩის დროს საყვირელი აღარ გექნება.

**— მორიელები დაკვირვებული ადამიანები არიან...**

— მართალია. რამდენიმე წუთი თუ მჭირდება საიმისოდ, რათა გავიგო, რას წარმოადგენს ესა თუ ის ადამიანი. ფეხბურთელს თვალებში ჩავხედავ, შემდეგ მის მოძრაობასა და ქცევას დავაკვირდები და უკვე ვიცი, გამომადგება თუ არა. მოთამაშის ხასიათი ჩემთვის მის თამაშზე უმთავრესია.

**— ეს თვისება ნამდვილად გამოგადგებათ, რადგან „ბორუსიაში" ამდენ ფეხბურთელს უნდა უთავკაცოთ.**

— მართალი ბრძანდებით, 27 ფეხბურთელი ძალზე ბევრია. საუკეთესო ვარიანტი 22 ან 23-ია. ზედმეტებს გუნდიდან გავუშვებთ.

**— რამდენი ხანი დაგჭირდებათ იმის გასარკვევად, რომელი მოთამაშე დატოვოთ და რომელი არა?**

— ძნელი სათქმელია, რადგან აქამდე დრო თითქმის არ მქონდა. იტალიაში სეზონისწინა სამზადისი 40-45 დღით ადრე იწყება, აქ კი მხოლოდ 15 დღით შევიკრიბეთ ლუცერნში, შემდეგ კი ტურნირში და ამხანაგურ მატჩში მივიღეთ მონაწილეობა.

**— ახალგაზრდა მოთამაშეებთან დიდი მუშაობა გელით.**

— დიახ, კლუბის ხელმძღვანელობის სურვილიც ის იყო, რომ მე გუნდი გამეახალგაზრდავებინა. „ბორუსიაში" ხომ უმრავლესობა 30 წელსაა გადაცილებული. ვინ მოხვდება ძირითად შემადგენლობაში, ამას ჩემს თანაშემწეებთან ტონი შუმახერთან, მიხაელ პენკესთან და ივან კარმინატისთან ერთად გადავწყვეტ.

**— ამბობენ, მორიელები მიზანმიმართულად და გაანგარიშებით ქმნიან თავის კარიერას.**

— ოღონდ მე არა. მე ერთი უბრალო კაცი ვარ, რომელიც ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობს და დიდად არ ფიქრობს იმაზე, რა საზიანო შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ სიმართლემ. მე ორი სახე არ მაქვს, რასაც ვფიქრობ, იმას ვლაპარაკობ და არად მიღირს, სასიკეთო იქნება ეს ჩემთვის თუ არა. ფეხბურთელობისას მწვრთნელობა არ მსურდა. ორი წელი სოფელში გავატარე, თამბაქო, კიტრი და შაქრის ჭარხალი მომყავდა.

**— მწვრთნელი როგორღა გახდით?**

— ერთ მშვენიერ დღეს მეუღლესთან ერთად ვიჩენცაში ვსეირნობდი. 1982 წელი იყო. მეგობარი შემხვდა და ახალგაზრდების მწვრთნელობა შემომთავაზა, მეც ხუთი წელი ამ საქმით გავერთე. 1987 წელს კალაბრიული პროფესიული კლუბი ჩავიბარე, რომელიც მესამე ლიგაში თამაშობდა. ჩვენ ერთი საფეხურით ავინაცვლეთ, მომდევნო წელს კი მხოლოდ თერთმეტმეტრიანების სერიის წაგების გამო ვერ მოვხვდით პირველ ლიგაში. 1989. წელს „პარმაში" გადავედი...

**— სადაც შვიდი წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწიეთ...**

— წარმატება ჩემთვის მთავარი არაა. მე საკმაოდ კარგად ვთამაშობ გოლფს, მაგრამ ტურნირებში არ ვმონაწილეობ, რის გამოც გოლფში არანაირი აღიარება არ მაქვს. ჩემთვის სამუშაოა მთავარი, ფეხბურთელებთან ურთიერთობა. მე ხომ ფეხბურთში ამჟამინდელი წარმატებების გარეშეც მშვენივრად შემიძლია ცხოვრება.

**— მორიელები ადამიანებისგან უფრო მეტს ითხოვენ, ვიდრე მათ შეუძლიათ...**

— ჩემთან ყველაფერი პირიქითაა. მთავარია, მოთამაშეს მონდომება ეტყობოდეს, მისი ვარჯიშებით გადატვირთვა არასოდეს მიფიქრია.

**— მორიელები ხიფათის მოყვარულნი არიან...**

— მე გზაჯვარედინზეც კი ძალიან ფრთხილი ვარ და სანამ არ დავრწმუნდები, რომ ყველაფერი წესრიგშია, მანქანას არ ვძრავ.

**— თქვენ ისეთივე ფრთხილი ხართ, როგორიც თქვენი კოლეგა „ბაიერნიდან" ჯოვანი ტრაპატონი?**

— მე მხოლოდ ის მინდა, რომ „ბორუსიას" კვლავ „მადა გაეხსნას". გუნდმა დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წარსულია. გუნდმა მომავალზე უნდა იფიქროს. წარმატება მხოლოდ ამ შემთხვევაში მოვა. ამის მიღწევას ფეხბურთელებთან საუბრებით და ფსიქოლოგიით ვაპირებ.

**— „ბორუსიას" თამაშის სტილს როგორ დაახასიათებდით?**

— არატიპურ გერმანულ ფეხბურთს თამაშობდნენ, ბოლო წლებში დორტმუნდელთა თამაშს უფრო ზოგადევროპული ეთქმის. ტექნიკურად გუნდისთვის რამე ახლის სწავლება შეუძლებელია, იმდენად მაღალი დონის ფეხბურთელები არიან. მაგრამ, ვიმეორებ, მთავარია, მოთამაშეებმა წარსული წარმატებები დაივიწყონ, მათზე ფიქრი გუნდს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს. ახალი ერა უნდა დაიწყოს.

**— „ბორუსიას" თამაშის მანერა შეიცვლება?**

— ამას დრო დაგვანახებს. მაგრამ მე ყოველთვის ერთი ლიბეროთი, კაცზე მიჩენილი ორი მცველით, ხუთი ნახევარმცველითა და ორი თავდამსხმელით ვთამაშობდი. ასეთი ტაქტიკით ყოველთვის კარგ შედეგებს ვაღწევდი.

**— იტალიელი მწვრთნელისგან ტაქტიკურ სიახლეებს ელიან...**

— მწვრთნელი და მისი ტაქტიკა მთავარი კია, მაგრამ მატჩს იგებენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც ზამერი ან მიოლერი არიან და არა ტაქტიკა. კაპელო და ტრაპატონი ჩემპიონები იმიტომ გახდნენ, რომ დიდ გუნდებს წვრთნიდნენ. ტაქტიკა მხოლოდ დამხმარე იარაღია.

**— ფეხბურთელები შიშობენ, რომ თქვენ ყველაფერს შეცვლით.**

— მე დიქტატორი არ ვარ, მაგრამ რასაც გადავწყვეტ, უნდა შესრულდეს. მაგალითად, „პარმაში" ფეხბურთელები თამაშის მეორე დღეს, 15 წუთს დარბოდნენ. მაგრამ რაც „ბორუსიაში" უკვე ტრადიციაა, იმის შეცვლას არ ვაპირებ. მე ახლა გერმანიაში ვიმყოფები, სადაც ყველაფერი სხვაგვარადაა — აქაურები სხვაგვარად იკვებებიან, სხვაგვარად ცხოვრობენ და სხვაგვარად აზროვნებენ. ვცდილობ, ეს ორი მსოფლხედვა შევაჯერო, ამაში ფსიქოლოგია დამეხმარება.

**— თქვენ წესრიგის მოყვარული ადამიანი ბრძანდებით...**

— გუნდში მთავარი წესრიგია. უწესრიგოდ მუშაობა წარმოუდგენელია. შეკრებებზე დღეში სამჯერ ვივარჯიშებთ და ყველა მოთამაშემ უნდა შეიგნოს, რომ რვა საათზეა ასადგომი, შემდეგ კი ვარჯიშები ელის.



ნევიო სკალა „ბორუსიას" წესრიგს და ახალ დროებას ჰპირდება

**— ფულად ჯარიმებს თუ გამოიყენებთ?**

— მე საჯარიმო სანქციების კატალოგი არ მჭირდება. ჩემი მოთამაშეები თავისუფალი ადამიანები არიან და ციხეში არ ცხოვრობენ. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს.

**— ვარსკვლავებისთვის თუ გააკეთებთ გამონაკლისებს?**

— არა. ყველას ერთნაირად მოვთხოვ.

**— კი მაგრამ, განა ზამერს ისევე მოსთხოვთ, როგორც, ვთქვათ, ახალგაზრდა ტიმს. ხომ არსებობს მათ შორის განსხვავება?**

— არა, არანაირი განსხვავება არაა. ჩვენ ვართ გუნდი, რომლისთვისაც ზამერი მნიშვნელოვანია, მაგრამ ის 26 ფეხბურთელი ისევე მნიშვნელოვანია გუნდისთვის, როგორც რომელიმე ვარსკვლავი. ჩემს გუნდში 27 კაპიტანია.

თარგმნა
ერეკლე ძიძილაშვილმა



სან მარინოს ყველაზე დიდი, 6 000 კაცის დამტევი „სტადიო ოლიმპიკო"

# ... და დგას კარში მძღოლი

ვისაც იტალიაში უმოგზაურია, ემილია-რომანას გზატკეცილზე გადააწყდებოდა ჯუჯა ქვეყანას, რომელსაც სან მარინო ჰქვია. აქ თავს იტალიური ფილმის პერსონაჟად გრძნობ — ვიწრო ქუჩებში შაოსანი მოხუცები ჩამომსხდარან და ყურადღებით გადევნებენ თვალს, ცა თოკებითა და მათზე გაფენილი სარეცხითაა ჩახერგილი, კაფეებში კაცები ღვინოს ეძალებიან და იტალიური ფეხბურთის ამბებს არჩევენ...

მაგრამ სან მარინო იტალია არაა, ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის წევრები ვარსკვლავები არ არიან. საერთაშორისო სარბიელზე ისინი დამკვირვებლის სტატუსით გვევლინებიან, თუმცა თავის როლს დიდი მონდომებით ასრულებენ.

სან მარინოს ნაკრების ფეხბურთელებს ძირითადი სამსახურიც აქვთ. ისინი ტურიზმითა და სახელგანთქმული საფოსტო მარკებით შოულობენ ფულს, ზოგიც სუვენირების პატარა მაღაზიის პატრონია.

თავისი ჰობის — ფეხბურთის წყალობით ნაკრების 39 წლის მეკარე პიერლუიჯი ბენედეტინი გმირად შერაცხეს. საქმე ისაა, რომ პიერლუიჯის ჰყავს ავტობუსი, რომლითაც სან მარინოს ეროვნული გუნდი პირველი საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად გაემგზავრა რუმინეთში. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ფეხბურთელთა გადაფრენის ასანაზღაურებელი სახსრებიც კი არ გააჩნდა. მეკარე-მძღოლმაც თანაგუნდელები ავტობუსში ჩასხა და რუმინეთის გზას გაუყენა. ეს მატჩი სან მარინოელებმა 1:3 კი წააგეს, მაგრამ ბენედეტინის დიდი მადლობა გადაუხადეს, რადგან მან კატასტროფული ანგარიშით წაგებისგან იხსნა ნაკრები.

სან მარინოელებს ჯერ არ მოუგიათ. საუკეთესო შედეგი 1993 წელს, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში გაახერხეს, როცა თურქებს 0:0 ეთამაშნენ და თავიანთი პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ქულა აიღეს. ამ წარმატების აღსანიშნავად ფეხბურთელებმა რესტორანში მოილხინეს — „პრემიალური" პიცები მიირთვეს.

ამჯერადაც სანმარინოელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის შანსი არა აქვთ — მე-7 ჯგუფში 37 გაშვებული ბურთით ბოლო ადგილზე არიან. მაგრამ მონტე ტიტანოს ფერდობების ძირში მცხოვრებთათვის ეს სულაც არ არის მთავარი, მთავარი მათთვის ევროპის გრანდებთან გაპაექრებაა. ისინი იმითაც ამაყობენ, რომ ერთხელ მეზობელ იტალიელებს დაეხმარნენ, 1993 წელს იტალიელთა თავდამსხმელ ჯანლუკა ვიალის ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციის გამო რუსებთან ოფიციალური შეხვედრა უნდა გამოეტოვებინა. მეზობლებმა სახელდახელოდ ითამაშეს და ვიალისაც დისკვალიფიკაცია მოეხსნა. „იმ მატჩში 0:4 წაგება ჩემი ყველაზე სასიამოვნო მოგონებაა" — ამბობს ბენედეტინი.

იმ დროს, როცა ბედი იტალიელებთან, ინგლისელებთან ანაც ჰოლანდიელებთან თამაშს არგუნებთ, ნაკრების წევრი სუვენირების გამყიდველნი თავად ცდილობენ ხეირს გამოჰკრან ხელი. პოლ გასქოინი გაოგნდა, როცა მთელი სან მარინოს ნაკრები ავტოგრაფის გამოსართმევად მიესია. წარმოიდგინეთ, რას გრძნობდა ლუიჯი გუალტიერი, როცა მატჩის დაწყებიდან მერვე წამზე ინგლისელებს უემბლიზე გოლი გაუტანა. თუმცა სან მარინომ 7:1 წააგო.

23 000-იანი ქვეყნის ჩემპიონატში 16 გუნდი თამაშობს, სპორტული სარბიელი კი სულ 11 აქვთ. მინდორი ზოგან იმდენად პატარაა, რომ ხელბურთის კარები უდგათ. უდიდესი სპორტული არენა სოფელ სერავალეშია და 6000 მაყურებელს იტევს, ზუსტად იმდენს, რამდენიც ამ სოფელში ბინადრობს. სტადიონს, სიმცირის მიუხედავად, ოლიმპიური ჰქვია.

ყველაზე მეტჯერ ქვეყნის ჩემპიონი „ტრე ფიორი" იყო. ამ კლუბის სახელი სამ ყვავილს ნიშნავს და სამჯერ მოპოვებული ტიტულის გამო ჰქვია. სან მარინოს საუკეთესო გუნდი იტალიის მე-7 ლიგაში თამაშობს და იქ ყვავილის ქოთანიც კი არ მოუგია.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ჯორჯო კრესკენტის სურს, თავისი ქვეყნის გუნდები ევროთასებზე ასპარეზობს. ახლა ეს ღიმილის მომგვრელი მოსაზრებაა, თუმცა კრესკენტის მაშინაც დასცინოდნენ, როცა სან მარინოს ნაკრების ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ტურნირებში დაშვებას ცდილობდა. მან კი თავისი მაინც გაიტანა.

ერთადერთი ვინც მან გააწბილა, ტურინის „იუვენტუსის" ფეხბურთელი მასიმო ბონინი იყო. როცა ფიფამ და უეფამ სან მარინო აღიარეს, ბონინი უცხოელად შერაცხა და იტალიის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება ჩამოერთვა.

ახლა ბონინი ნაკრების მწვრთნელია და სურს თავისი გუნდის წარმატებით ქვეყნის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწეროს.



სან მარინოში ამ ალაგს „მონტე ტიტანოს" — ტიტანურ მთას უწოდებენ

დაველოდოთ 10 სექტემბერს, როცა სან მარინო თურქეთს უმასპინძლებს, ვინ იცის, იქნებ თურქები კარგ როლს თამაშობენ სანმარინოული ფეხბურთის ისტორიაში, ის არნახული წარმატება ხომ ამ ჯუჯა ქვეყნის წარმომადგენლებმა სწორედ ჩვენს მეზობლებთან გაახერხეს ოთხი წლის წინ — 0:0.

ერეკლე ძიძილაშვილი

# პატარა ნაკადულიდან დიდი ცხოვრება იწყება

**30 წლის წინ თბილისის „ნაკადულმა" საკავშირო ბავშვთა პირველობაში „ტყავის ბურთის" პრიზზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა**

ახალს არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, იმათ ბავშვობისას, ვისზეც დღეს გვაქვს ლაპარაკი, და რომელშიც მთელი ჩვენი თაობა იგულისხმება, თბილისის ყოველ ქუჩას, ეზოს და უბანს თავისი გამორჩეული საფეხბურთო ვარსკვლავები ჰყავდა. ის კი არა და, სხვა უბნის საუკეთესო მოთამაშენიც ვიცოდით. ისინი დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობდნენ ნორჩების ცნობიერებაში. მაშინ ხომ ყველაფერს გაორმაგებული მნიშვნელობა აქვს. ქართული ფეხბურთის სიამაყეს თბილისის „დინამოს" ერთობ უჭირდა საბჭოთა ფეხბურთის ოლიმპზე ასვლა. ჩვენ ჩვენს ქუჩაზე, უბანსა თუ სკოლაში უდიდესი ამბიციები გვქონდა და გვეგონა, რომ ჩვენი მომგები დედამიწის ზურგზე არც არავინ იყო. ჰოდა, 1964 წელს გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" ინიციატივით საკავშირო პირველობის მომზადება დაიწყო ეზოსა და ქუჩის გუნდებისთვის და თითოეულ ჩვენგანსაც ასპარეზი მიეცა. პირველმა, ორმა წელმა მნიშვნელოვნად შეარყია ჩვენი რწმენა უძლეველობის შესახებ. მართალია, ქართულ გუნდებს ურიგოდ არ უთამაშიათ, პირველობა მაინც ვერ მოიპოვეს. 1967 წელს კი...

1967 წელს საქართველოს პირველობა 13 წლის ასაკის ფეხბურთელებისთვის თბილისის „ნაკადულმა" მოიგო. მართალია, იქ მარტო ერთი ეზოს ბიჭები არ იყვნენ (ასეთი, ალბათ, არც საკავშირო ასპარეზზე იქნებოდა), მაგრამ ყველა რომ ერთი უბნელები იყვნენ — საბურთალოელები, ამას თვითონ დავადასტურებ. შინ, უბნებს შორისაც ხომ იყო ქიშპობა, ჰოდა, „ნაკადულმა" ორჯონიკიძის რაიონის პირველობაც მოიგო, ქალაქისაც და რესპუბლიკურ პირველობაზე ქუთაისელებთან და თელაველებთან მძიმე ბრძოლაში ფინალურ ტურნირზეც გაიმარჯვა.

იმ წლის „ტყავის ბურთის" ფინალი დონის როსტოვში გაიმართა. გუნდის მწვრთნელმა შიო ბოკუჩავამ და გუნდის უფროსმა ჯუმბერ მაჭავარიანმა ამ ტურნირში საბურთალოელი ბიჭები წაიყვანეს: **თამაზ ადამაშვილი, ნიზამი თოფჩიევი, დათო დევაძე, სოსო სულაძე, მერაბ დეკანოიძე, ზურაბ ქაფიანიძე, გოგლა ცაბაძე, დათო ტაბუცაძე, ვანიკო სვანიძე, ძმები გაგუები, ნოდარ სამადაშვილი, ნოდარ საბანაძე, ნუგზარ მამალაძე.** მხოლოდ ერთი თელაველი დაიმატეს — **თამაზ გოგიაშვილი.** ფინალურ ასპარეზობაში 24 გუნდი ოთხ ჯგუფად იყო დაყოფილი.

ქართველებმა ჯგუფში ოთხი თამაში მოიგეს. ერთი ფრედ ითამაშეს და ბურთების საუცხოო შეფარდებით 9:1-ზე გამარჯვებულები გამოვიდნენ ჯგუფში. ერთადერთი ბურთი მათ მოლდოველებმა გაუტანეს, თანაც პირველებმა. მაგრამ ჩვენებმა ის თამაში 3:1 მოიგეს და კიევის, ელისტისა და კიროვაბადის გუნდებთან ერთად ნახევარფინალში მოხვდნენ. მსაჯებისგან დაწოლის მსგავსიც კი არაფერი ყოფილა. აი, გულშემატკივრები კი ჩვენი გუნდის წინააღმდეგ იყვნენ და ხანდისხან კენჭებსაც კი ესროდნენ ნორჩ ფეხბურთელებს. მერე როცა ყველაფერი კარგად დამთავრდა, ასეთი მოქცევა შემდეგნაირად ახსნეს: ჩვენ ყოველთვის სუსტს ვუდგევართ მხარში, თქვენი გუნდი კი ძალიან ძლიერიაო. ნახევარფინალში მართლაც უძლიერესები მოხვდნენ გარდა ერთი გუნდისა, რომელსაც „საქართველო" ერქვა და ჩრდილო ოსეთიდან — ვლადიკავკაზიდან იყო. ამ გუნდში ერთი ქართველიც არ ყოფილა, გუნდს სახელი (სწორედ „საქართველო" და არა „გრუზია") ოსებმა ქართველთა სიმპათიის გამო დაარქვეს (მოდი და ნუ გაგიკვირდება ეს დღეს). ჰოდა, „საქართველო" ჩაძირეს, ბოლო თამაში ელისტას კურგან-ტიუბეს „მაუჩისთვის" 8 ბურთით უნდა მოეგო, რომ ოსებისთვის გადაესწრო და მათაც 11:0-ზე მოიგეს შეხვედრა.

ქართველები სწორედ ყალმუხებს შეხვდნენ ნახევარფინალში, დაამარცხეს 2:0 და ფინალში პრინციპული შეხვედრა ელოდათ კიევის „ენთუზიასტთან". რატომ პრინციპული? მოზრდილ მოთამაშეთა პაექრობა პატარებზეც ვრცელდებოდა და იქაც მტკიცდებოდა ქართული ფეხბურთი სჯობდა, თუ უკრაინული. ფინალი ჩვენების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ გოლი არ გავიდა. თერთმეტმეტრიანებით კი „ნაკადულმა" გაიმარჯვა. „ნაკადული" ვსეხ ნადული-ო" ამბობდნენ რუსები. უდიდესი სიხარული იყო, 13 წლისა გახდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და შენი უბანი საბჭოთა კავშირს ყველა უბანზე ამაღლო ფეხბურთში... ჩვენმა ამჟამად ცნობილმა საკალათბურთო მწვრთნელმა ვაჟა ჭკუასელმა ბრაზილიელი გოსლინგის დარად მსაჯს ფინალური სასტვენის შემდეგ „ბედნიერი" ბურთი გამოსტაცა სამახსოვროდ. ბიჭები ოქროს მედლებით და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა ავტოგრაფიანი ბურთებით თვით ვიქტორ პონედელნიკმა დააჯილდოვა. გამარჯვებულებთან გამოჩენილმა ვეტერანებმა გადაიღეს სურათი.

იმ ბიჭებიდან, რომელთაც ჩემპიონობა მოიპოვეს, ვერც ერთი ვერ მოხვდა დიდ ფეხბურთში. თუმცა, სპეციალისტთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს და თითქმის მთელი გუნდი შევიდა სიმბოლურ ნაკრებში. რა იყო ამის მიზეზი, თვითონ განსაჯეთ: 13 წლის ფეხბურთელების სურათები მთელ საბჭოთა თუ ქართულ სპორტულ პრესაში მოხვდა. გუნდი თბილისში ჩამოსვლისას ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა მიიღო. მერე ასეთივე შეხვედრა მოუწყეს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. ხალხით გაჭედილ „დინამოს" სტადიონზე საპატიო წრე დაარტყა. გამარჯვებული გუნდის სურათი შუა რუსთაველზე ეკიდა და არც არტეკის 40 დღიანი საგზური დაიშურეს. განა ადვილია, იმ ასაკში როსტოვში სადილის შემდეგ შოკოლადის ფილას რომ გაძლევენ და იმდენს ჭამ, თავს გაბეზრებს, ამას გაუძლო?

ადვილია, იმ ასაკში, როცა ფიქრობ, რომ პიონერთა ბანაკ არტეკში არასამოსწავლო ასაკის მწვრთნელსაც გამოგატანენ, ამას გაუძლო?

და თანაც ისეთი პატარა ხარ, რომ გამარჯვების აღმნიშვნელ ბანკეტზე მშობლები ქეიფობენ, შენ კი გძინავს.

ჰოდა, როცა ამ ასაკში უკვე თავს დიდ ფეხბურთელად წარმოიდგენ, ძნელია, რამეს მიაღწიო. დიდ ფეხბურთს ერთადერთი გუნდის კაპიტანი ზურა გაგუა მიუახლოვდა, რომელმაც სხვადასხვა ასაკის საქართველოს ნაკრებთა შემადგენლობებში სხვადასხვა ასაკის რამდენიმე საკავშირო შეჯიბრი მოიგო, ვმებმა აღარ მისცა საშუალება, ბოლომდე გამოეჩინა თავი.

შემდეგ ყველამ თავისი გზა აირჩია ცხოვრებაში. არიან ექიმები, ინჟინრები, მათემატიკოსები... აქვთ ოჯახები და ჰყავთ შვილები, ზურაბ ქაფიანიძე ბაბუაცაა.

თუმცა, ამ 40-ს ახლახანს გადაცილებულ ხალხში, რომლებიც ხვალ, 18 აგვისტოს, შეიკრიბებიან და „ნაკადულის" საკავშირო ჩემპიონების 30 წლისთავს იზეიმებენ, აღარ არიან:

ზურაბ გაგუა — აფხაზეთის ომში დაიღუპა.

თამაზ გოგიაშვილი — ავტოკატასტროფაში საკუთარი სახლის წინ გარდაიცვალა.

ნუგზარ მამალაძე — ვიღაც გარეწარმა მოკლა „დელისის" მეტროსთან.

ვანიკო სვანიძე

სხვები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ სხვადასხვა უბანზე. რა დარჩა იმ გამარჯვებიდან?

უდიდესი სიამაყის გრძნობა, რომ შენი უბანი ყველაზე ძლიერ ფეხბურთს თამაშობს დუნიაზე.

რომ ქართული ფეხბურთი საუკეთესოა (13 წლის ხარ და გამარჯვებული ასე იფიქრებ, აბა რა!). მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ უფროს ასაკში თბილისის „ცისკარიც", სადაც ვაკელები თამაშობდნენ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

დარჩა უზარმაზარი სითბო და სიყვარული, რომელიც ბიჭობაში მათმა მწვრთნელმა შიო ბოკუჩავამ დათესა და რომლის ღვაწლსაც ახლაც სიამოვნებით იხსენებენ.

დარჩა მეგობრობა და ის პირველი შეგრძნება კაცობისა, როდესაც შენ შენს პირველობას საქვეყნოდ ამტკიცებ.

და ეს სულაც არაა ცოტა.

ადამიანი არ შეიძლება მუდმივად ბედნიერი იყოს. ბედნიერება ბედნიერი წუთების ჯამია და ის წუთები, რომელიც მათ 30 წლის წინ განიცადეს, როცა გამარჯვებისგან ატირებულნი ერთმანეთს ულოცავდნენ, ყოველთვის დარჩება ბედნიერი დღეების იმ ჯაჭვში, რომელსაც შემდეგ ბევრი ახეთი წუთი დაემატა და ეჭვი არ არის, კვლავ დაემატება.

**ილია მხეიძე**



„ნაკადულის" ფეხბურთელები ცნობილ ვეტერანებთან ერთად: იგორ ნეტოს, ალექსეი ხომიჩის, ვლადიმერ კესარევის, ვიქტორ ცარიოვის გვერდით შენც დიდ ფეხბურთელად გრძნობ თავს



გამარჯვების სიხარული და ცრემლები: ეს-ეს არის პენალტების სერია დასრულდა და საბურთალოელი ბიჭები საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. II ტური**

16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — ოქსფორდი | 1,8 | 2,7 | 3,6 |
| ქრიუ — ვესტ ბრომვიჩი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ჰადერსფილდი — ბირმინგემი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| იფსვიჩი — მიდლსბრო | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| პორტსმუთი — პორტ ვეილი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| რედინგი — სვინდონი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| სტოკპორტი — ბერი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ვულვერჰემპტონი — შეფილდ იუნაიტედი | 1,7 | 2,8 | 4,0 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური**

16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ოსერი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| ბორდო — რენი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| გინგამი — სტრასბური | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| ლანსი — ლე ავრი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ლიონი — მონაკო | 2,1 | 2,7 | 2,8 |
| მონპელიე — მარსელი | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| პსჟ — კანი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| შატორუ — მეცი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ტულუზი — ბასტია | 1,8 | 2,8 | 3,4 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. II ტური**

16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — დანფერმლაინი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ჰართსი — აბერდინი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| კილმარნოკი — რეინჯერსი | 6,0 | 3,6 | 1,3 |
| მოზერველი — სტ. ჯონსტონი | 1,5 | 3,0 | 5,0 |

17 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

**რუსეთის ჩემპიონატი. XXIII ტური**

16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — კამაზი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ალანია — როსტსელმაში | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| როტორი — ბალტიკა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| დინამო — ლოკომოტივი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ტორპედო — ცსკა | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ჩერნომორეცი — ტიუმენი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ჟემჩუჟინა — კრილია სოვეტოვი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| შინიკი — ზენიტი | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| ფაკელი — ნოვგოროდი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. VIII ტური**

16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — რაპიდი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ლუშტენაუ — ლინცერი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| რიდი — ტიროლი | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| ზალცბურგი — გრაცერი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| შტურმი — ადმირა | 1,1 | 5,0 | 10,0 |

**ბელგიის ჩემპიონატი. II ტური**

16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — ლიერსი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| მუსკრონი — გენტი | 1,25 | 3,6 | 7,0 |
| სტ. ტრიუდენი — ჰარელბეკი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ალსტი — ანტვერპენი | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ლოკერენი — გენკი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| შარლერუა — სტანდარდი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| ბრიუგე — ვესტერლო | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ლომელი — ბევერენი | 1,35 | 3,3 | 6,0 |
| ანდერლეხტი — მოლენბეკი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

**იტალიის თასი. I ეტაპი. I მატჩები**

16 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩეზენა — ლეჩე | 3,0 | 2,9 | 1,9 |

17 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშელო — ლუკეზე | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| ანკონა — პესკარა | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| კიევო — დი სანგრო | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| კატანია — ვერონა | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| პალერმო — რეჯინა | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| სავოია — პერუჯა | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| ფ. ანდრია — პადოვა | 2,7 | 2,8 | 2,1 |
| კოზენცა — ფოჯა | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ნოჩერინა — კალიარი | 4,4 | 3,2 | 1,5 |
| კომო — ტორინო | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| ტრევიზო — რეჯანა | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| კრემონეზე — რავენა | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| სალერნიტანა — ბარი | 2,8 | 2,9 | 2,0 |
| კაპრი — ვენეცია | 3,0 | 2,9 | 1,9 |

18 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| მონცა — ჯენოა | 3,2 | 3,0 | 1,8 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩები**

17 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გვინეა — ნიგერია | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ბურკინა ფასო — კენია | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ეგვიპტე — ლიბერია | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ტუნისი — ნამიბია | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| სამხრეთ აფრიკა — კონგო | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ზამბია — ზაირი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ტოგო — ანგოლა | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ზიმბაბვე — კამერუნი | 6,5 | 3,4 | 1,3 |
| მაროკო — გაბონი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| განა — სიერა ლეონე | 1,2 | 4,0 | 8,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# აკროპოლისიდან რომ გადმოვიხედე...



**ეს კაცი 200 მეტრზე რბენაში ტრინიდადელი მსოფლიოს ჩემპიონი ატო ბოლდონია. ეს კერძოდ, ზოგადად კი, ეს სურათი — გახარებული ზანგი ოქროს მედლით — დღევანდელი მძლეოსნობის სიმბოლოცაა**

უცნაურ ქვეყანაში გახლდით. იცით, ამწუთას პირველი რა გამახსენდა? ის, რომ თერთმეტი დღის მანძილზე ბერძნული სიმღერების გარდა არაფერი მომისმენია. იმასაც ვფიქრობ, ეს კარგია, პატრიოტიზმის მანიშნებელია-მეთქი და იმასაც, რომ ეს თანამედროვე ამერიკულ-ევროპული ცხოვრებისგან ერთგვარ იზოლაციაზე მიუთითებს. კარგია თუ ცუდი, რაც ახლა ვთქვი? იქნებ დღევანდელი ეპოქის კოსმოპოლიტურობისგან თავის დაცვა ცუდი არც იყოს.

მოკლედ, ვფილოსოფოსობ რაღაცას ტყუილად. თან, ალბათ, მთლად მართალი არცა ვარ. სასტუმროში ჩემს ოთახში ტელევიზორი რომ იდგა, ორმოცამდე არხს აჩვენებდა. მართალია, მათი უმრავლესობა ბერძნული იყო, იქაური თემატიკითა და სიმღერებით, მაგრამ ისეთ პროგრამებსაც მივაგენი, ყველასთვის გასაგებს. ჰო, მართლა, ინგლისური ფილმები გახმოვანებული არაა. მათ ბერძნული სუბტიტრები ახლავთ. ათენში კი ნებისმიერმა ადამიანმა, თუნდაც მათხოვარმა, ორი ლერი ინგლისური იცის. დაახლოებით ისე, როგორც ჩვენთან რუსული.

მათხოვრები ვახსენე. ისინი ჰელასის დედაქალაქს არ აკლია. აქ ლონდონელი მათხოვრების მსგავს ხალხზე არაა საუბარი. ლონდონელებს სამათხოვრო არაფერი სჭირთ და თუ ვინმე ქუჩაში ფულს ითხოვს, ესე იგი, იდეა აქვს ასეთი. აქ კლასიკური მათხოვრები არიან, რომელთაც უჭირთ. ნახავთ ინვალიდს, რომელიც სხეულის დაზიანებულ ან განუვითარებელ ნაწილს განზრახ იშიშვლებს, რათა ხალხს თავი შეაცოდოს.

კიდევ რას ნახავთ ათენში? რას და ბაზარს, ჩვეულებრივ ბაზარს, ისეთს, თბილისში დეზერტირებისა რომაა. ნახავთ უამრავ პატარა მაღაზიას, უამრავ ეკლესიას და ხალხს, რომლებიც ეკლესიასთან ჩავლისას პირჯვარს იწერს. მე მგონი, ბერძნები მორწმუნე ხალხია. სხვანაირად ვერც იქნება, მათ ხომ კომუნისტები არასდროს მოსჯდომიან ზურგზე. თან მართლმადიდებლები არიან. ვერ დავიჩემებ, რომ რელიგიურ საკითხებში სიღრმისეულად ვერკვევი, მაგრამ ზედაპირული დაკვირვება მაჩვენებს, რომ პროტესტანტები და კათოლიკები უფრო პრაქტიკული და ალბათ მცირედ ეკლესიური ხალხია, მართლმადიდებლები კი შესაძლოა ნაკლებ ცივილიზებულნი არიან, მაგრამ ტაძრებს უფრო მოწიწებით ეპყრობიან. ამას საკამათოდ არ ვამბობ, არც რამეს ვამტკიცებ.

მოკლედ, მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატს უნდა ვუმადლოდე, ათენში თერთმეტი დღე რომ გავატარე. ცხადია, ჩემპიონატზეც ვიტყვი, რისი თქმაც იქიდან გამოგზავნილ რეპორტაჟებში ვერ მოვახერხე, მაგრამ მანამდე...

— სადაური ხარ? — მეკითხება პატარა ათენური მაღაზიის მეპატრონე.

— ქართველი.

— ჰო, ქართველები მშვენიერი ხალხი ხართ. რამდენიმე წლის წინ თქვენგან ბალეტი იყო ჩამოსული, დიდებული ბალეტი. მთელმა დასმა ჩემთან იყიდა ჭალები...

— სადაური ხარ? — მეკითხება სხვა, რომელიც თავისი მაღაზიის წინ ქუჩაში დგას.

— ქართველი.

— სპორტსმენი ხარ? — საკრედიტაციო ბარათი შენიშნა.

— არა, ჟურნალისტი.

— თქვენი სპორტსმენები რამდენ მედალს მოიგებენ?

— სულ ორნი იყვნენ და წუხელ, პირველსავე გარბენში ორივე გამოეთიშა შეჯიბრებას.

— ჰო, ეგ ცუდია, მაგრამ არა უშავს, გული არ გაიტეხო, შემოდი ჩემს მაღაზიაში, ოქროულობით ვვაჭრობ და იქნებ მეუღლისთვის შეგირჩიო რამე. — ამოდენა შესავალი თურმე რისთვის სჭირდებოდა.

სხვათა შორის, ათენში ბევრია პონტოელი ბერძენი ანუ ჩვენგან და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან წასული. მოგეხსენებათ, ერთი ხანობა კომუნისტებმა ბევრი მათგანი შუა აზიაში გადაასახლეს. ახლა ბევრი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა.

იყო ერთი კაცი, ყოფილი ტაშკენტელი. კეთილი კაცი იყო. მომიყვა, ჯერ კიდევ სსრკს დროს ავიტეხე საბერძნეთში დაბრუნება და დავბრუნდი კიდეც. ერთი თვე უმუშევარი ვიყავი, შემდეგ ძალიან დაბალ ანაზღაურებაზე მიმიღეს სამსახურში ჩემი ძმაც მოეწყო, დღეში ერთი სენდვიჩის საფასურს უხდიდნენ, მერე ნელნელა მოვძლიერდით და ახლა შიმშილით აღარ ვკვდებითო. მაინც უჭირდა ცხოვრება, ერთი-ორჯერ საბჭოთა დროც კი ინატრა. ახლა ეს რატომ მოვყევი: ათენში არის დიდი ტაძარი, რომელთანაც თურმე რუსები და ქართველები იყრიან თავს. ერთხელ იქ გავიარე. მივდივარ ჩემთვის, მაგრამ, ეტყობა, იერზე მაზის ყოფილი წითელი ქვეყნის დაღი, — ქაქ ძელა — მომესმა. გავიხედე, ვიღაც ულვაშებიანი კაცია, ეტყობა, საბჭოეთიდან გადასახლებული ბერძენი. წინ ახალგაზრდა ქალი უზის, ისიც იღიმება. არა მიშავს რა-მეთქი. საიდან ხარო. საქართველოდან-მეთქი. მაშ ქურქი გენდომებაო. უარი ვუთხარი. ვა, საქართველოში ასე ცოტა ფულს გიხდიანო, მეკითხება. ვის როგორ — ვპასუხობ. მაშ ცოლისთვის იყიდე ქურქი, არ მეშვება. არ მინდა, კაცო, არც ფული მაქვს, არც სურვილი — ვცდილობ მოვიშორო თავიდან. მერე ასე იყო:

— ეჰ, ქართველებს ფული არა გქონიათ.

— თქვენ რა, გაქვთ?

— გვაქვს, მაშ, თან აქ კარგია, თბილა.

— ზაფხულში სიცივეს არც თბილისში ვუჩივით, ხოლო რაც შეეხება კარგ ცხოვრებას, ერთი ყოფილი ტაშკენტელი გავიცანი, რომელმაც თქვა, საბერძნეთში არც ისე გვილხინსო.

— ჩემგან გადაეცი, ფული იშოვნოს — დამაბარა ულვაშებიანმა.

შემდეგ საუბარში ქალი ჩაერია. თბილისელი ვიყავი, მაგრამ გამსახურდიას დროს გამომაგდეს. ახლა აქ ტურისტულ ფირმაში ვმუშაობ, რუს ტურისტებს ვემსახურები და ამიტომ მშობლიურ გარემოს მოშორებული არა ვარო.

მოკლედ, ვინ როგორ. ან სად რუსული მშობლიური გარემო და სად საქართველო. ათასი ჯურის კაცი დადის ამქვეყნად. ასეა საბერძნეთშიც.

ჩემპიონატის ბოლო დღეა, შეჯიბრებები დასრულდა. იქვე სტადიონთან პრესცენტრში შევედი რედაქციაში ფაქსის გამოსაგზავნად.

— ხვალ მიდიხართ? — მეკითხება ტელეკომუნიკაციათა ფირმაში მომუშავე ქალი.

— დიახ.

— მაშ მოიცადეთ — უჯრიდან კალამსა და გასაღების ჩამოსაკიდებელს იღებს, მჩუქნის — ამათ რომ დახედავთ, საბერძნეთი კარგად მოგაგონდებათ.

მართლაც კარგად მაგონდება და ამაში იმ ქალის წვლილიცაა. შეუძლებელია, ცუდად მოგაგონდეს ელინთა ქვეყანა და მისი აკროპოლისიანი დედაქალაქი. ათენს საოცრად ლამაზი რელიეფი აქვს, არის ზღვაც და მთაც. ქუჩები ვიწროა, კოლორიტი თავისებური. თეთრი ქალაქია. მართალია, აქ ისე არაა, როგორც რომში, სადაც ყველა ქუჩა მუზეუმია, აქ ძირითადად თანამედროვე სახლები დგას, მაგრამ ეს გასაგებიცაა, უძველესი ქალაქი მრავალჯერ დაურბევიათ, დაუნგრევიათ და გაუძარცვავთ.

ჟურნალისტები აკროპოლისზე აგვიყვანეს. ცხელოდა, ტურისტები გვერდს ვერ უქცევდნენ ერთმანეთს. გიდი უხსოვარი დროის ამბებს გვიყვებოდა. შემდეგ იმ ეპოქაზე გადავიდა, თურქებმა რომ იავარჰყვეს ათენი. გიდმა რუკა გაშალა. გაჩვენებთ, თურქებამდე აქ როგორ იყოო. რუკა დიდი გამოდგა, ქალს მისი გაშლა და თან საუბარი გაუჭირდა. ჟურნალისტთა ჯგუფს ერთი შორტიანი და მზის სათვალიანი კაცი გამოგვეყო და ჯენტლმენურად გამოართვა ქალბატონს რუკა. მე ვიცოდი, რომ ის კაცი თურქი იყო, ადრეც შემენიშნა.

რა იყო ეს, ცინიზმი თუ მეოცე საუკუნის კოსმოპოლიტური თავაზიანობა? ამ კითხვაზე დღესაც არ ვიცი პასუხი.

— ბატონო დავით, იცით, ეს კაცი თურქია — გადავულაპარაკე უფროს კოლეგას.

ბატონი დავით ეფრაიმი ისრაელის რადიოში მუშაობს. ოცდაექვსი წლის წინ, ქუთაისში, ეს კაცი დავით ეფრემაშვილი იყო. მას ქართული იერი აქვს. აბა, ისე როგორ, მისი წინაპრები ხომ უამრავი ასწლეულის მანძილზე საქართველოში ცხოვრობდნენ.

ვიღაცამ მითხრა, ერები აღარ იქნებაო. ჰო, ის ყოფილი ტაშკენტელი მეუბნებოდა. არა-მეთქი, შევეპასუხე და ბატონი დავითის მაგალითი მოვუტანე. ბატონი დავითი ხომ ქართველს ჰგავს, მის მამაპაპას ოცდაექვსი საუკუნე ჩვენს ქვეყანაში უცხოვრია, მისი ვაჟი კი ტიპიური ებრაელია. სადღა ხარ, ქუთაისურო იერო, ერთმა თაობამ დაამარცხა ოცდაექვსი საუკუნე.

დიდებული კაცია დავით ეფრაიმი, ახალგაზრდული ენერგიით სავსე. სულ ცდილობს, ქართველებს პატივი სცეს, რაიმე ასიამოვნოს. მერე რა, რომ ამ თხუთმეტიოცი წლის წინ, სადმე მძლეოსნობის რომელიმე ჩემპიონატზე ყოფილ ქართველ თანამემამულეებს რომ გადაეყრებოდა, გრძნობდა, თვალს არიდებდნენ. კარგად იცის ბატონმა დავითმა, რატომაც. დრო იყო ისეთი, საშინელი. ამის გულისთვის გულში ბოლმა არ ჩაუდვია.

ბატონ დავითს ქართულს რა დაავიწყებს. ერთადერთი სიტყვა, რომელიც უცბათ ვერ გაიხსენა, ნიმუში იყო. მეოთხედი საუკუნე მაინც დიდი დროა. მისი ვაჟი კი... ასე უცნაურად კაცთან არასდროს მილაპარაკია. მე ქართულად ვამბობდი, ის ინგლისურად მპასუხობდა. ესმის ჩვენი ენა, მაგრამ სალაპარაკო პრაქტიკა არ აქვს და ამიტომ ვერ მეტყველებს.

...რატომ არ მყარდება ამ ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდები? — ვეკითხებოდი დავით ეფრაიმსაც და სხვებსაც. პასუხები სხვადასხვა იყო. აი, ძირითადი ვერსიები:

თანამედროვე მძლეოსნობაში რეკორდის დამყარება ძალიან ძნელია, რადგან ყველა არსებული რეკორდი თითქმის ადამიანთა შესაძლებლობის ზღვართანაა.

ათენში ცხელა.

არშან, ატლანტის ოლიმპიადაზე ძალიან მაღალი შედეგები იყო. წლეულს, როგორც ჩანს, სპორტსმენთა მომზადების მწვერვალმა გადაიარა.

მსოფლიოს ჩემპიონატი კომერციული შეჯიბრება არაა და მძლეოსნები რეკორდებს იმ ტურნირებისთვის ინახავენ, სადაც პრემიები ენითაუწერლად დიდია.

ნეტავ რომელია მართალი? იქნებ ყველა ამ მიზეზთაგანი თავის როლს თამაშობს და ერთად განაპირობებენ ურეკორდო ჩემპიონატის არსებობას? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. მაგრამ ოთხშაბათს, უკვე თბილისში დაბრუნებული, ტელევიზორში „დინამოს" ლევერკუზენულ საცოდაობას რომ ვუყურებდი, როიტერმა ციურიხის გრანპრიდან სამი მსოფლიო რეკორდის ამბავი მოიტანა და კითხვას პასუხი გავეცი. რა, ციურიხში ათენზე გრილი ამინდია? არა, ეს მიზეზი არ უნდა იყოს. შარშან, ატლანტაშიც პაპანაქება იყო.

მიუხედავად დაბალი შედეგებისა, ათენში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატს მაინც ჰქონდა თავისი დადებითი მხარე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩემპიონატის საკმაოდ კარგი ორგანიზაცია გახლდათ. ვისაც გახსოვთ „სარბიელის" ათენური რეპორტაჟები, ისიც გეხსომებათ, რომ ერთ-ერთ წერილში ვწერდით, საორგანიზაციო მხარე ცოტა მოიკოჭლებსო. ახლა თითქოს პირიქით ვამბობ, მაგრამ ამის მიზეზს ახლავე აგიხსნით. ჯერ გავიმეორებ, რომ საბერძნეთის დედაქალაქს საუცხოო სპორტული ნაგებობები აქვს. ოლიმპიური კომპლექსი ისეთია, კაცი უკეთესს ვერ ინატრებ, ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა არ ყოფილა. პრობლემა არც აკრედიტებულ პირთა სასტუმროებიდან სარბიელებზე საგანგებო ტრანსპორტით გადაყვანა ყოფილა. ვთქვათ, პირველსაათიანი ავტობუსი ყოველთვის პირველზე გადიოდა, ორიანი კი ორზე, მაგრამ ეს ისე ხდებოდა, რომ კაცს შთაბეჭდილება შეგექმნებოდა, ყველაფერი ცუდადაა ორგანიზებულიო. მაგალითად, ავტობუსის გასვლამდე ხუთი წუთით ადრე მძღოლი და დისპეჩერი აუცილებლად იწყებდნენ ჩხუბსა და ყაყანს. ანდა, თუ ვინმე ამავე ავტობუსში [illegible] ბროდით ან [illegible], მძღოლს ფერი ეცვლებოდა და იმ ვინმეს ჩასვლას [illegible] მაყოფილების [illegible] ხდებოდა. [illegible] რომ დასავლეთევროპელი კაცი ასეთ გაგდებას მიჩვეული არაა. მისი ქვეყნის მძღოლებს ავტობუსში ერთი ნამცეცი პურის დავარდნა ან ერთი წვეთი კოკას დაღვრა პრობლემად არ ესახებათ, კლიენტს ამის გულისთვის არ აწყენინებენ, რადგან იმ ავტობუსის გამოგვისა და გაწმენდის ფული აქვთ. არც ჩვენთან, საქართველოში დგას საკითხი ასე მწვავედ. აქ ავტობუსს არავინ უვლის, თუ გინდა ორი კილო მზესუმზირა აკნატუნე და ნაფცქვენების მთა დააყენე. საბერძნეთში კი მესამე მდგომარეობაა.

კიდევ ერთი მაგალითი. საგანგებოდ ამ საქმისთვის გამოყოფილ ხალხს ვეკითხები, ჩემი თვითმფრინავი, ესა და ეს რეისი, ხვალ რომელი აეროპორტიდან გადის, მეთქი. ატყდა ყაყანი, ვინ არ ჩაერია. ვთხოვე, დარეკეთ აეროპორტის ცნობათა ბიუროში და ზუსტად იქ ეცოდინებათ-მეთქი. შენც არ მომიკვდე, ბევრი იკამათეს და თავისი ვარაუდი მითხრეს. მაინც ვერ მოვისვენე, თავად დავრეკე საჭირო ნომერზე და გავიგე, რომ სწორად უთქვამთ. უფრო იოლი არ იყო, დავის ნაცვლად მაშინვე ჩემსავით მოქცეულიყვნენ და დაერეკათ?

მოკლედ, ასეა, პირველსაათიანი ავტობუსი მართლა პირველზე გადის, აეროპორტი სწორად მითხრეს, მაგრამ როგორ, ეს უკვე გიამბეთ.

და მაინც, ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული, რადგან პირველსაათიანი პირველზე გადიოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, ქართველებს იქამდე ჯერ ბევრი გვიკლია.

თუნდაც ეს: გასაოცარი იყო რა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცემდნენ ჩემპიონატის ყოველდღიურ ბიულეტენს — 64 გვერდიან ჟურნალს. ამას შესრულება ხომ უნდა?

ბოლოს კი დიპლომატიური ამბები: ჟურნალისტთა გარკვეულ ჯგუფს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტთან, იტალიელ პრიმო ნებიოლოსთან და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან ხუან ანტონიო სამარანჩთან გვქონდა შეხვედრა. დოქტორმა ნებიოლომ პატივი დაგვდო და მასთან ერთად ვისაუზმეთ. ორივე მიღებაზე გაიმართა მოკლე პრეს-კონფერენცია, სადაც ძირითადად აფრიკელი ჟურნალისტები აქტიურობდნენ. მათი მთავარი კითხვა ასეთი გახლდათ: როდის ჩატარდება მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი ან ოლიმპიადა აფრიკის კონტინენტზე? ეს კითხვა ძნელი საპასუხო არაა. აფრიკაში დიდი შეჯიბრებებისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს და თან პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია. ყველაზე მეტი შანსი კი მაინც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, კერძოდ კი კეიპტაუნს აქვს.

და კიდევ, მთავარი საკითხი — მიიღებს ათენი 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას? ხუან ანტონიო სამარანჩის თქმით, მისთვის ყველა კანდიდატი თანაბარია და წინასწარი სიმპათიით არც ერთის მიმართაა განწყობილი. თან იგი სოკ-ში მხოლოდ პრეზიდენტია, გადაწყვეტილებას კი ერთი კაცი როდი იღებს. რაც შეეხება პრიმო ნებიოლოს, ის ათენელთა კრიტიკის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა. მიზეზი მარტივია, ათენის მთავარი კონკურენტი იმ ოლიმპიადის ხელში ჩასაგდებად გახლავთ რომი, ნებიოლოს ქალაქი.

თავად ბერძნებმა რაღა თქვეს? მათ ძლიერ სურთ ოლიმპიადის მასპინძლობა, მაგრამ ფავორიტად მაინც რომი მიაჩნიათ, რადგან რომი დასავლეთ ევროპაა, საერთაშორისო სარბიელზე უფრო გავლენიანი და მდიდარი ქვეყნის დედაქალაქი, რომლიდანაც სოკი მეტ შემოსავალს მიიღებს. ერთმა კი ისიც მითხრა, რომს კათოლიკური ეკლესიაც შეუწყობსო ხელს. ნუთუ ამ საქმეში რელიგიასაც მნიშვნელობა აქვს?

**ილია ბაბუნაშვილი**



**კენიელმა უილსონ ბოიტ კიპკეტერმა, ეთიოპიელმა ჰაილე გაბრესილასიემ და დანიელმა უილსონ კიპკეტერმა ათენში ოქროს მედლები უმსოფლიოსრეკორდოდ მოიპოვეს. ორიოდ დღეში კი ციურიხში, დიდ პრიზზე, სამივემ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. განზრახ მოხდა ეს თუ შემთხვევით, ამაზე ახლა ბევრს ბჭობენ, თავად მორბენლებს კი ეს, ალბათ, ნაკლებად ანაღვლებთ**

# როგორ მოერია ბრეჟნევი ყაზარაშვილს

**ღვთის მადლით, ქართველებს სახელოვანი სპორტსმენები ცოტა როდი გვყავს, მაგრამ ჩვენიანების გამარჯვებებში ლომის წილი მოჭიდავეებმა დაიდეს-მეთქი, რომ ვთქვა, ნურვინ მიწყენს. გივი კარტოზიას სახელობის ახალაღდგენილ ტურნირზე ერთმა ჩემმა მეგობარმა ტრიბუნაზე მსხდომ ყოფილ მოჭიდავეებს რომ გადახედა, სახეგაბრწყინებულმა მითხრა: შეხედე, ტრიბუნაზე რამდენი დიდებული ფალავანია, ქვა რომ გადააგდო, სულ მცირე, ევროპის ჩემპიონს დაეცემა თავზეო. მართალი იყო ეს კაცი — საბედნიეროდ, ფალავანთა ხიმწირეს არ ვუჩივით ქართველები, მეც გამიმართლა და ჩემი გადაგდებული ქვა თემურ ყაზარაშვილს დაეცა — მსოფლიოს ჩემპიონსა და ქართული საჭიდაო სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს.**



ძნელია ფალავნობა — დღენიადაგ ვარჯიში, წონაზე ფიქრი, უძილო ღამეები, მაგრამ ამ წამად ღირს ყველაფერი და თემურ ყაზარაშვილის ხელიც არაერთხელ შემართულა გამარჯვების ნიშნად

## პირველი ნაბიჯები

თემურ ყაზარაშვილს ბავშვობაში არც კი დასიზმრებია, რომ მოჭიდავე გახდებოდა. რუსთავში ერთ ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობდა ასევე ჩვეულებრივი ჭაბუკი. სირბილში, ფეხბურთსა და ხელბურთში ტოლს არავის უდებდა, მაგრამ ჭიდაობაზე მართლაც არ ფიქრობდა. მით უმეტეს, ესოდენ ტანმორჩილ ჭაბუკს, აბა, მაშინ რა დააჯერებდა, რომ იმ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, რომლითაც ლეგენდარულმა გოლიათებმა სანდრო კანდელაკმა და ნესტორ ესებუამ გაითქვეს სახელი. მაგრამ თემურის სხვათათვის შეუმჩნეველი ნიჭი არ გამოპარვია ომარ გუგეშაშვილს — თემურ ყაზარაშვილის პირველ დამკვალიანებელს. შეხედა თუ არა მან ჭაბუკს, ამისგან დიდ ფალავანს გავზრდიო, ჩაუთქვა და შეასრულა კიდეც. დიახ, სწორედ ომარ გუგეშაშვილის თაოსნობით დაიწყო ყაზარაშვილმა ჭიდაობა.

თემურის ხასიათში თავიდანვე ორი საპირისპირო თვისება ებრძოდა ერთმანეთს: უზომო ნიჭიერება და ასევე უსაზღვრო სიზარმაცე. ბოლოს მაინც ახალბედა ფალავნის დიდმა ნიჭმა გადაწონა სიზარმაცე და თემურ ყაზარაშვილის გამარჯვებებსაც დაედო სათავე.

## „ვარლამიჩის" სახლი — ჩემპიონთა ბუდე

ნიჭიერი სპორტსმენი მალე შეამჩნიეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა და ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. წარმატებებმაც არ დააყოვნა — 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მეორე იყო, ერთი წლის შემდეგ კი ჩემპიონი გახდა და იმ წელსვე პირველ ნაკრებში „უკრეს თავი". აქ თემურს, რომ იტყვიან, გაუმართლა. ნაკრების მწვრთნელი ხომ უამრავი სახელოვანი ფალავნის გამზრდელი, უებრო პედაგოგი და უხინჯო პიროვნება „ვარლამიჩი" — ილია ჩხარტიშვილი იყო. „ვარლამიჩი" თუ ახალგაზრდა მოჭიდავეს თვალს დაადგამდა, მოკვდებოდა და დიდ ფალავნად აქცევდა — თვითონაც იწვალებდა, შეგირდსაც აწვალებდა და საწადელს მაინც მიაღწევდა. რას მიქვია ყაზარაშვილის სიზარმაცეო, — იტყოდა ბატონი ილია, დილით ადრე შინ მიადგებოდა ძილისგუდა შეგირდს, ლოგინიდან წამოაგდებდა და სავარჯიშოდ მიჰყავდა. ყველა მოჭიდავე, ვისაც კი სულმნათ ილია ჩხარტიშვილის ხელში გაუვლია, ერთხმად აღიარებს: მამაჩემს არ ჰქონია ჩემზე იმდენი ამაგი, რაც „ვარლამიჩსო". რაიონებიდან ჩამოსული უბინაო ბიჭები თვეობით ცხოვრობდნენ ბატონ ილიას სახლში. რა დასამალია და ერთ-ერთმა ცნობილმა ფალავანმა ცოლიც კი ჩხარტიშვილების ოჯახში მიიყვანა. აბა, ჭიდაობაზე და შეგირდებზე ასე თავგადაკლული კაცი როგორ მოისვენებდა, ისეთი ხალასი ტალანტი, თემურ ყაზარაშვილი რომ იყო, დიდ ჩემპიონად არ ექცია. თუმცა, გვარიანი შრომა დასჭირდათ ბატონ ილიასა და თემურს, საწადელისთვის რომ მიეღწიათ.

## აუხდენელი ოცნება

თემურ ყაზარაშვილს ტიტულები და სხვადასხვა ტურნირებზე მოგებული ჯილდოები არ აკლია, მაგრამ, აბა, რა მტკიცება უნდა იმას, რომ ნებისმიერი დიდი სპორტსმენის ოცნება ოლიმპიური ჩემპიონობაა. ბოლოს და ბოლოს, ოლიმპიური მედალი — თუნდაც ბრინჯაო, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალზე ელვარე და ბრჭყვიალაა.

1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადას კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკოსებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ნახევარი მსოფლიოს ოლიმპიადა, რა თქმა უნდა, არ იყო მაღალი დონისა, მაგრამ ოლიმპიადა, მაინც ოლიმპიადაა, სანახევროც კი. მით უმეტეს, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მაშინ ამინდს სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ქმნიდნენ: საბჭოელი, პოლონელი, აღმოსავლეთგერმანელი, იუგოსლაველი, ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები, მათ ტოლს მხოლოდ ფინელი და იტალიელი ფალავნები არ უდებდნენ. ამ ქვეყნების ლიდერებმა კი სპორტის ზოგიერთ სახეობაში მაინც გაგზავნეს თავიანთი სპორტსმენები მოსკოვს, მათ შორის, ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში. ასე რომ, მიუხედავად ნაკლული ოლიმპიადისა, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ტურნირს ღირსება არ დაუკარგავს.

თემურ ყაზარაშვილი, ამ დროისთვის უკვე სახელმოხვეჭილი ფალავანი, გულმოდგინედ ემზადებოდა მოსკოვის ოლიმპიადისთვის. ამ წელს საკავშირო ჩემპიონატი მოიგო, ივან პოდუბნის მემორიალზე და შვეციის საერთაშორისო ტურნირზეც პირველი იყო. მოკლედ, ოლიმპიურ წელს სადაც იასპარეზა, ყველგან ოქრო მოიგო. ამიტომაც, ნაკრების მწვრთნელები აღარავის უმალავდნენ, რომ ყაზარაშვილი ოლიმპიადაზე იჭიდავებდა. თემურმა ბოლო გამოცდაც ფრიადზე ჩააბარა: მინსკში, ოლიმპიური გუნდის ბოლო შეკრებაზე საკონტროლო შეხვედრებში პირწმინდად დაამარცხა კონკურენტები — კრასნოიარსკელი ალექსანდრე შუმაკოვი და ყაზახი ჟაკსალიკ უშკიმპიროვი. მწვრთნელთა საბჭოს 11 წევრიდან რვამ თემურ ყაზარაშვილს შეაწია ხმა, 3 ხმა შუმაკოვსა და უშკიმპიროვს შორის გაიბნა. თემურს, რომ ეგონა, თავი ქუდში მაქვსო, სწორედ მაშინ გაისმა ზემოურთა ზარი მინსკის მოჭიდავეთა ოლიმპიურ ბაზაზე: ლეონიდ ბრეჟნევის უახლოესი მეგობარი, ყაზახეთის კომპარტიის ცკ-ის 1 მდივანი კუნაევი რეკავდა ილიჩისავე თანხმობით: მანდ ერთი ყაზახი მოჭიდავე იჩაგრება. ის ქართველი ამოაგდეთ გუნდიდან და ყაზახი წაიყვანეთო. „ერთი ყაზახი" — უშკიმპიროვი წაიყვანეს ოლიმპიადაზე, „ვიღაც ქართველს" კი — თემურ ყაზარაშვილს მინსკი — თბილისის თვითმფრინავის ბილეთი უბოძეს და სამშობლოში გამოამგზავრეს. თავი და თავი კი ის იყო, რომ ყაზახებს მოსკოვის ოლიმპიადამდე არ ჰყავდათ ნაღდი, წვრილთვალება ოლიმპიური ჩემპიონი, პირველ მერცხლად კი უშკიმპიროვი ირჩია კუნაევმა და ამიტომ თავისი დიდი ძმაც — ლეონიდ ბრეჟნევიც შეაწუხა. ოცნება ოცნებად დაურჩა თემურ ყაზარაშვილს. საბჭოური სპორტის უკუღმართობამ ოლიმპიადის გარეშე დატოვა. სამწუხაროდ, არც მომდევნო ოლიმპიადაზე ეწერა წასვლა — ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებზე სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა აკი „რევანში აიღეს" და ძია სემსა და მის მეგობრებს თავი დაამდლეს — ამერიკაში თითოოროლა „სოციალისტი სპორტსმენი" თუ ჩავიდა. სამწუხაროდ, მათ შორის არცერთი საბჭოელი არ იყო. რა თქმა უნდა, თემურ ყაზარაშვილიც ლოს ანჯელესისკენ არც კი გაახედეს.

## ის, რის გამოც ეს წერილი დაიწერა

თემურ ყაზარაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია. ამ სიტყვებს არანაირი კომენტარი არ სჭირდება — გამგები კი არა, ყველაზე მეტად გაუგებარიც მიხვდება, რომ თემურ ყაზარაშვილი ოდესღაც თავის წონაში პლანეტის უძლიერესი ფალავანი იყო. ეს „ოდესღაც" კი 1982 წელი იყო. მაშინ პოლონეთში კატოვიცეში უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს, მანამდე, ამავე წლის ევროპის ჩემპიონატზე თემურ ყაზარაშვილი არ წაიყვანეს — საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა თემურს რუსი ვასილ ანიკინი არჩიეს. სამსოფლიოსჩემპიონატოდაც სპორტის ჩინოვნიკებს ანიკინი ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ ბოლო საკონტროლო შეხვედრისას თემურმა, რომ იტყვიან, ხალიჩაზე ჩვარივით ათრია რუსი ვასია, ანიკინს კი ბრეჟნევის და კუნაევის დარი ქომაგები არ გამოუჩნდა და კატოვიცეშიც თემური გაემგზავრა. ჩავიდა იგი კატოვიცეს და ბლევრი ადინა დამხვდურ ფალავნებს — ბულგარელ ბრატან ცენოვს საკმაოდ დამაჯერებლად სძლია, შემდეგ პოლონელი მაიკოვსკი ჩამოიცილა გზიდან, მას იტალიელი ვინჩენცო მაენცო მიაყოლა, ფინალამდე კიდევ ორიოდ უცხოელი მოჭიდავეც „შემოეხარჯა". ფინალში მსოფლიოს ჩემპიონატებზე მუდამ ხელმოცარული თურქი სალემ ბორა შეხვდა. ბორამ კატოვიცემდე 3-ჯერ იჭიდავა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, უმედლოდ არც ერთხელ არ დარჩენილა, მაგრამ ოქროს მედალი არ აღირსა ღმერთმა. ამიტომაც პოლონეთში თავისი სპორტული კარიერის გვირგვინი დაიგულა ბორამ — ჩემპიონობა ჩაუთქვა. ვინ დააცადა. თემურ ყაზარაშვილმა თავის გამოჩენის შანსი არ გაუშვა ხელიდან — თურქ მეტოქეს მედგარი ბრძოლა გაუმართა და ვისაც ქართველ მოჭიდავეთა წარმატებები არ ავიწყდება, უთუოდ ემახსოვრება — 1982 წლის ოქტომბერში, კატოვიცეში, თემურ ყაზარაშვილს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლის გარდა ფილას თავკაცებმა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზიც გადასცეს.

## თემური და მისი რაზმი

თემურ ყაზარაშვილი, რაკი ჭიდაობის მულამი გაიგო, ჭაბუკობიდან დღემდე მისი ერთგულია და ერთი დღე არ უცხოვრია ჭიდაობის გარეშე. 1985 წელს, 25 წლისამ ჭიდაობას თავი დაანება. არადა, მაშინაც და ახლაც ბევრი ამბობს — თემურს კიდევ რომ ეჭიდავა, ისეთი ნიჭიერი იყო, თავის კოლექციას უთუოდ გაამდიდრებდა სხვადასხვა ტურნირის მედლებითო. ერთი პირობა კიდეც დაუბრუნდა სარბიელს — 1988 წელს საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, რომან რურუამ სთხოვა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მივდივართ და იქნებ შეგვეხიდო და იჭიდავოო. უარი ვერ უთხრა უფროს მეგობარსა და დიდ ფალავანს თემურმა და ვარჯიშიც დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, უბრალო მიზეზის გამო ვერ შეასრულა სპორტსმენის გედის სიმღერა — თემურ ყაზარაშვილი სარატოვში არ წაიყვანეს. იქ კი ჩვენმა გუნდმა მეტად ცუდად იასპარეზა და მხოლოდ თემურ აფხაზავამ შეძლო ბრინჯაოს მედლის მოპოვება. რომან რურუა ნაკრებს ჩამოაცილეს. იმას, ვინც მაშინ ამგვარ ამბებს წყვეტდა, ბევრი აღარ უფიქრია და ნაკრებს უსაქმოდ დარჩენილი თემურ ყაზარაშვილი ჩაუყენა სათავეში.

თემურის ხელმძღვანელობით გუნდმა მეორე წელსვე გაუმჯობესა შედეგი — თენგიზ თედორაძემ და გურამ გედეხაურმა საკავშირო ვერცხლი მოიგეს, ზაურ ივანიშვილმა — ბრინჯაო და გუნდურ ჩათვლაში 8 საფეხურით აინაცვლა საქართველოს ნაკრებმა. შემდეგ თემურის რაზმის წევრებმა — თედორაძემ და გედეხაურმა პოდუბნის მემორიალი მოიგეს. ჩვენი „კლასიკოსები" საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფავორიტებადაც ითვლებოდნენ, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ უმტრო ჩვენს ბიჭებს და ნაკრების თავკაცებს. 3 კაცს, ვისაც მედლები უნდა მოეგო, საბუთების გაყალბება დააბრალეს და არცერთი ფავორიტი არ გაუშვეს სპარტაკიადაზე. შესუსტებულ გუნდში კი მარტო ვასილ ქარსელაძემ ივარგა და მძიმე წონაში მესამე იყო, ისიც ალექსანდრე კარელინთან დამარცხდა.

წელიწადნახევარს უთავკაცა ნაკრებს თემურ ყაზარაშვილმა და მისი მონაგარიც უკვე მოგახსენეთ. მოჭიდავეთა დიდი გამარჯვებებით განებივრებულ ჩვენებურ მწვრთნელთაგან ბევრს, დამეთანხმებით, ოცნებად დაურჩა ყაზარაშვილის წელიწადნახევრიანი მონაპოვარი.

## ოჯახი

თემურ ყაზარაშვილი 1979 წლის იანვარში დაოჯახდა — მეუღლე ლია სივსივაძე პროფესიით ტექნოლოგია, შესანიშნავი მეოჯახე და დედა. ვისაც სპორტისა რამე გაეგება, ნანა ყაზარაშვილის სახელი უთუოდ უნდა იცოდეს — ნანა, თემურის უფროსი ქალიშვილი, დღეს-დღეობით საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო წყალში მხტომელია, ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე. მართალია, ნანამ ატლანტაში წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ 17 წლის ნიჭიერ სპორტსმენს, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მომავალი წინა აქვს და დიდი გამარჯვებები ელის.

თემურის მეორე ქალიშვილმა ანამ ცეკვა ირჩია — ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობს, ანსამბლ „დილას" სოლისტია და ნიჭიერებით თავის საქმეში არ ჩამოუვარდება უფროს დას. აი, ყაზარაშვილების პატარა ვაჟკაცი თორნიკე კი წელს მიდის სკოლაში. ჭიდაობა? კი, ბატონო, თემურ ყაზარაშვილის შვილმა კი უნდა იჭიდაოს ხეირიანად. ბოლოს და ბოლოს, მამის ნიჭი ოდნავ მაინც თუ გამოჰყვა, ესეც საქმეა, თავს ისახელებს, მაგრამ ჩვენში დარჩეს და, მოჭიდავის დიდ ტალანტს ჯერ ვერ ვამჩნევო, — სიცილით მითხრა თემურმა. ღმერთმა ქნას, ჭიდაობის უცდომელი პროგნოზისტი ამჯერად ცდებოდეს.



ანა, თორნიკე და ნანა ყაზარაშვილები

## ბოლოთქმა — ჩვეულებრივი თემური

იქნებ თემურ ყაზარაშვილი ლეგენდარული ფალავანი არ იყო, მაგრამ მაინც გამორჩეული და ლამაზად მოჭიდავე სპორტსმენი გახლდათ. ჭიდაობის ქომაგები, როცა თემური შეხვედრას აგებდა, იტყოდნენ ხოლმე: ღმერთმა ქნას, მოიგოს, მაგრამ ვინდა წააგოს, მის საცქერლად მაინც ღირდა მოსვლაო. როგორც სპორტსმენი, ასეთად დაამახსოვრდათ იგი გულშემატკივრებს, მაგრამ არის კიდევ მეორე თემური — რუჯაძისა და მეგობრების მოსიყვარულე, [illegible] ბევრი [illegible] ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი სულ გაწამაწიაშია, მუდამ სადღაც ეჩქარება. ყოფილმა სპორტსმენმა სხვაზე უკეთ იცის, რა და როგორ სჭირდებათ ჩვენს ახლანდელ ფალავნებს და გაჭირვების კვალობაზე ცდილობს, მაქსიმუმი გამოგლიჯოს მავანთ ხელიდან, რათა ბიჭებს სპორტული ცხოვრება გაუიოლოს და ქვეყნის სასიკეთო საქმე უანგაროდ აკეთონ. ამ წერილის დასაწერად თემურ ყაზარაშვილის ერთკვირიანი დევნა დამჭირდა და ძლივს მოვიხელთე ფალავანთა კლუბში. ნაჩქარევად ვისაუბრეთ და მალე გამექცა — კვლავ ფედერაციისა და ნაკრების საქმის საკეთებლად.

ვიდრე ამ წერილს დავასრულებდე, ერთ სასაცილო ამბავს გიამბობთ, რომლის გამოქვეყნების უფლებაც თემურს ხანგრძლივი თხოვნის შემდეგ ძლივს დავტყუე. არ გინდა, არ მოყვე, ხალხი სხვანაირად გაიგებს, იტყვიან, თემურ ყაზარაშვილი ხულიგანიაო — ღიმილით უარობდა თავიდან თემური. რაკი შევძელი და დავითანხმე, აბა, რა მომასვენებს, რომ არ მოგითხროთ — ამბავი, რომელიც დღემდე არსად დაბეჭდილა.

თემურ ყაზარაშვილი საბურთალოზე მანქანით მიდიოდა. სასტუმრო „აჭარასთან" ავტოინსპექტორებმა გააჩერეს, წესი დაარღვიეო. თემური თავს იმართლებდა, ინსპექტორები კი მძღოლს ამტყუნებდნენ. ზოგიერთ ავტოინსპექტორს, მოგეხსენებათ, ზრდილობა არ მოეკითხება და ამ კამათში თემურს შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ ოთხეულიდან ყველაზე დაბალ ინსპექტორს მხრამდე სწვდებოდა ტანმორჩილი თემური. ამათ თვალში ხომ არ ვეპატარავებიო, იფიქრა ყაზარაშვილმა და ინსპექტორებს დაერია — ოთხივე მიბეგვა. ინსპექტორებმა მილიციაში იჩივლეს, ვიღაც ხულიგანმა უმიზეზოდ გვცემაო. დაიბარა თემური საბურთალოს მილიციის უფროსმა თემურ ჯიბლაძემ. ოთხი გალახული ახმახი მილიციის უფროსის კაბინეტთან ატუზულიყო. დაზარალებულნი და ეჭვმიტანილი შემოვიდნენო — ხუთივე გამოიძახა მილიციის უფროსმა. ჯერ დაზარალებულები შევიდნენ, მათ თემური მიჰყვა და კაბინეტის კუთხეში აიტუზა. შენ რაღა გინდაო, ჰკითხა ჯიბლაძემ თემურს. მე ვარ დამნაშავეო — უპასუხა თემურმა. ჯიბლაძემ წარბები შეყარა — შენი დასაცილი ვარო, შეუტია და კარისკენ ანიშნა — გადიო, თან დაზარალებულებს მიუბრუნდა — სად არის თქვენი გამლახველიო. სწორედ ამან გვცემა, ბატონო თემურო, — უპასუხეს ავტოინსპექტორებმა. მილიციის უფროსი მთლად გაცეცხლდა, ოთხივეს ახლავე სამსახურიდან გაგყრით ამ უაზრო ხუმრობისთვის, მითხარით, ვინ გცემათო. კვარტეტს ენა ჩაუვარდა, მაგრამ ბოლოს ძალ-ღონე მოიკრიბა ოთხეულმა და დაარწმუნა თემურ ჯიბლაძე რომ მათი გამლახველი თემურ ყაზარაშვილი იყო. თავჩაღუნული თემური მილიციის უფროსის რისხვას და სასჯელს ელოდა, მაგრამ თემურ ჯიბლაძეს ისეთი ხარხარი აუტყდა, ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყო. ამას როგორ აცემინეთ თავი, ან სირცხვილით როგორ უჩივითო, შეუტია და ოთხივე ავტოინსპექტორი პანტა-პუნტით გამოყარა კაბინეტიდან, „ავტოინსპექტორთა რისხვა" კი შინ გამოუშვა, თანაც კმაყოფილი დარჩენილა, ჩემი საყვარელი სპორტსმენი გავიცანიო. შემდგომში ინსპექტორებს თავი უმართლებიათ — მსოფლიოს ჩემპიონი მოგვრევიაო.

დიახ, ხალასი და ნათელი კაცია თემურ ყაზარაშვილი. დღემდე ისე უცხოვრია, მტერ-მოყვარე არ არევია ერთმანეთში და ყველასთვის თავისი მიუზღავს. არც დიდ სახელსა და გამარჯვებებს გაუყოყოჩებია, ავიც ბევრი უნახავს და კარგიც, მაგრამ ერთი არ დაუწუწუნია, დღემდე უდრტვინველად მოიტანა თავისი წილი ცხოვრების ტვირთი.

დღეის იქითაც ასე აპირებს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**ლევან ჯავახიშვილი**

## წყალთხილამურები

საბჭოთა კავშირის დროს პატარა რესპუბლიკები არ იყვნენ განებივრებულნი საერთაშორისო ტურნირებისა და დიდრონი ჩემპიონატების მასპინძლობით. რუსები ამ უფლებას ძნქლად თუ ვინმეს დაუთმობდნენ, ამიტომაც, გმირობის ტოლფასი იყო საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის პრეზიდენტის რომან მელიას საქციელი, როცა 1991 წელს ფოთში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა წყალსათხილამურო სპორტში, არადა, რუსებს საამჩემპიონატოდ მოსკოვი, კრილატსკოეს საწყლოსნო კომპლექსი ჰქონდათ შეგულებული. მაგრამ რომან მელიამ რკინის ქალამნები მოირგო და ქართველ თუ რუს სპორტის ჩინოვნიკებს კაბინეტისა თუ ბინის კარები აუტალახა, ფოთში მსოფლიოს სტანდარტების საკადრისი ბაზა ააშენებინა და ევროპის 20 ქვეყანაც იწვია საჩემპიონატოდ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წყალმოთხილამურეთა ფოთის ჩემპიონატს დავიწყება იმიტომაც არ ეკების, რომ ამ დონის სპორტული ღონისძიება ჯერ არ გამართულა საქართველოში, ხოლო ფოთის საწყლოსნო კომპლექსი ბოლო და უკანასკნელი მონაგარია, რომელიც საქართველომ საბჭოთა ხელისუფლებას დასტყუა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ამ ბაზაზე დაფრთიანებული გოგო-ბიჭები მივივიწყეთ, რადგან სპორტისთვის და, მით უმეტეს, წყლის თხილამურებისთვის ჩვენში აღარავის ეცალა, მაგრამ ახლახან 1991 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილემ გენადი გურალიამ თავისი წარმატებებით შეგვახსენა, რომ სპორტის ეს სახეობა კვლავაც ცოცხლობს და მას მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ფოთში გენადის პოვნა იოლი საქმეა. თუ შინ არ დაგიხვდათ, უთუოდ მალთაყვაში იქნება „ოქროს ტბაზე“ და იქ ვარჯიშობს. მეც ამ მარშრუტის გავლამ მომიწია და მზემოკიდებული და გაოფლილი გენადი სასაუბროდ მოვიხელთე.

# გენადი გურალია ოქროს ბენზინზე გვიცვლის

**— გენადი, ახლახანს მოსკოვის ღია ჩემპიონატი მოიგე და თავი შეგვახსენე. მანამდე რას საქმიანობდი?**

— ერთხანს, როცა საქართველოში არეულობა იყო, ვარჯიშს თავი დავანებე, შემდეგ კვლავ განვაახლე. ერთი წელი კი საბერძნეთში ვიყავი, იქაურ ჭაბუკთა გუნდს ვწვრთნიდი.

**— ბოლო ხანს საქართველო არაერთმა სპორტსმენმა დატოვა, გაჭირვებასა და უფულობას გაექცა. შენთვის არ შემოუთავაზებიათ უცხოელებს თავიანთი ქვეყნის მოქალაქეობა, მით უმეტეს, საბერძნეთი როგორც მწვრთნელს დაგიჰამნაკებია?**

— საბერძნეთში 1000 დოლარს მიხდიდნენ, კვება და ბინაც უფასო მქონდა, არაფერი მიჭირდა, მშვენივრად ვიყავი, მაგრამ უცხო ქვეყანაში დიდხანს ვერ გავძელი. კი, მთავაზობენ სხვადასხვა ვარიანტებს, მაგრამ რასაც უნდა დამპირდნენ უცხოელები, საქართველოდან არსად...

**— მოდი, მოსკოვის ტურნირს დავუბრუნდეთ, ვიცი, რომ მსოფლიოს უძლიერეს წყალმოთხილამურეებს აჯობე. სიმართლე გითხრა, ბევრი არ მოელოდა შენს ასეთ წარმატებას.**

— მოსკოვამდე მინსკში ესენგეს ჩემპიონატი მოვიგე, რატომღაც ამ ამბავზე არც არაფერი დაწერილა და არაფერი თქმულა. ეს ივნისში იყო. მოსკოვის ღია ჩემპიონატზე 52 მეტრზე გადავხტი, ეს არ არის ჩემი საუკეთესო შედეგი, მაგრამ საჩემპიონოდ საკმარისი აღმოჩნდა. მოსკოვში ავსტრიელ დანიელ დობრინგერს და მის თანამემამულე ფრანც ობერლაიტნერს მოვუგე, ამათ II-III ადგილები დაიკავეს. არადა, დობრინგერმა და ობერლაიტნერმა ახლახან საბერძნეთის ევროპის ჩემპიონატზე მაჯობეს და იქ ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიგეს.

**— რომან მელიამ მითხრა, გენადის ევროპის ჩემპიონატისთვის მეტი ხელშეწყობა რომ ჰქონოდა, საბერძნეთიდან უმედლოდ არ დაბრუნდებოდაო.**

— კი, მართალი უთქვამს ბატონ რომანს. საბერძნეთში წასვლამდე ყველა პრობლემა მე მოვაგვარე — ვიზა, თვითმფრინავის ბილეთები, უამრავი სირბილი დამჭირდა, გამგზავრებამდე ბოლო ორი ღამე არ მძინებია. საბერძნეთშიც გვიან ჩავედი, ხეირიანად ვერ მოვემზადე, შეჯიბრებაზეც სტარტამდე ნახევარი საათით ადრე მივედი, არადა, ნამდვილად მქონდა მედლის მოპოვების შანსი.

**— მოსკოვში რომელ სახეობაში გაიმარჯვე?**

— ტრამპლინზე ხტომაში გავხდი ჩემპიონი, სლალომში მესამე ვიყავი, ამ შედეგებმა მრავალჭიდში გამარჯვების საშუალება მომცა და აბსოლუტური ჩემპიონობაც მერგო.

**— გენადი, მახსოვს ფოთის ევროპის ჩემპიონატზე ავსტრიელი ბრიტა გრებე, ინგლისელი ჯონ ბატლდეი, ფრანგი ლეფორ სეტიე, იტალიელი ანდრეა ალესი ასპარეზობდნენ. მაშინ ისინი ჩემპიონებიც გახდნენ. ბოლო ხანს თუ შეხვედრიხარ მათ?**

— ვინც ჩამოთვალე ყველა ვარჯიშობს და სხვადასხვა ტურნირებზე კიდეც შევხვედრივარ, აი, ანდრეა ალესს ვიცი, ტრავმა აქვს და მკურნალობს, ბრიტა გრებე კი გათხოვდა ამერიკაში, ბავშვი შეეძინა ახლახან და დროებით სპორტს შეეშვა.

**— ამათ გარდა ვინ ითვლება საუკეთესო წყალმოთხილამურედ?**

— ამერიკელი ბრუს ნევილია მსოფლიოს რეკორდსმენი — 67,3 მეტრზე გადახტა ტრამპლინიდან. ფრანგი პატრიკ მარტინიც ძლიერი სპორტსმენია, „ოქროს ფრანგს“ უწოდებენ ქომაგები. 13 წლის იყო 1978 წელს და ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

**— დღეს საქართველოში მეტნაკლებად ყველა სპორტსმენს უჭირს. ვიცი, არც წყალმოთხილამურეებს გილხინთ, კერძოდ, რა გაკლიათ, რას უჩივით?**

— ჩვენი ყველაზე დიდი გასაჭირი უბენზინობაა, ბენზინის უქონლობა საშუალებას არ მაძლევს, რომ ინტენსიურად ვივარჯიშო, არადა, მალთაყვის ბაზაზე წელიწადში 9-10 თვე შეიძლება ვარჯიში. ბუნებრივი პირობები იდეალურია ფოთში, მაგრამ უსახსრობა ძალიან გვაბრკოლებს. ჩვენი ბაზა თვით ფლორიდის ცნობილ კომპლექსზე უკეთესიც კია. ცოტა ფული თუ გამოჩნდა და ვარჯიშში ხელი არ შემეშალა, დარწმუნებული ვარ, პოტენციით მსოფლიოს უძლიერეს წყალმოთხილამურეებს არ ჩამოვუვარდები და კიდეც დავამტკიცებ ამას, როცა საშუალება მექნება.

**— ხელფასი გაქვს?**

— კი, 60 ლარი დამინიშნა სპორტის დეპარტამენტმა, მაგრამ, მითხარი, რა არის 60 ლარი — რომელი მკვდარი დავმარხო 60 ლარად. მშობლებიც მომიხუცდნენ — მამა 78 წლისაა, დედა 68-ის, წარმოიდგინე, ეს ხალხი მარჩენს მეც და ჩემს ცოლშვილსაც.

**— შვილი რამდენი გყავს?**

— ერთი ბიჭი მყავს — 2 წლის ლევანი. ცოცხალი ბავშვია, აუცილებლად სპორტსმენად გავზრდი. ვნახოთ, თუ საქართველოში წყალთხილამურებს პატრონი გამოუჩნდა, შეიძლება ჩემს კვალზეც დავაყენო.

**— ხათუნა კორკელია და ვასილი ბუდუროვი რას საქმიანობენ. მახსოვს, ფოთის ევროპის ჩემპიონატზე შენთან ერთად ამ ორის იმედი ჰქონდათ ქართველ ქომაგებს.**

— ბუდუროვი რუსეთშია, სპორტს თავი დაანება, აღარ ვარჯიშობს, კაი ხანია, არ მინახავს. აღარც ხათუნა ვარჯიშობს, „ძველი გვარდიიდან“ მელა შემორჩი წყალთხილამურებს.

**— მაშინდელი ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს ნაკრები ბელარუსმა ვიქტორ მელნიკმა მოამზადა. ახლა სად არის ეს კაცი?**

— მელნიკიც გაექცა გაჭირვებას და ახლა სამშობლოშია. ამ კაცმა დიდი ამაგი დასდო ქართულ სპორტს. ახლაც სიამოვნებით ჩამოვა, თუ მოვიწვევთ, მაგრამ ხელფასის გადამხდელი არავინაა.

**— ახლა ვინ გავარჯიშებს?**

— ჩემი პირადი მწვრთნელი და კატარღის პილოტი რომან ჩაჩიბაიაა. ამ კაცმა გამზარდა, უებრო პროფესიონალია.

**— ფოთის მერიის თავკაცები არ გპირდებიან არაფერს?**

— ქალაქის ახალი მერი ვანო ზოდელავა შემპირდა დახმარებას. ახლა ინგლისში ვაპირებდი წასვლას ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ საინგლისოდ ვერ შეძლეს ჩემი დაფინანსება, შემოდგომით შეიძლება „კოპა იტალიაზე“ წავიდე. ტრადიციული და მეტად პრესტიჟული ტურნირია. ვნახოთ, თუ სიტყვა სიტყვად არ დარჩა...

**— მაინც რა არის საჭირო, რომ მსოფლიოს მოწინავე წყალმოთხილავმურეებს ტოლი არ დაუდო? ამ თემაზე საკმაოდ კი ვისაუბრეთ, მაგრამ, მოდი, დავაკონკრეტოთ.**

— მე რასაც გეტყვი, ეს რომან ჩაჩიბაიას ნააზრევიც არის, ამიტომ უფრო დამაჯერებელია. ერთი წელიწადი ნორმალური პირობები რომ მქონდეს სავარჯიშოდ და 4-5 ტურნირში ვიასპარეზო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიოანატების მედლებს ნამდვილად მოვიგებ. არც ჩემპიონობა და ოქროს მედლები იქნება მიუწვდომელი. ვგრძნობ, პოტენციით არავის ჩამოვრჩები.

**— უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, თუ ბენზინი გექნება, შეგიძლია ოქროდ აქციო.**

— კი, დაახლოებით ასეა.

**— თქვენთვის კომერციული ტურნირები არ ეწყობა?**

— კი ეწყობა, მაგრამ იქ მოხვედრასაც ხომ ფული უნდა. 1993 წელს შვეციაში 1000 დოლარი მოვიგე, მაგრამ 700 დოლარით ბენზინი ვიყიდე კატარღისთვის, რათა მევარჯიშა. რა ვქნა, წყალთხილამურებს ასეთი მულამი აქვს — თუ ერთხელ შედექი, ველარ ჩამოხვალ.

**ლევან ჯავახიშვილი**

**ფოთიდან**

## ოლიმპიადა 2004

# ყველა თავისთვის ჩალიჩობს

5 სექტემბერს, შვეიცარიაში 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი დასახელდება. კანდიდატი ხუთია: რომი, ათენი, სტოკჰოლმი, ბუენოს აირესი, კეიფტაუნი. შვედეთის დედაქალაქში მომხდარ აფეთქებაზე და მისი ოლიმპიადის მასპინძლად დასახელების შემცირებულ შანსებზეც უკვე გიამბეთ. ახლა სხვა კანდიდატებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

ამ დღეებში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის იტალიელმა პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ ტელევიზიით ისაუბრა მძლეოსნობის მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონატზე და თავისი შეფასებით ბერძენთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია — მისმა გამოსვლამ ათენის ოლიმპიადის მასპინძლად არჩევის საკითხი უკვე ეჭვის ქვეშ დააყენა: „თუ სიმართლე გნებავთ, გეტყვით ათენს და საერთოდ საბერძნეთს არათუ ოლიმპიადის, სპორტის ამა თუ იმ სახეობაშიც არ ძალუძთ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა. ამაში ახლახან დასრულებულმა ტურნირმა დამარწმუნა, რომ არა ჩვენი ორგანიზაცია (IAAF), ათენში მსოფლიოს ჩემპიონატს კრახი არ ასცდებოდა. მასპინძლებთან ძალიან ბევრ საკითხზე მოგვივიდა უთანხმოება, რადგან დანაპირებს ხან ვერ, ხანაც არ ასრულებდნენ.“ ცხადია, ამ ცნობილი ადამიანის აზრი დიდ გავლენას მოახდენს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტზე. საუბრის მიწურულს ნებიოლომ ისიც განაცხადა, ათენში მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება იმიტომ გადავწყვიტეთ, 1996 წლის ოლიმპიადის მასპინძლად რომ არ დაასახელეს.

სანამ ნებიოლო ათენს [illegible] ფარულად რომის წარმოჩენისთვის იღვწოდა, მანამდე სამხრეთ აფრიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი ნელსონ მანდელა ჩვეულებისამებრ წარდგა ხალხის წინაშე. მან კეიფტაუნის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქად დასახელებას სავარაუდოდ დაუჭირა მხარი და შეკრებილთ განუცხადა „ბევრი რომ გაიძახის, მსოფლიოს დონის ტურნირების მასპინძლობის უნარი არ შეგწევთო, ნეტავ, ჩვენს ბრწყინვალედ ორგანიზებულ ასპარეზობებზე — რაგბის მსოფლიოს თასზე ან ფეხბურთში აფრიკის თასზე, რას იტყოდნენ. რამდენიმე წლის წინ ჩვენი არავის სჯეროდა. ყველა ფიქრობდა, რომ უუნაროები ვიყავით, მაგრამ რამდენ შეჯიბრსაც ვუმასპინძლეთ, საბოლოოდ ჩვენზე, როგორც მასპინძელსა და ორგანიზატორზე, ცუდი არავის დასცდენია და ახლა რატომ უნდა ჩაეყაროს კეიფტაუნს წყალში. მართალია, ოლიმპიადა გაცილებით დიდი ტურნირია, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რათა კეიფტაუნმა 2004 წლის ოლიმპიადას რომ უმასპინძლოს.“

შესაძლო მასპინძელი ქალაქების უცნობილესი ქომაგებს სახალხო გამოსვლები გრძელდება, მაგრამ მათი ოფლის ღვრა დიდ გავლენას ნამდვილად ვერ მოახდენს ხუან ანტონიო სამარანჩზე, ვინც 5 სექტემბერს გახსნის კონვერტს და იტყვის: „2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელია...“

**ზურაბ ძალატოზიშვილი**

## ჰოკეი

# კოლორადომ საკიკი დაიტოვა და სტენლის თასს ჩემულობს

ნჰლ-ს მორიგი სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მოთამაშეთა გადაბირების ციებ-ცხელება იმდენად საინტერესოა, რომ ამ „თამაშის“ მოყვარულნი გვერდს ვერ აუვლიან.

ამ დღეებში, უფრო ზუსტად კი ოთხშაბათს, დიდი გარიგება ჩაიშალა. „ნიუ-იორკ რეინჯერსი“, წელს მარკ მესიე რომ დაკარგა, მის შემცვლელს ეძებს. ამერიკის უდიდესი ქალაქის ჰოკეისტთა გუნდის თავკაცობამ სტენლის თასის გასული წლის მფლობელს „კოლორადო ეველანშს“ 21 მილიონი შეაძლია და თან დრაფტის წრეში კუთვნილი ხუთი კაცის



**„კოლორადო ეველანშში“ საკიკს ვერ ელევიან: ხელფასი თითქმის ექვსჯერ გაუზარდეს**

არჩევის უფლებას აძლევდა ჯონ საკიკის სანაცვლოდ. კოლორადოელებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, 28 წლის საკიკის გასხვისება არასწორ ნაბიჯად ჩათვალეს და 1996 წლის ფლეი-ოფის საუკეთესო მოთამაშის სანაცვლოდ შეძლეული ფული და დრაფტი იუარეს, რითაც ნიუ იორკელთა იმედებს ცივი წყალი გადაასხეს. გუნდის თავკაცობა დაფიქრდა, საკიკში ამდენს რომ გვაძლევენ, ხვალ სხვა უფრო მეტს შემოგვთავაზებს, ვინძლო, ჯონი არ გადაიბირონო და უმალვე გასამრჯელო შარშანდელი სამი მილიონი დოლარიდან ერთბაშად 17 მილიონამდე გაუზარდეს, რითაც კლუბის ბოლო წლების საუკეთესო მოთამაშის გული ერთობ მოიგეს. „ეველანში“ შესანიშნავი გუნდია. ბიჭები ისე ვუგებთ ერთმანეთს, როგორც არასდროს. გუნდში მეგობრული ატმოსფეროა, რაც უშუალო ურთიერთობაში ხელს გვიწყობს. ახალი სეზონი ჩვენთვის გარდამტეხი უნდა გახდეს. წინ დიდი მიზნები გვაქვს. იმედია, დაკარგულ სტენლის თასს დავიბრუნებთ“ — განაცხადა საკიკმა მისი გუნდში დარჩენასთან დაკავშირებით მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე იქვე „კოლორადო ეველანშის“ დირექტორთა საბჭოს წევრმა ჩარლზ ლიონსმა განაცხადა, მომავალ შვიდ სეზონში კლუბის თამაშების ტრანსლირების უფლება „ფოქს სპორტს“ მივყიდეთ, რაშიც 100 მილიონი დოლარი ავიღეთ. 1999-2000 წლების სეზონიდან კი სასმელების მწარმოებელი ფირმა „პეპსი ენტერპრაიზესი“ ჩვენს და საკალათბურთო „დენვერ ნაგითსში“ ერთბაშად 160 მილიონი დოლარის დაბანდებას აპირებსო. მოთამაშის და გუნდის ერთ-ერთი მფლობელის შემდეგ საუბარში კლუბის მწვრთნელი მარკ კროუფორდიც ჩაერთო: „მომავალი სეზონი ბევრი სიახლის მომტანი იქნება. ბიჭების შესაძლებლობებში ღრმად ვარ დარწმუნებული. დღეს გუნდი ისეა გაერთიანებული, როგორც არასდროს და, ვგონებ, შარშან დაკარგული სტენლის თასის დაბრუნება არ უნდა გაგვიჭირდეს. ყველას სწამს ჩვენი გამარჯვების. ვფიქრობ, მიზნის მიღწევაში ჯონის კლუბში დარჩენაც შეგვიწყობს ხელს. იგი ხომ შესანიშნავი ჰოკეისტია. მით უმეტეს, კლუბში არანაკლებ ძლიერი ფორვარდი პეტერ ფორსბერგიც გვყავს. ასე რომ, ჩვენი თავდასხმის ხაზი უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. თავის ქება რომ არ გამომივიდეს, მოკლედ ვიტყვი: ამ სეზონში კონფერენციაში გამარჯვებაზე არას ვამბობ, ჩვენ სტენლის თასი უნდა დავიბრუნოთ“.

ამდენს რომ ვსაუბრობთ საკიკზე, ბარემ მისი უძლიერესად მოხსენიების მიზეზებიც გავიხსენოთ: — ჯონ საკიკი 1987 წლის დრაფტში მე-15 ნომრად აიყვანეს და მას შემდეგ ნჰლ-ში 655 მატჩში 820 ქულა დააგროვა (307 გოლი, 513 პასი). ოთხ სეზონში 40 და მეტი გოლი გაჰქონდა. შვიდჯერ ითამაშა ყველა ვარსკვლავის მატჩში. 1992 წლიდან „კოლორადოს“ კაპიტანია, 1996 წელს სტენლის თასიც მოიგო. სწორედ ამ სეზონში მიაღწია ჯონმა უმაღლეს შედეგიანობას — 51 გოლი, 69 პასი, ჯამში 120 ქულა. აი, ამ მიღწევების მქონე ჰოკეისტის გადაბირებას ცდილობდა „კოლორადო ეველანშზე“ გაცილებით ძლიერი და მეტი შესაძლებლობების „ნიუ იორკ რეინჯერსი“, მაგრამ მათსავე მწვრთნელს, ნილ სმიტს რომ დავესესხოთ, სადაც თავს ზემოთ ძალა არაა, იქ ფულიც კი ვერას გახდება.

**ძახა არჯევანიძე**

## ჭადრაკი

# ტალინში მედლების შანსია, ჩაკოში — აღარ

ტალინში, სხვადასხვა ასაკის — 10-დან 18 წლამდე მოჭადრაკეთა ევროპის პირველობებზე 6 ტურის შემდეგ ლიდერებში ბევრი ჩვენი მოჭადრაკეა.

10 წლამდე გოგონებში ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემ ექვსივე შეხვედრა მოიგო და, ბუნებრივია, ლიდერია.

18 წლამდე გოგონებში 5,5 ქულით ლიდერობს თბილისელი ლილე ცალუღელაშვილი, ამავე ასაკის ჭაბუკებში კი ამდენივე ქულით ასევე თბილისელი მიხეილ მჭედლიშვილია წინ.

ამ ტურამდე 14 წლამდე გოგონებში ლიდერობდა თელაველი ლელა ჯავახიშვილი, მაგრამ მეექვსე ტურში დამარცხდა და ახლა 4,5 ქულა აქვს.

ამდენივე ქულა აქვთ 10 წლამდე ბიჭებში დათო ბარამიძეს (თბილისი), 12 წლამდე ბიჭებში კონსტანტინე შანავას (წალენჯიხა) და მერაბ გაგუნაშვილს (თბილისი). სამივე ლიდერთა ჯგუფშია.

არგენტინის ქალაქ ჩაკოში დასრულდა 26 წლამდე მოჭადრაკეთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები გიორგი ყაჭეიშვილის, სანდრო დგებუაძის, რომან სიჭინავას, გიორგი ბახტაძისა და აკაკი იაშვილის შემადგენლობით მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერთა შორის იყო, მაგრამ საბოლოოდ საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა. ჩემპიონები 26 ქულით მასპინძლები გახდნენ, ვიცე-ჩემპიონმა ყაზახებმა ქულით ნაკლები მოაგროვეს, მესამეზე გასულმა რუსებმა — 24,5. საქართველოს გუნდმა 22 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა.

**ძოტე მგალობლიშვილი**

# ველორბოლა

## ბასკეთი დაზვერეს

თითოდღიანი რბოლების მსოფლიო თასზე გაილია სამთვიანი არდადეგები, იტალიური „ჯიროსა“ და ფრანგული „ლე ტურის“ გამო რომ გამოაცხადეს. 10-ეტაპა შეჯიბრის მეორე ნახევარი შაბათს, 9 აგვისტოს, სან-სებასტიანის 234-კილომეტრა რბოლით დაიწყო.

გაზაფხულზე ხუთი რბოლა გაიმართა. „მილანი — სან-რემო“ გერმანელმა ერიკ ცაბელმა მოიგო, „ფლანდრიის ტური“ — დანიელმა როლფ სორენსენმა, „პარიზი — რუბე“ — ფრანგმა ფრედერიკ გედონმა, „ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟი“ — იტალიელმა მიკელე ბარტოლიმ, ხოლო „ამსტელ გოულდი“ — დანიელმა ბიარნე რიისმა. თითოეულ ეტაპზე 25 მოწინავეს ერიცხება ქულები (100; 70; 50; 40; 36, ..., 16; 15, ..., 1). ჰოდა, არდადეგებზე მოწინავედ წავიდა ბარტოლი, რომელიც 16 ქულას უგებდა სორენსენს, ხოლო 89 ქულას — მსოფლიოს პირველ მრბოლს, ფრანგ ლორან ჟალაბერს.

სან-სებასტიანში წელს მსოფლიო პირველობაა დანიშნული. იგი 9-12 ოქტომბერს გაიმართება. ამიტომ იყო, რომ მსოფლიო თასის VI რბოლა მომავალი ასპარეზის დაზვერვად იქცა.

ფავორიტად ჟალაბერი და ესპანელი აბრაამ ოლანო მიიჩნეოდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ სტარტიდან 140 კილომეტრის მოშორებით წამომართულ ხეზკიბელის მწვერვალის მიდამოში ლორანი შეუტევდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. თავიდან წინ ბასკი ინაკი აიარსაგენა გაიჭრა, მაგრამ ლიანგმა იგი მალევე ჩანთქა. ბოლოს საქმე ისევ საფინიშო სპრინტზე მიდგა. იგი იტალიელმა დავიდე რებელინმა მოიგო. მეორე ადგილი რუს ალექსანდრ გონჩენკოვს ერგო, მესამე — სტეფანო კოლაჟეს (იტალია). სორენსენი VI ადგილზე გავიდა და მსოფლიო თასის ჩათვლაში დაწინაურდა.

**6 რბოლის ჯამი:**

როლფ სორენსენი (დანია, რაბობანკი) 212 ქულა; მიკელე ბარტოლი (იტალია, მაპეი) 196; ბიტ ცბერგი (შვეიცარია, მერკატონე-უნო) 120; ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ONCE) 114; ანდრეი ჩმილი (უკრაინა, ლოტო) 104; დავიდე რებელინი (იტალია, ფრანსეზ-დე-ჟო) 101; ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი), ბიარნე რიისი (დანია, ტელეკომი) და ფრედერიკ გედონი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე-ჟო) 100; დავიდე კაზაროტო (იტალია, ზკრინიო) 98; იოჰან მიუზეუვი (ბელგია, მაპეი) 95; ჯო პლანკერტი (ჰოლანდია, ლოტო) და ფრედერიკ მონკასენი (საფრანგეთი, განი) 94; ...

მიუზეუვი მსოფლიო თასის ბოლო ორი წლის გამარჯვებული და მსოფლიოს ჩემპიონიცაა, მაგრამ წელს ბედი ვერა წყალობს. ორგანიზატორებს ძალიანა სურდათ, რომ წლევანდელი საფრანგეთის ტურის ტრიუმფატორი იან ულრიხი (გერმანია) შეჯიბრში ეხილათ, მაგრამ ამან დაღლილობა მოიმიზეზა. სამაგიეროდ, კვირასვე ჰამბურგის 190-კილომეტრა რბოლაში იასპარეზა და 50 ათასი მოსეირის თვალწინ ბოლო სპრინტითლა გაიმარჯვა.

თასის შემდეგი რბოლა — „როჩესტერის კლასიკური“ ბრიტანეთში ხვალ გაიმართება. იქეთ კვირას „შვეიცარიის დიდი პრიზის“ გათამაშებაა დანიშნული. მერე ისევ შესვენებაა, რადგან 6-28 სექტემბერს ელიტამ წლის ბოლო მრავალდღიან რბოლაში — ესპანურ „ვუელტაში“ უნდა ცადოს ძალა. ჰოდა, თასის ბოლო ორი ეტაპი: „პარიზი — ტური“ და „ლომბარდიის ტური“ ოქტომბრისთვისაა დანიშნული.

მსოფლიო თასი უფულო შეჯიბრია. ჩემპიონს სხვა რა დარჩენია, ცისარტყელასებრ ჭრელა-ჭრულა კვართს უნდა დაჯერდეს. სამაგიეროდ, აქ მოხვეჭილი ქულები ითვლება ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის (უსი) რეიტინგნუსხაში, ჩოგბურთისა და გოლფის დარად სისტემატურად რომ ქვეყნდება.

**მიხო ნინუა**

**უსი-ს 11 აგვისტოს რეიტინგის მოწინავე 25-ეული:**

1. ჟალაბერი 2045 ქულა; 2. ბარტოლი 1654; 3. იან ულრიხი (გერმანია) 1560; 4. მიუზეუვი 1524; 5. ალექს ცულე (შვეიცარია) 1517;

6. ანდრეა ტაფი (იტალია) 1333; 7. რიშარ ვირონკი (საფრანგეთი) 1201; 8. ჩმილი 1196; 9. პაველ ტონკოვი (რუსეთი) 1178; 10. ფრანჩესკო კაზაგრანდე (იტალია) 1127;

11. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) 1107; 12. ერიკ ცაბელი (გერმანია) 1104; 13. აბრაამ ოლანო (ესპანეთი) 1090; 14. ქრის ბორდმენი (ბრიტანეთი) 1065; 15. რიისი 1003;

16. რებელინი 989; 17. მაურო ჯანეტი (შვეიცარია) 986; 18. დანიელე ნარდელო (იტალია) 900; 19. ფრანკ ფანდენბრუკე (ბელგია) 896; 20. ტონი რომინგერი (შვეიცარია) 886;

21. სორენსენი 866; 22. ნიკოლა მინალი (იტალია) 845; 23. ანდრეა ფერიგატო (იტალია) 828; 24. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) 820; 25. ლორან დიუფო (შვეიცარია) 812

# რაგბი

### სამეულის სერიალი

## ილზის დაშავებიათ

ამ დილით წელს მესამედ და უკანასკნელად შეიბმებოდნენ ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსი“ და ავსტრალიის „ვოლაბები“. სამეულის სერიალის ბოლოსწინა ტურის ეს მატჩი იმავდროულად მეზობელთა საცილო ბლედისლოუს თასის მესამე თამაშიც იყო, მაგრამ ამ მხრივ აზრი აღარ ქონდა, რადგან ზელანდიამ ორივე ადრინდელი შებმა მოიგო — ქრაისთჩერჩში 30:13, მელბურნში 33:18 და გარდამავალი ჯილდო ზედიზედ მესამედ შეინარჩუნა.



თასისა არ იყოს, სერიალის გამარჯვებულიც უამთამაშოდ თითქმის გარკვეული იყო. „ოლ ბლექსს“ სამი თამაშიდან 14 ქულა ქონდა, „ვოლაბებს“ ორიდან — 5. თუ ავსტრალია დარჩენილ ორივე გასვლით თამაშს ისე მოიგებს, რომ მინიმუმ ოთხ-ოთხ ლელოს გაიტანს, 15 ქულალა დაუგროვდება. ერთი სიტყვით, ზელანდიას 2 საცხრილო ქულა (ანუ ფრე) ყოფნიდა შარშან მოპოვებული ტიტულის შესანარჩუნებლად.

თამაში სამხრეთ კუნძულზე, ოთაგოს ადმინისტრაციულ ცენტრ დანიდინში იყო. ეს საუნივერსიტეტო ქალაქი სარაგბო სამყაროს უსამხრეთესი ტესტ-ასპარეზია. ეკვატორს ქვემოთ ახლა გაგანია ზამთარია და ანტარქტიდიდან ცივი ქარიც ქრის. ჰოდა, როგორც ხშირად მომხდარა, დანიდინის „ქარისბრუქ პარკზე“ ამჯერადაც ყინვა და თოვლი იყო მოსალოდნელი.

„ქარისბრუქი“ „ვოლაბთათვის“ დანავსული სარბიელია. იქ მათ ცხრა თამაში გაუმართავთ და ყველა წაუგიათ:

1905 წელს 3:14, 1913 წელს 13:25, 1936 წელს 13:36, 1946 წელს 8:31, 1955 წელს 0:8, 1962 წელს 0:3, 1964 წელს 9:14, 1986 წელს 12:13 და 1993 წელს 10:25.

ეს ბოლო თამაშიც გვარიან თოშში გაიმართა. ავსტრალია მაშინ მსოფლიო ჩემპიონი და ბლედისლოუს თასის მფლობელი იყო. ლელოები შესვენების შემდეგლა გავიდა. მასპინძელთაგან თავი ფითსპატრიქმა და ბანსმა ისახელეს, სტუმართაგან — ჰორანმა.

დანიდინური ნავსის გატეხვის შანსი ავსტრალიელებს იოტისოდენი ქონდათ. მართალია, წინა ტურში მათ ლალად ძლიეს სამხრეთი აფრიკა და დამტვრეული ჰორანის ნაცვლად 10 ნომრად ხმობილმა დევიდ ნოქსმაც უკანა ხაზი გადასარევად აამბურთავა, მაგრამ მას აქეთ გუნდს ტრავმებმა დარია ხელი: 8 ნომერი მანუ „ქურციკებთან“ თამაშისას დაშავდა, 6 ნომერ ქოქბეინს კი ვარჯიშზე შეერყა ტვინი.

ეგ კიდევ რაა: კაპიტანს, გუნდის სულსა და გულს და კიდევ დერეფნის მთავარ მომგებ ჯონ ილზსაც წვრთნისას შეემთხვა მარცხი, რაც ავსტრალიელთა პროფესიონალიზმში ცოტა არ იყო დააეჭვებს მკითხველს. ორმეტრიანი ილზი დერეფნის დამუშავებისას ჰაერში ისე აისროლეს, რომ ცუდად დახტა და მუხლის მყესები დაიწყვიტა; ამიტომ სერიალში ალბათ ველარ ითამაშებს.

ილზს კაპიტნად შეცვლის გამობრძმედილი ფლანკერი დევიდ ვილსონი, რომელიც მელბურნის ისტორიული ტესტისთვის თხუთმეტეულში ვერ მოხვდა. „ბრისბენელი ბომბდამშენი“ ნაკრებს ტესტში პირველად უხელმძღვანელებს, ისე კი ქვინზლენდის კაპიტანი დროდადრო ყოფილა.

მცირ-მცირე ტრავმები მასპინძლებსაც აწუხებდათ. წინა შაბათს „ქურციკებმა“ გვარიანად დაუჟეჟეს სპენსერი (10), კრონფელდი (7) და კაპიტანი ფითსპატრიქი (2). ფეხი ტკიოდა ზინზან ბრუქსაც (8), მაგრამ ზელანდიელთა პროფესიონალიზმი ისეთ დონეზეა, რომ მატჩისთვის უკლებლივ ყველა მოკეთდა. გუნდში წინა თამაშთან შედარებით ერთადერთი ცვლილებაა: თუ აფრიკელებს მარცხენა გარემარბად ორივეჯერ უმაგა ეთამაშა, ავსტრალიელებს მეორედაც ოზბორნი შეეჯიბრება.



ვილსონი „ვოლაბებს“ ამ დილით პირველად წაუძღვებოდა

ბოლოს ბებერი ნოქსისაც ვთქვათ. ამ კაცს 1985 წლიდან ოდენ 9 ტესტი უთამაშია. „ვოლაბებს“ მისიანად ყოველთვის მოუგიათ, მათ შორის ზელანდიასა და აფრიკასთანაც. ამით გათამამებულ დევიდს ხუმრობით უთქვამს, თუ მეათე თამაშსაც მოვიგებთ, მოედანს ტიტლიკანა შემოვურბენო. ზელანდიურ პრესას ამაზე დაუწერია, გათოშილ დანიდინში ამისი ქმნა „ოლ ბლექსის“ ძლევაზე რთული იქნებაო.

**ლუკა ჯორჯიაშვილი**

სთარ თი-30 სამეულის სერიალის დღევანდელი მატჩის რეპორტაჟს საქართველოს დროით 20 საათზე იწყებს. დიდი რაგბის ხილვით დაინტერესებულ ქომაგებს VII არხის საკოორდინაციო ცენტრთან შეხმიანება შეუძლიათ შემდეგი ტელეფონით:

# ქიციცა და ქიცმაცურიც

## ღადაობა არ გეგონოთ

რაც კი სამყაროში არა-ოლიმპიური სპორტი დარჩენილა, თითქმის ყველა წარმოდგენილი V მსოფლიო თამაშებში, ფინეთის ქალაქი ლაჰტი რომ მასპინძლობს. ეს აკრობატიკაო, ბოულინგიო, პარაშუტითა და ბატუტზე ხტომაო, ბაგირის გადაძალვაო, გორგოლაჭებით ციგურაობაო, წყალწაღებულის გადარჩენაო, სამხედრო მრავალჭიდიო, რომელშიც ერთ სახეობად ხელყუმბარის ტყორცნაც შედის (გაიხსენეთ ნეტარი მშთ!), კასტინგიო და ა. შ. მოკლედ, 80 ქვეყნის 2 000 წარგზავნილი ეჯიბრება ერთმანეთს 24 ეგზოტიკურ სპორტში.

კასტინგი უწყლოდ თევზაობაა. მონაწილენი ანკესს მდელოზე ტყორცნიან და სამიზნისთვის კაუჭის მოდებას ცდილობენ. ბოულინგი (ფოტოზე), მარტივად რომა ვთქვათ, გართულებული კეგლია. ამისი გარე ბიძაშვილია მარბლზიც.

ფინელები სტუმრებს გულლიად დაუხვდნენ, რადგან უცხო ხილები ალარ აკვირვებთ. ქვეყანამ წელს უკვე უმასპინძლა სამ უცნაურ მსოფლიო ჩემპიონატს — კოღოების ხოცვაში, ცოლის ატატება-ტარებაში, გიტარის ვარდნით დაკვრაში და საკმაო გამოცდილებაც დააგროვა.

დასასრულ შევნიშნოთ, რომ მსოფლიო თამაშები ღადაობა სულაც არაა. ამ ღონისძიების წყალობით გაოლიმპიურდნენ კეტბურთი (ბეისბოლი), სოფთბოლი (ქალების კეტბურთი), ზეკაცთა სამჭიდი (ტრი-ათლონი), ქალთა ძალოსნობა, პლაჟის ფრენბურთი, ტაეკვონდო (აღმოსავლური წიხლაობა). ექსპერტები შენიშნავენ, შემდეგებს ჯერი შვიდკაცა რაგბსა და ბილიარდს მოუწევთო.

**მაია მენთეშაშვილი**

## ჩუჩხე და სამქულიანები

სტალინიზმის ერთგული ბოლო ქვეყნის — ჩრდილოეთი კორეის ახალი მამა და მარჩენალი კიმ ჩონ-ირი ოფიციალურად ჯერაც არ უკურთხებიათ, რაკი მამამისის — აღმოსავლეთის მზეთამზე კიმ ირ-სენის გარდაცვალების გამო ქვეყანაში გამოცხადებული სამწლიანი გლოვა არ დასრულებულა, მაგრამ მომავალ ბელადს კორეული კალათბურთის შემდგომი აღმავლობის გეგმები უკვე დაუსახავს.

მამა კიმმა მსოფლიოს ორიგინალური მოძღვრება — „ჩუჩხე“ დაუტოვა. ამბობენ, იგი კორეული მარქსიზმიაო. ამის გარდა, ირ-სენს ხალხის ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროშიც ჩვეოდა ცხვირის ჩაყოფა და რჩევების ჩამორიგება.

მართლად თქმულა, კვიცი გვარზე ხტისო. როგორც მავან იაპონურ სააგენტოზე დაყრდნობით იტყობინება „ფრანს-პრესი“, ქვეყნის მთავარ გაზეთ „მინჩუ-ჩოსონს“ დაუწერია, დიდმა ბელადმა ბევრი იფიქრა კალათბურთის გამო და რა გაითვალისწინა კორეელთა ბუნებრივი მონაცემები, ამ სახეობაში ყველა დასაქმებულს შეუდგინა ბრძნული რეკომენდაცია, სხარტად იბურთავეთ და სამქულიან, შორიდან ტყორცნებს დააფუძნეთ თამაშიო.

მართალია, დემოკრატიული კორეა კაპიტალისტური სამხრეთისგან განსხვავებით მთლად გავერანებული ქვეყანაა და ქრონიკული შიმშილობის გამო ლამისაა მეზობელსაც შეესიოს, მაგრამ მსოფლიო კალათბურთში გაბატონების ამბიცია კი ნამდვილად არ აკლია. კიმის მამაშვილური მითითებანიც სწორედ ამ საქმეს ემსახურება. ისე კი, ქილიკი იქეთ იყოს და კორეელები მთლად პარტიული ინსტრუქტაჟის იმედად როდი ყოფილან. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ 232 სანტიმეტრი სიმაღლის ნოჩრი რი მიონ-ჰუნი კანადას მიავლინეს, ეგების კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში (ნბა) დამკვიდრდესო.



## მშვიდობის გეშინოდეთო

ჩაიშალა ომის ინვალიდთა სპორტული თამაშები, 20-28 სექტემბერს პრეტორიაში (სამხრ. აფრიკა) რომ უნდა გამართულიყო. როგორც ორგკომიტეტის თავკაცმა, პოდპოლკოვნიკმა იოჰან ბოთამა ბრძანა, მონაწილეობის განაცხადი ოდენ ოთხმა ქვეყანამ — გერმანიამ, ბრიტანეთმა, ისრაელმა და პოლონეთმა წარადგინა. არადა, მასპინძლები კიდევ 16 ქვეყნის დელეგაციათა სტუმრობისთვის ემზადებოდნენ.

ბოთამ ლიანგური უარის მიზეზიც გაამხილა. თურმე ნუ იტყვით, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში ამჟამად ისე არასახარბიელო კრიმინალური ვითარებაა, რომ ბოლო დროის სამხედრო კამპანიების მონაწილეები ამ მშვიდობის ჟამს თავიანთი უსაფრთხოების გამო ერთობ ჩაფიქრებულან. ამერიკელები რასიზმის ექსციტადელში 40-მდე დახეიბრებული ვაჟკაცის გაგზავნას გეგმავდნენ, მაგრამ ბოთას მერე და მერე მიწერეს, ალბათ ორი-სამი თავზეხელაღებული თუ წამოვაო. პრეტორიაში მსგავსი პასუხი მისულა პაპუასეთიდანაც, სადაც წელსვე დიდი შინა-ომი ქონდათ კუნძულ ბუგენვილის შესაძლო გამოყოფის გამო.

## პოლოსაც ჩემულობენ

გოლფი მსოფლიოს შოტლანდიაში მოგონილი ეგონა, მაგრამ ჩინელებმა ამას წინათ გამოიკვლიეს, რომ ეს თამაში მათ ქვეყანაში X საუკუნეში ჩასახულა.

ახლა პოლოს — უცხოური ცხენბურთის ჯერიც დამდგარა. ჩინელი სწავლული ვან იაო თავის ნაშრომში, სახელად „ახალი სიტყვა პოლოს გამო“ რომ ქვია, ამტკიცებს, ეს თამაში ტანის დინასტიის ზეობის ხანაში (218-907 წლები) ტიბეტში მოიგონესო.

არადა, აქამდე მეცნიერებას მიაჩნდა, რომ პოლო IX საუკუნის სპარსეთში იშვა, მერე იქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში და დიდგვაროვანთა თავშესაქცევად იქცა.

# ჩოგბურთი

## ანდრე იგებს, პიტმა კი წააგო

ვაჟთა ტურზე ამ კვირაში ორი დიდი შეჯიბრია. ორივე აშშ-ში, ხისტ საფარზე მიმდინარეობს და საპრიზო ფონდიც ტოლი — 915 ათასი US$ აქვს, მაგრამ თუ ნიუ-ჰეივენის (კონექტიკუტი) „პენ-პაილოტ ინტერნეშენალში“ დიდი არაფერი ხდება, ინდიანაპოლისის „არ-ეი-სი ჩემპიონშიპიდან“ ბობოლები პანტა-პუნტით ცვივიან.

დიდმა პიტ სამპრასმა (აშშ, 1) წინა კვირაში ცინცინატის ტურნირი ისე მოიგო, რომ ერთი ხელიც არ წაუგია. ინდიანაში მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ვინაც შარშანდელი და 1991-2 წლების ჩემპიონიცაა, მძიმედ დაიწყო: ოთხშაბათს მეორე წრიდან ჩაება შეჯიბრში და გაჭირვებით — 6:3, 7:5 ძლია 585-ე (!) ჩოგანი, ავსტრალიელი ჯოშ იგლი, ხუთშაბათს კი ისე გავარდა, რომ თავისი მოწოდება არც წაუგია: ალღო ვერ აუღო უმართავ ბურთებს, რომელთაც აშშ-ის პირველობაშიც გამოიყენებენ, და ორ თაი-ბრეიქში დამარცხდა.

პიტი ძლია შვედმა მაგნუს ლარსონმა (16), ვინაც 37-ე ჩოგანია და ვისაც სამპრასი წელს, აპრილში უკვე უძლევია მონტე-კარლოს პირველობაზე. ლარსონმა ეისობანა 18:11 მოიგო, მატჩი კი ორ საათსა და 7 წუთში მოუყომარა სამპრასს 7:6 (8-6), 4:6, 7:6 (7-5).

ოთხშაბათს გორან ივანიშევიჩმა (ხორვატია, 2) 7:6 (7-5), 5:7, 4:6 წააგო მე-40 ჩოგან ჯეისონ სთოლთენბერგთან (ავსტრალია), ვინც ხუთშაბათს 6:4, 6:3 გააგდო 329-ე ჩოგანმა თომი ჰოუმ (აშშ).

ბრუქ შილდსის ქმარმა ანდრე აგასიმ (აშშ, 14), კლასიფიკაციის 74-ე საფეხურამდე რომ დაშვებულა, წელს პირველად უწია მეოთხედფინალს. ლას-ვეგასელმა პლეი-ბოიმ ორშაბათს 6:2, 4:6, 6:4 ძლია დავიდე სანგვინეტი (ესპანეთი), ოთხშაბათს 7:6 (7-5), 6:1 — ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი), ხუთშაბათს კი, 7:5, 6:1 (82 წუთში) — ალექს კორეჩა (ესპანეთი, 3).

**ირაკლი ნინუა**

სხვა მერვედფინალები: კარლოს მოია (ესპანეთი, 5) — რიჩარდ ფრომბერგი ავსტრალია) 6:2, 6:4; ვეინ ფერერა (სამხ. აფრიკა, 10) — გრანთ სტაფორდი (სამხ. აფრიკა) 6:4, 7:6 (7-4); ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — თომას ენკვისტი (შვედეთი, 4) 7:5, 3:6, 6:3; მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — მარსელო რიოსი (ჩილე, 6) 7:6 (8-6), 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი, 9) — თოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია, 7) 6:2, 7:5


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29